

NAEC.GE

როგორ აირჩია პროფესია გურამ ღოჩანაშვილმა?

“ერთხელ 11 წლის ბიჭმა, რომელსაც ვკითხე: რა არ მოგნონს მშობლებთან ურთიერთობაში-თქო? მიპასუხა, მე პატივს არ მცემენო... ვკითხე, მართლა თვლი, რომ მშობლებს არ უყვარხარ? როგორ არაო, მიპასუხა, მაგრამ სიყვარული და პატივისცემა სხვადასხვა რამეაო. მერე განაზოგადა და თქვა, ამ საქართველოში ბავშვებს პატივს არ სცემენო...” გვ. 9.

ბორხესი, ლეოპარდი და მაგიური რეალიზმი

რეკომენდაციები
გამოსაშვები
გამოცდებისთვის

საქართველო
საერთაშორისო
საგანმანათლებლო
კვლევები



გამოცდების
ეროვნული ცენტრი

NAEC.GE

გამოცდების ეროვნული ცენტრი



რუბრიკა	გვერდი	სათაური
	3	წინასიტყვაობის მაგიერ...
	4	წიგნიერ აღამიანად გახდომის სურვილით...
ზოგადი განათლების პრობლემები	9	სასკოლო ასაკის ზღვარზე
	15	„იქ, სადღაც, ხელის განვდენაზე“
გამოცდები 2013	17	ერთიანი ეროვნული გამოცდების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე
	23	პედაგოგთა სერტიფიცირება – როგორც სტიმული
ნომრის სტუმარი	27	როგორ აირჩია პროფესია გურამ დოჩანაშვილმა?
	31	„ცოდნა თავისუფლების სანინდარია“
რეკომენდაცია	33	ინტერვიუ განათლების ექსპერტთან სვამინათან ჰარიშარანთან
	35	„მხოლოდ ის კულტურაა ფასეული, რომელიც სხვა ერის ცნობიერებაში შეაღწევს და იქ დაიკავებს ადგილს“
დისკუსია	39	მრგვალი მაგიდა – ერთიანი ეროვნული გამოცდები 2013!
ინტერვიუ	43	ნომრის კონკურსში გამარჯვებული სტატია
	47	ბორხესი, ლეოპარდი და მაგიური რეალიზმი
ხელოვნება	49	ეთნოგრაფიული მუზეუმის „კლასიკა“
ფოტორეპორტაჟი	52	წეროები მიფრინავენ შორს
საგანმანათლებლო კვლევები	55	საქართველო საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში
შთაბეჭდილება	60	ქართული საბრძოლო ხელოვნება
	62	როცა მასწავლებელი გენატრება
	65	„საბას“ ლაურეატი
უცნობი პორტრეტი	70	აკაკის მცველი
ლიტერატურული გვერდი	72	სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ნაწარმოებები
	74	„NAEC.GE“ – პირველი ნომრის პრეზენტაცია

წინასიტყვაობის მავიერ...




„მოგმართავთ ჩვენის საზოგადოების ნევრთა, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგად ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაძევსთ წინაშე ღვთისა ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე... თუ შემოსავლების რომელიმე ნაწილს შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადასდებთ, – მაშინ გთხოვთ, კარგად დაუფიქრდეთ ამას, – რაოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენ ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოების განათლებასა!! ხომ კარგათ იცით, რომ დღეიდან მხოლოდ განათლებაა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!“

დმიტრი ყიფიანი

წიგნიერ ადამიანად გახდომის სურვილი...

ალბათ არ არსებობს უკეთესი ან უარესი თაობა. ჯერ კიდევ 1875 წლს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის გადაწვა დააპირა ერთმა თბილისელმა გოგონამ, რომელიც, როგორც ანასტასია თუმანიშვილი წერდა, მამადავითზე გაქცეულა და იქიდან აკვირდებოდა „როგორ ავიზგიზდებოდა საძაგელი ინსტიტუტი“. არადა საქართველოში



ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა – ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული.

დაარსებულ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა პირველ ინსტიტუტს აბსოლუტურად „კეთილშობილი“ მისია და მიზნები ჰქონდა – „ქართველ თავადაზნაურთა ოჯახებიდან გამოსული ქალიშვილები სამეფო ტახტისა და ეკლესიის ერთგულების სულისკვეთებით აღეზარდა.“ ამ დაწესებულებაში, დღევანდელი გადმოსახედიდან სულაც არ ისწავლებოდა ისეთი რთული საგნები, რომ ცეცხლის მოსაკიდებლად გაემეტებინათ მოსწავლეებს: სახვთო სჯული, არითმეტიკა, გეოგრაფია, ცეკვა, ხატვა, ხელსაქმე, ბუნება და სუფთა წერა, რაღა თქმა უნდა, რუსული და ფრანგული. მსურველთათვის ქართული და სომხურიც. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ სასწავლებელში აღუზრდელი და ცუდი ბავშვები სწავლობდნენ, რადგან მათი მიღების წესები მკაცრად იყო განერილი: 80 მოსწავლიდან 40 უმაღლესი არისტოკრატიის წრიდან უნდა ყოფილიყო, 20 – სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფთა შვილები, მათი სწავლა ხაზინიდან ფინანსდებოდა. დარჩენილ 20 ადგილს კი მდიდარი თბილისელების შვილები იკავებდნენ და დიდ გადასახადებსაც იხდიდნენ. გვარებს რომ გადახედოთ, ძირითადად მათში თბილისელი სომხები შეგხვდებათ, რომლებიც იმ დროისათვის სოლოლაკში და გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის გამზირი) საუკეთესო სახლებში ცხოვრობდნენ. სკოლის გადაწვა გერმანული წარმოშობის გოგონამ – ვინმე შენგერტმა გადაწყვიტა, რომლის მამაც სახელმწიფო მოხელედ მუშაობდა საქართველოში. სასწავლებლების მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის ასეთია. ზოგი მეტად ინტერესიანია და ხალისით მისდევს „შემეცნების“ პროცესს, ზოგისათვის სკოლა „ციხეა“ და არ უყვარს ეს დაწესებულება. მაგალითად, ძალიან ცნობილ ფსიქოლოგს პიტერ გრეის იმდენად სძულდა სკოლა, რომ დღემდე შეუძლებელია მისი გადარწმუნება, ახლაც მიიჩნევს და ნაშრომებს წერს იმის შესახებ, რომ სკოლა არაფრით განსხვავდება ციხისაგან... „თუ მიგაჩნიათ, რომ სკოლა ციხე არ არის, მაშინ აგვისენით განსხვავება. ერთადერთი განსხვავება, რომელიც მახსენდება, ის არის, რომ ციხეში მოსახვედრად საჭიროა დანაშაულის ჩადენა, ხოლო სკოლაში ხვდები მხოლოდ ასაკის გამო. სხვა მხრივ სკოლა და ციხე ერთი და იგივეა. ორივეგან გართმევენ თავისუფლებასა და ღირსებას, მიგითითებენ, რა აკეთო და მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის გსჯიან... ყველამ, ვინც სკოლაშია ნამყოფი, ალქმის განსაზღვრულ ეტაპზე იცის,

რომ ეს ციხეა. როგორ შეიძლება, არ იცოდნენ? მაგრამ ადამიანები ხშირად რაციონალურად იქცევიან და ამბობენ (როგორც წესი, სხვა სიტყვებით), რომ ბავშვებს სჭირდებათ ციხის ეს სახეობა და შესაძლოა მოენონოთ კიდევ იგი, თუ მას კარგად მართავენ. ამ რაციონალიზაციიდან გამომდინარე, თუ ბავშვებს არ მოსწონთ სკოლა, მიზეზი ის კი არ არის, რომ სკოლა ციხეა, არამედ ის, რომ მის მმართველებს აკლიათ სიკეთე ან ხალისი, ან გონიერება ბავშვების გონების მისაპყრობად. მაგრამ ყველა, ვინც ცოტა რამ მაინც იცის ბავშვების შესახებ და ვინც თავს უფლებას აძლევს გულწრფელად იფიქროს, უნდა ხვდებოდეს, რომ ამ რაციონალიზაციის მიღმა ბევრი რამის დანახვაა შესაძლებელი. ბავშვები, ისევე, როგორც ზრდასრული ადამიანები, გამუდმებით თავისუფლებისაკენ მიილტვიან. მათ არ მოსწონთ, როდესაც თავისუფლებას უზღუდავენ. თავიანთ თავისუფლებას ბავშვები ძირითადად თვითგანათლებისათვის იყენებენ. ისინი ბიოლოგიურად არიან მომზადებულნი ამისათვის. ბავშვები იკვლევენ და თამაშობენ თავისუფლად, იმ ხერხებით, რომლებიც მათ იმ



ოლღა გურამიშვილი მუღლესთან ნიკო ნიკოლაძესთან ერთად

ფიზიკური და სოციალური სამყაროს შესწავლაში ეხმარება, სადაც ვითარდებიან. სკოლაში კი მათ აიძულებენ, უარი თქვან თავიანთ ინტერესებზე და სამაგიეროდ აკეთონ ის, რასაც მასწავლებელი მოითხოვს მათგან. ამიტომაც არ უყვართ ბავშვებს სკოლა.“

როგორ საოცრებადაც არ უნდა მოგეჩენოთ გუგლის საძიებო სისტემაშიც კი ვერ იპოვნით თემას ან სტატიას სკოლის სიყვარულზე ან სასკოლო სისტემის ქებაზე. ამ სასწავლებლის ცეცხლის მოდება და განადგურება კი დღემდე ბევრს უხარია: „როცა სკოლაზე ვფიქრობ, ცხადად ვხედავ ერთ კადრს: ვდგავარ სკოლის პირდაპირ. ალბათ, 13 წლის ვარ. ეზოში ხალხმრავლობაა, მაგრამ მე ცალკე დგომა მირჩევნია. შენობის მესამე სართულს თვალს არ ვაშორებ და სხვების საუბარს ყურადღებას არ ვაქცევ. რა აზრი აქვს. მაინც ერთსა და იმავეს იმეორებენ:

- რატო გაჩნდა?
- მანდ მეთერთმეტეებია, სიგარეტს დატოვებდა ვინმე. თან იატაკი ნავთიანია და...
- ძან დიდი ხანი არაა, რაც ეს სახანძრო შესულია?
- გამოვლენ, აბა რას იზამენ.
- მოიცა, კომპიუტერების ოთახსაც გადაედო?
- რავი, კვამლი კი გამოდის და...

საქმე ისაა, რომ სკოლა ინვის და საქმე ისაა, რომ მე ეს მიხარია. მიხარია არა როგორც ბოროტ ადამიანს ან როგორც ცუდ მოსწავლეს, არამედ როგორც ჩვეულებრივ ბავშვს და მე ერთადერთი არ ვარ. ჩემს თანაკლასელებსაც უხარიათ, ჩემს პარალელურ კლასელებსაც. სხვებსაც... ჩვენ ყველას გვიხარია, რომ სკოლა ინვის და ისიც გვიხარია, რომ სკოლისათვის ცეცხლის ნაკიდება ჩვენ არ დაგვჭირდა. მართლა



რამდენ პრობლემას ავარიდეთ თავი. მადლობა მწველ მეთერთმეტეკლასელებს.“

(ანინა ტეფნაძე „ტაბულა“ 13.08.13).

პირადად მე – მიყვარდა სკოლაში სიარული. განათლების მიღება საინტერესოა! ინსტიტუტიც მიყვარდა – უფრო მეტი განათლების მიღება, უფრო საინტერესოა! ასე ფიქრობდნენ ალბათ ქართველი გოგონებიც, რომლებმაც ის ავადსახსენებელი ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი საუკეთესო შედეგით – „ოქროს შიფრით“ დაამთავრეს და განათლების მისაღებად შვეიცარიაში გემით გაიპარნენ. ეს ხდება 1873 წელს. ამ ამბავს დიდი აუიოტაჟი მოჰყოლია. ისეთი ამბავი, რომ ჩვენს საუკუნეში მას ქართველმა მკვლევრებმა ნაშრომები მიუძღვნეს. ქ-ნმა მანანა ჯავახიშვილმა და ქ-ნმა ლელა ხომერიკმა გამოსცეს წიგნი „ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში“, რომელშიც ქართველი გოგონების სასწავლებლად გაპარვის ამბავს ვრცელი თავი აქვს დათმობილი:

ქალბატონო მანანა, როგორ ფიქრობთ, რატომ გაუჩნდათ ქართველ გოგონებს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების სურვილი და რატომ იყვნენ იძულებულიები სხვისი პირადობის მოწმობებით გაპარულიყვნენ შვეიცარიაში?

– ეს ამბავი XIX საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. იმ პერიოდში, მოგეხსენებათ, საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, ხოლო რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლებას უამრავი ფორმალური ხასიათის დაბრკოლება ახლდა თან. გიორგი წერეთლის აზრით,

ქართველ ქალებს ევროპაში სასწავლებლად წასვლის სურვილი 1871 წელს უზცოვითიდან თბილისში დაბრუნებულმა პროფესორმა ივანე თარხნიშვილმა აღუძრა, რომელმაც ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიაში ნაიკთხა ლექციები. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო მათი საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრების მიზეზი. ოღლა გურამიშვილი-ნიკოლაძისა მოგონებებში წერს, რომ შვეიცარიაში სასწავლებლად მათ გამგზავრებაზე დიდი გავლენა იქონია პედაგოგმა, დემოკრატიული იდეებით შეპყრობილმა ქალბატონმა, მარიამ ნადეჟდინამ. 1872 წელს ციურიხში პირველად გაემგზავრა პელაგია ნაცვლიშვილი, მას შემდეგ მიჰყვნენ ეკეტერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები (ნიკო ნიკოლაძის დები), ოღლა გურამი-



თბილისში 1880 წ. გადაღებული ფოტო ჟენევაში სტუდენტური ცხოვრების სამახსოვროდ

შვილი, ბოგუმილა ზემიან-სკაია, ეკატერინე მელიქიშვილი (პეტრე მელიქიშვილის და), მარიამ წერეთელი (გიორგი წერეთლის და), ეფემია ელიოზიშვილი. ოლიკო გურამიშვილმა თავისი გამგზავრების შესახებ ოჯახს არ შეატყობინა. როგორც ჩანს, ოჯახი გამგზავრების უფლებას არ მისცემდა. იმ პერიოდში ქალთა განათლებისა და ემანსიპაციის საკითხები აქტიურად არ განიხილებოდა, ქალის ტრადიციული როლი და ფუნქცია ოჯახის შექმნა და მისი მოვლა გახლდათ. ნიკო ნიკოლაძემ

აილო პასპორტები თავისი დებისათვის, მაგრამ მხოლოდ ერთი და გაემგზავრა, მეორის სახელით კი – ოლიკო გურამიშვილი.

- როგორი შეფასებები მოჰყვა ქართული საზოგადოების მხრიდან ამ ფაქტს?

- ქართველი ქალების საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა იმ დროისათვის საკმაოდ მოულოდნელი, უჩვეულო მოვლენა იყო. გაზეთი „დროება“ წერდა, რომ ხალხში მითქმა-მოთქმა ატეხილი ამ ამბავზე, „ვინ ქალი და ვინ ექიმიო? პანსიონი გაუთავებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო“. თუმცა ქართული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი დადებითად გამოეხმაურა ამ ამბავს, მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი. გიორგი ერისთავმა დაწერა პიესა „წასვლა ევროპაში“, რომლის გმირ ქალს ოცნებად ექცა შვეიცარიაში სასწავლებლად წასვლა.



ეკატერინე (კატო) ნიკოლაძე

ალ. ყაზბეგმა ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი წერილი გამოაქვეყნა „დროებაში“: „წარმოიდგინეთ, როგორ გულს არ დააკლდეს კაცს, როდესაც შეიტყობ, რომ პეტერბურღში, ამდენი ქალების სასწავლებელში, რომ

ერთი ჩვენი მხარის ქალი არ მოიპოვება... წარსულ ზაფხულს მოხდა პირველი მაგალითი ჩვენი ქალების უნივერსიტეტში სასწავლებლად ცურისში წასვლისა. ეს მოვლენა იმდენად სასიამოვნოა, რამდენადაც ძნელია“.

- როგორ წარიმართა მათი საქმიანობა საზღვარგარეთ?

- 1873 წელს ციურისში და შემდგომ უკვე ჟენევაში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დააარსეს საზოგადოება „უღელი“, რომლის მიზანი იყო საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა გაერთიანება, ერთმანეთისათვის ცოდნის გაზიარება და დახმარება.



ფოთის ვაჟთა გიმნაზია

მათ შორის იყვნენ კატო და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ოღლა გურამიშვილი, ბოგუმილა ზემიანსკაია, პელო ნაცვლიშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი, რომლებმაც

საქართველოში დასავლური იდეები ჩამოიტანეს და დააყენეს ქალთა ემანსიპაციის საკითხი. საზოგადოება „უღლის“ წევრები წერილებს აგზავნიდნენ „დროებაში“ გამოსაქვეყნებლად.

- როგორი მოსწავლეები და შემდეგ პედაგოგები იყვნენ ის ქართველი გოგონები, რომლებმაც სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელეს და შემდეგ მასწავლებლებად და საზოგადო მოღვაწეებად დაბრუნდნენ სამშობლოში?

- საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებულ ქართველ ქალთა უმრავლესობა საკმაოდ ცნობილი და წარმატებული მოღვაწე გახდა. მაგალითად, ეკატერინე მელიქიშვილი გახლდათ ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ქალთა წრის აქტიური წევრი, მთარგმნელი. ასევე თავის მეუღლესთან, სერგეი მესხთან ერთად იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდვილი წევრი იყო; ეკატერინე მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა თავისი ოჯახის სტამბა-გამომცემლობას, თანამშრომლობდა ჟურნალ „ჯეჯილთან“, წერდა მოთხრობებს. ოღლა გურამიშვილი-ნიკოლაძისა საქართველოში დაბრუნების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა; იგი იმდენად წარმატებული მასწავლებელი აღმოჩნდა, რომ იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ ოღლა ვაჟების სათავადაზნაურო სასწავლებელში მიიწვიეს რუსულის მასწავლებლად (მანამდე ვაჟთა სკოლებში მხოლოდ მამაკაცები ასწავლიდნენ). ოღლა გურამიშვილი-ნიკოლაძისა პუბლიცისტიც გახლდათ; ნიკო ნიკოლაძესთან ქორწინების შემდეგ (1883 წ.) იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდ ჯიხაიშში აგრძელებს, აარსებს ქალთა პირველ სკოლას, ფოთის ქალთა სკოლას ქალთა გიმნაზიად გარდაქმნის.

1873 წელს ციურისის უნივერსიტეტს რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა გაერიცხა ქართველი გოგონები სასწავლებლიდან და სამშობლოში გამოეგზავნა ისინი. მიზეზად სოციალისტური იდე-



ების გატარების გარდა ისიც სახლდებოდა, რომ საზღვარგარეთ სწავლა მხოლოდ თვალის ასახვევად იყო მოგონილი და სინამდვილეში მათი განზრახვა გახლდათ: „დაუბრკოლებლად მისცნ თავი თავისუფალს



სიყვარულსა“. ასეთი შეურაცხყოფების ფონზე მათ მაინც მოახერხეს შვეიცარიაში დარჩენა და უნევეაში გააგრძელეს სწავლა.

სწავლის გასაგრძელებლად გარკვეული დაბრკოლებების გადალახვას აქვს თავისი ხიბლიც. თუნდაც ის, რომ შენ შეგიძლია აკრძალულ ხილს ეზიარო. მწერალი დანიელ პენაკი სწორედ ამ ხიბლს მიიჩნევს ერთ-ერთ მთავრ მიზეზად, რის გამოც ჩვენს წინაპრებს უყვარდათ კითხვა. აი, რას წერს ის თავის წიგნში „რომანივით საკითხავი“, რომელიც უკვე 30 ენაზე ითარგმნა და 21-ე საუკუნის მსოფლიო ბესცელერად იქცა: „უნიგნურობა, ალბათ, ასეთი სადარდებელი არ იქნებოდა, ჩვენ რომ ისეთ თაობას, ეპოქას, ან წრეს ვეკუთვნიოდეთ, სადაც კითხვას უშლიან.

- შეწყვიტე კითხვა, ნუ ამოიღამე თვალები!
- წადი, შვილო ითამაშე, ნახე, რა მშვენიერი ამინდია!

მოკლედ, კითხვის დრო არასდროს იყო. დღისით სულ კარგი ამინდი იყო და გარეთ უნდა გასულიყავი, ღამით სულ ბნელოდა და უნდა დაგეძინა... კითხვა მაგნებლობად ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ ახალი რომანის აღმოჩენას ოჯახისადმი დაუმორჩილებლობის ხიბლიც ემატებოდა. ხომ იცით, ორმაგად აკრძალული

ხილი ორმაგად გემრიელია! ო, რა დაუენწყარი იყო გადასაფარებლის ქვეშ ფარნის შუქზე კითხვაში გატარებული საათები! როგორ მიიჩქაროდა ანა კარენინა თავისი ვრონსკისკენ შუალამისას! მათ უყვარდათ ერთმანეთი და ეს უკვე მშვენიერი იყო, მაგრამ კითხვის აკრძალვამ მათი სიყვარული სასწაულად აქცია. მათ უყვარდათ ერთმანეთი დედ-მამის აკრძალვის მიუხედავად, შუა გზაში განყვეტილი მათემატიკის დავალების მიუხედავად, დასამთავრებელი ფრანგულის სავარჯიშოს მიუხედავად, დასალაგებელი ოთახის მიუხედავად, სადილისა და დესერტის მიუხედავად. მათ ერთმანეთი აირჩიეს ფეხბურთის მატჩისა და სოკოების შეგროვების ნაცვლად და სხვა ყველაფერს ამჯობინეს. ღმერთო მაღალო, ეს ხომ ნამდვილი სიყვარულია! აფსუს, რა მალე დამთავრდა ეს რომანი... კითხვა ვერ ჰგუობს ბრძანებით კილოს. ამით ის „სიყვარულსა“ და „ოცნებას“ ჰგავს. ჩვენ კი ის ტელევიზორის ყურება ჯილდოს რანგში ავიყვანეთ, წიგნის კითხვას კი ხარკის გადახდის მნიშვნელობა მივანიჭეთ. ეს სხვათა შორის ჩვენ მოვიფიქრეთ, სხვამ კი არა...“

ასე რომ, არ არსებობს უკეთესი ან უარესი თაობა, არსებობს განსხვავებული დამოკიდებულებები და



სხვადასხვა გონებრივი შესაძლებლობები. მშობელი, რომელიც სახლში მოსვლისთანავე ტელევიზორს მიუჯდება და დანარჩენ თავსუფალ დროს სოციალური ქსელების თვალიერებას ანდომებს, ვერ დაარწმუნებს შვილს, რომ წიგნის კითხვა სასიამოვნო და ყოველდღიურად აუცილებელი პროცესია. ვერ დაარწმუნებს, რომ „წიგნი მის ცხოვრებაში ისეთ ადგილს იკავებს, რომელსაც სხვა ვერავინ და ვერაფერი დაიკავებს, თუმცა ამ სხვასაც ვერასდროს შეცვლის წიგნი. კითხვა არასდროს იძლევა ცხოვრების მზა რეცეპტს, თუმცა ურღვევ ბადეს აბამს ადამიანსა და სამყაროს შორის. ეს თხელი, იდუმალი ძაფებია, რომლებიც ცხოვრების ბედნიერებისა და მისი აბსურდულობის ურთიერთგამომრიცხავ ამბებზე ეგება. ამიტომ ჩვენთვის კითხვის საფუძველი ისევე უცნაურია, როგორც არსებობის... კითხვა, ისევე, როგორც სიყვარული, დროის შეგრძნებას აკარგინებს ადამიანს... და გარდაქმნის მას ბედნიერ და სრულფასოვან არსებად“.

(დ. პენაკი).

წიგნიერების საერთაშორისო კვლევებმა აჩვენა, რომ „წიგნიერი“ ახალგაზრდები, როგორც წესი, იმ ოჯახებში იზრდებიან, რომლებსაც კარგი ბიბლიოთეკა აქვთ და მშობლებს უყვართ კითხვა.

ქეთი კვიციანი
 მიმა გიორგაძის ფოტოები,
 ასევე გამოყენებულია არქივში დაცული მე-19
 საუკუნის ფოტომასალა.



სასკოლო ასაკის ფლვარზა თავაზით დაწყებული ურთიერთობა

ინტერვიუ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ **თამარ გაგოშიასთან**

– ქალბატონო თამარ, დაახლოებით ორი წელია, რაც 5 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში შეყვანა ოფიციალურად ნებადართულია, თუმცა მშობლები მანამდეც ცდილობდნენ შვილინ წლამდე მიეყვანათ პირველ კლასში, მათ ამისათვის საკუთარი არგუმენტები აქვთ. იქნებ იმაზე ვისაუბროთ, რა უარყოფითი მხარეები აქვს ამ ასაკში ბავშვის სკოლაში მიყვანას?

– ეს ძალიან აქტუალური კითხვაა, მითუმეტეს დღეს. მიუხედავად იმისა, რომ მშობელს თითქოს არჩევანს აძ-

ლევენ, ეუბნებიან, რომ სურვილის შემთხვევაში შეიყვანოს 5 წლის ბავშვი სკოლაში, სამწუხაროდ, ჩვენთან რაც ნებადართულია, ლამის წესად აღიქმება. არ ვიცი, რა მიზანი აქვს ამას – შეიძლება 18 წლის ასაკში ისევ მოსწავლედ ყოფნის თავიდან აცილების სურვილი, ბიჭების შემთხვევაში ჯარის ფაქტორი, ზუსტად მოტივაციის დასახელება რთულია. მშობლებს ყოველთვის



ვეკითხები, თუ რატომ შეჰყავთ 5 წლის ბავშვი სკოლაში, ყველაზე ხშირი პასუხია, რომ ეს თავად ბავშვს უნდა. დამეთანხმებით, ძალიან საინტერესო პასუხია. არაერთხელ მითქვამს, რომ სკოლისათვის მზაობა მხოლოდ ინტელექტუალურ მზაობას არ ნიშნავს. შეიძლება ბავშვი ძალიან კარგად იყოს განვითარებული, წერდეს და კითხულობდეს 5 წლის ასაკში, რომელიმე უცხო ენაც იცოდეს, საბავშვო ბაღში სიარულიც თითქოს უკვე მოსაწყენი იყოს მისთვის, მაგრამ სკოლისათვის მზაობის ცნება გულისხმობს არა მხოლოდ ინტელექტუალურ, არამედ, პირველ რიგში, ემოციურ და შემდეგ ნებელობით მზაობას. ყველამ ვიცით, რომ ბავშვისათვის წამყვანი აქტივობა არის თამაში. თამაშით სწავლობს ყველაფერს უნებლიე დონეზე. ნებელობა ყალიბდება მეტყველების ჩამოყალიბებასთან ერთად და დაახლოებით 6 წლის ასაკისათვის ბავშვს უკვე შეუძლია დიფერენცირება, რა უნდა და რა არის საჭირო. „მინდა“-სა და „უნდა“-ს შორის განსხვავებას მანამდე ვერ ხედავს და როდესაც ვეუბნებით, რომ რაღაც უნდა გააკეთოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, რთული ამოცანის წინაშე დგას. 6 წლამდე ასაკის ბავშვის შეყვანა შეიძლება იმ ტიპის სკოლაში, როგორც, მაგალითად, არის პოლანდიაში – იქ 4 წლიდან შეჰყავთ სკოლაში, მაგრამ ეს არ გახლავთ ტიპური სკოლა ჩვენეული გაგებით. იქ ბავშვის უნარებზე მორგებული გარემოა, არ დგას მერხი, არავინ აძალბებს ბავშვს რაღაცის კეთებას. არც 5 წლისა და არც 6 წლის ასაკში ბავშვს დავალებას არ აძლევენ, ასწავლიან თამაშით.

– ანუ თქვენ 5 წლის ასაკში ტრადიციულ სკოლაში მიყვანის წინააღმდეგი ხართ, მაგრამ ამ ასაკში თამაშით სწავლების მეთოდს ემხრობით?

– ასეთი სახით სწავლება ადეკვატური და ბუნებრივია ამ ასაკის ბავშვისათვის. ჩვენი თავი რომ გავიხსენოთ – ის მასწავლებელი მიგვაჩნდა უფრო კარგად, რომელიც გვათამაშებდა და ისე გვასწავლიდა. დიახ, კატეგორიულად წინააღმდეგი არ ვარ ბავშვის 6 წლამდე სკოლაში მიყვანისა, მიმაჩნია, რომ იმ ტიპის სკოლაში არ შეიძლება 4 ან 5 წლის ბავშვის მიყვანა, რომელიც დღეს გვაქვს. დანებისებულებამი, რომელსაც სკოლა ჰქვია და ყველაფერი, რაზეც ვისაუბრეთ გათვალისწინებულია, ცხადია, ბავშვის მიყვანა არ ქმნის არანაირ პრობლემას. დღეს საბავშვო ბაღების პროგრამაც 5 წლამდე გათვალისწინებული, 5 წლის ასაკის ბავშვი ემოციურად არ ჰგავს 6 წლის ასაკის ბავშვს. ის ადვილად ღიზიანდება, ვერ ახერხებს ნებით დაძლიოს უშუალო იმპულსები. უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, ამ პრობლემების გამო აღმოჩნდება ხოლმე, რომ 5 წლის ასაკში სკოლაში მიყვანილ ბავშვს, მიუხედავად შემეცნებითი განვითარებისა, აქვს სერიოზული პრობლემა და პირველი არის არა სწავლის, არამედ სწავლისადმი დამოკიდებულების პრობლემა. ჩნდება ნეგატიური დამოკიდებულება სწავლის მიმართ. ბავშვს უხარია სკოლაში წასვლა, დაახლოებით 6 თვეში კი ვეღარ იტანს სკოლას, ვერ იტანს სწავლას, მეცადინეობის პროცესს. მისი უნარები ნეგატიური დამოკიდებულების გამო ვერ განვითარდება, შესაბამისად, ის ამ უნარებს ვერც გამოიყენებს, არ უნდა, რომ გამოიყენოს, გარემოც და ქმედებაც მისთვის ძალიან უსიამოვნო ხდება.

– რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები, თქვენთან ხშირად მოდიან მშობლები, ბავშვები მსგავსი პრობლემები?

– ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შემიძლია. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ხშირად მოჰყავთ მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვები. წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც 5 წლისა შეიყვანეს სკოლაში, მეორე კლასშია და, ამავდროულად, მისი არც ერთი უნარი არ არის 7 წლის შესაბამისი. აქვს 6 წლის შესაბამისი უნარები და არის მეორე კლასში, თქვენი აზრით, როგორ ისწავლის ეს ბავშვი? როგორ მოქმედებს ეს ვითარება ბავშვის თვითშეფასებაზე? როდესაც ის ვერ მიჰყვება სასწავლო პროცესს, ვერ ასწრებს, ვერ ასრულებს დავალებას და ხედავს თანატოლებს (თუმცა ისინი რეალურად მისი თანატოლები არ არიან), რომლებიც ამ ყველაფერს თავს ართმევენ? სულ ცოტა ის მაინც უნდა გაგვეკეთებინა, რომ 5 წლის ბავშვები ცალკე კლასში ყოფილიყვნენ და არა 6 წლის ბავშვებთან ერთად. პედაგოგებმაც და ფსიქოლოგებმაც კარგად იციან, რომ ამ ასაკში ერთწლიანი განსხვავება უფროსებში ათწლიან სხვაობას უდრის. ბავშვი ხშირად ვერ პოულობს საერთო თანაკლასელებთან, მარტოა, აქვს თვითშეფასების პრობლემა და ეს სხვა, გაცილებით სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ეს პრობლემები კი რჩება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, ბავშვს ნეგატიური განწყობა უყალიბდება სწავლისადმი. მართალია, ბავშვი შესაბამისი რესურსის არსებობის პირობებში ახერხებს და უმკლავდება ამ სირთულეებს, თუმცა ეს ვითარება მაინც ახდენს გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

– კონკრეტულად რა სახის პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს 5 წლის ასაკში სკოლაში მიყვანილი ბავშვი?

– ემოციურ ინტელექტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩემი აზრით, შემეცნებითი განვითარებაზე მეტი, რადგან ბავშვმა, რომელსაც უნარების მხრივ გარკვეული პრობლემები აქვს, შეიძლება კარგი რესურსის პირობებში კომპენსირება შეძლოს და ეს შეუმჩნეველი დარჩეს იმდენად, რომ ვერც ვერავინ შეამჩნევს შემეცნებითი განვითარების პრობლემას. მაგრამ თუ ემოციურად ცუდადაა, ეს თვითშეფასებაზე, თავმოყვარობაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ფსიქოლოგებმა კარგად იციან – თუ ბავშვს ან ზრდასრულს დაბალი თვითშეფასება აქვს, რაც შეუძლია, რაც იცის და რისი უნარიც აქვს, იმასაც არ აკეთებს, რადგან დაბალი თვითშეფასების გამო ჰგონია, რომ ვერ შეძლებს. ასეთი ბავშვები ხშირად წარუმატებელი არიან ხოლმე ან მშობლების გავლენით პერფექციონისტები – ბავშვები, რომლებსაც უნაკლოდ უნდათ ყველაფრის გაკეთება. ეს ბავშვები ერთმანეთს ჰგვანან. მათ ურჩევნიათ საერთოდ არ გააკეთონ, ვიდრე დაბალი შეფასება მიიღონ ან რაიმე არასწორად გააკეთონ. ვერ იტანენ, თუ რაღაც შეეშალათ... ასეთი ბავშვები დღეს საკმაოდ ბევრნი არიან. სკოლაში შეგვყავს 5 წლის ბავშვი, რომელიც ემოციურად არ არის მზად სკოლისათვის, გარკვეულწილად განწირულია წარუმატებლობისათვის და, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, მუდმივად ბრძოლა უწევს, რადგან დღევანდელი სისტემა არ არის 5 წლის ბავშვზე მორგებული (წამყვანი, როგორც ვთქვით, თამაში უნდა იყოს და ასე შეიძლება ყველაფერი ასწავლო). მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი საზოგადოების ცნობიერება. ჩვენ, საზოგადოება, მშობლები ჩვენი დროის პროდუქტები ვართ. წინა და შედარებით ახალგაზრდა თაობამაც ძალიან სერიოზული პრობლემები გადავიტანეთ. ისეთ გარემოში მოგვიხდა ცხოვრება, რომ გამოვიტანეთ დასკვნა – მთავარია, იყო კონკურენტუნარიანი,

რომ გადარჩე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გადარჩები. არავინ არ უნდა დაგჩაგროს, შენ უნდა იყო პირველი, ყველა შენი კონკურენცია და პირიქით, სჯობს შენ დაჩაგრო. შესაბამისად, ამ პრინციპით გაზრდილმა ბავშვებმა არ იციან თანამშრომლობა, ემპათია, ხოლო ვინც იცის, ის ითვლება „თეთრ ყვავად“ და ხშირად მშობელი იმაზე ნუხს, რატომ არის მისი შვილი განსხვავებული, რატომ ზრუნავს სხვაზე და ა. შ. ახლა წარმოიდგინეთ 5 წლის ბავშვი, რომელიც ხვდება ისეთ გარემოში, სადაც ნორმა იქცა პათოლოგიად – ის აუცილებლად პერფექციონისტად ყალიბდება, ამ საზოგადოებაში შეცდომის დამშვება ლეგიტიმური არ არის, ამაზე ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებაც მეტყველებს – ვერ ვხედავთ იმის აღიარებას, რომ რაიმე შეგვეშალა. მე მხოლოდ ერთი ადამიანი ვიცი, რომელიც ამას ახერხებს. მარტივად ამბობს, რომ რაღაც შეეშალა. ეს ნორმალურია, ადამიანმა უნდა მისცეს თავს ამის თქმის უფლება. როგორც ამბობენ, მხ-

ოლოდ ღმერთს არ ეშლება, შეუძლებელია შეცდომა არ მოგივიდეს, შეცდომის გამოსწორება კი შესაძლებელია.

– ანუ დღევანდელი ბავშვებიც პოლიტიკოსების მსგავსად თვლიან, რომ არაფერი ეშლებათ, უფრო სწორად, არ უნდა შეეშალოთ?

– ჩვენთან კონსულტაციაზე მოსული ბავშვების 99% ვერ უშვებს აზრს იმის შესახებ, რომ შეიძლება რამე შეეშალოს, თუ შეეშალა, ესე იგი ცუდი ბიჭი ან გოგოა. მშობლების საყურადღებოდ კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო რატომ არის პერფექციონიზმი ბავშვისათვის საზიანო – რას ნიშნავს პერფექციონიზმი? ადამიანი, ბავშვი, ისწრაფვის უნაკლო და იდეალური შედეგისაკენ, ის მიიჩნევს, რომ უნდა იყოს იდეალური ხატის ანალოგი და ყველაფერი უნაკლოდ უნდა გააკეთოს. სამწუხაროდ, ეს მშობლების დაკვეთაა! ისინი სწორედ ასე ზრდიან ბავშვებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად



მშობელი ამბობს, თითქოს არ სთხოვს ბავშვს მაღალი ნიშნის, ათიანის მიღებას (ზოგიერთი ამას პირდაპირ ითხოვს, ეჩხუბება შვილს ნიშნის გამო) ბავშვისათვის მშობლის ემოციური დამოკიდებულებაა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი – შვილებისათვის, განსაკუთრებით გარდამავალ ასაკამდე, მშობელი ავტორიტეტია. სიტყვები არც არის საჭირო, მშობლის ნებისმიერი მოძრაობა და ნებისმიერი ჟესტი შეფასებაა. ბავშვმა იცის დედამისს რა სიამოვნებს, რა უხარია, შესაბამისად, მასაც ის უხარია, რაც მშობელს. მშობელს კი უნდა და უხარია, რომ მისმა შვილმა მაღალი ნიშნები მიიღოს, რომ მას არაფერი შეეშალოს, ბავშვი ხედავს, რომ დედა ყველაზე გახარებული მაშინაა, როდესაც სახლში ათიანები მიაქვს, როცა ყველაფერს კარგად პასუხობს და ყველაზე კარგი მოსწავლეა... და თუ იმედს უცრუებს დედას, მასზე უბედური ადამიანი არ არის. რას ვიღებთ შედეგად? ბევრ პრობლემას. მშობელს მიჰყავს ფსიქოლოგთან ბავშვი სულ სხვა მიზეზით – არც ერთი მშობელი არ იტყვის, რომ პერფექციონიზმის ან სწავლის პრობლემით მოიყვანა შვილი. მოჰყავთ ქცევის ან ემოციური პრობლემებით – ეს არის ტიკი, ეს არის ღამის ენურეზი, ეს არის ენაბორძიკი, შიშები, აკვიატების მდგომარეობა, რაც უმძიმესია. ეს ყველაფერი ფსიქიკური ჯანმრთელობაა. მოდით დავსვათ ეს კითხვა – რა გვინდა, გვყავდეს – ფსიქიკურად ჯანმრთელი თაობა, თუ თაობა, რომელმაც ყველაფერი იცის, მაგრამ უბედურია? საჭიროა ოქროს შუალედის პოვნა: შედეგზე ორიენტირებული კი არა, პროცესზე ორიენტირებული სწავლება – ბავშვმა სწავლისგან, შემეცნებისგან სიამოვნება უნდა მიიღოს და ასე სწავლის შედეგიც საუკეთესო იქნება.

- ამ კითხვის დასმა ვისი მოვალეობა და პრეროგატივაა?

– ეს კითხვა განათლების სიტემამ, მშობელმა უნდა დასვას. ფსიქიკურად ჯანმრთელი თაობის აღზრდა განათლების სიტემისა და ოჯახის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ამაში შედის ინტელექტუალური სიჯანმრთელება, მაგრამ ჩვენ სოციალური არსებები ვართ და ემოციურ ინტელექტს დღეს ყველგან, ყველა ქვეყანაში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ. რატომ მოიმატა პერვაზიულმა აშლილობამ ანუ აუტიზმმა? ჩვენი საზოგადოება იქცა აუტისტად, ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან ურთიერთობა გვაქვს მხოლოდ საჭიროების გამო. სწორედ ეს არის აუტიზმი – აუტისტ ადამიანს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, გაზიარება, სიამოვნებას არ ანიჭებს! როცა რაიმე სჭირდება, მაშინ დაგელაპარაკება და მაშინ შემოვა კონტაქტში. ყველაზე რთული ბავშვიც კი აუტიზმის დიაგნოზით, როდესაც რაიმე სურვილის დაკმაყოფილება უნდა, მშვენივრად ახერხებს კომუნიკაციას იმ ადამიანთან, ვისგანაც რაღაც სჭირდება. ჩვენ როგორ ვიქცევით? ჩვენი საზოგადოება ამ გაგებით პერვაზიული საზოგადოებაა, რომელიც მხოლოდ მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე ამყარებს კომუნიკაციას ერთმანეთთან (ცხადია, მხოლოდ საქართველოს არ ვგულისხმობ), მხოლოდ ეგოცენტრული ხედვა გაგვაჩნია, სხვისი პოზიციის დანახვა არ შეგვიძლია. ეს არის აუტიზმიც. როდესაც ადამიანს არ შეუძლია სხვისი პოზიციიდან, სხვისი განცდიდან დაინახოს რეალობა, მხოლოდ საკუთარი განცდიდან, საკუთარი ტრაგედიიდან უყურებს ყველაფერს – აი, ეს არის პერვაზიული აშლილობის მსგავსი მდგომარეობა.

- და ეს ყველაფერი უფრო ამძიმებს სკოლაში ადრე შეყვანილი ბავშვის პრობლემებს?

– ეს ყოველივე ურთიერთკავშირშია, 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა ეგოცენტრიზმის გამოვლინებაა მშობლის მხრიდან! მშობელს უნდა ასე, ასე ხედავს, წარმოდგენილი აქვს საკუთარი შვილის მომავალი, ყველაფერი დაგეგმილი აქვს. ეს არის მშობლის ერთგვარი „პერვაზიულობა“. ნაკლებად აინტერესებს ბავშვი რას ფიქრობს და რას განიცდის. კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო – ზოგადად ყველა მშობელი, მაგრამ განსაკუთრებით ქართველები ვცოდავთ ამ მიმართულებით – ყველას აქვს რაღაც არარეალიზებული, გინდოდა და ვერ შეძელი, ვერ გააკეთე, გასურს, რომ შვილმა შეგისრულოს შენი არარეალიზებული ოცნებები. გინდოდა ტომოდელობა? ბავშვს ატარებ სილამაზის კონკურსებზე პატარაობიდან, გინდოდა პროფესორობა? შესაბამისად, მინიმუმ 3 ენაზე და ყველა საგნის მასწავლებელთან დაგყავს შვილი და ასე შემდეგ. ცხადია, ამას მშობელი ვერ აცნობიერებს და ასეთი შეფასება ძალიან ენეცინება, მაგრამ არაცნობიერად ვცდილობთ არარეალიზებული განწყობების რეალიზაცია შვილის ცხოვრების დაგეგმვით მოვახდინოთ. სამწუხაროდ, არავინ ეკითხება ბავშვს მოსწონს თუ არა ეს, უნდა თუ არა და მისაღებია თუ არა მისთვის მშობლის გადამწყვეტილებები.

- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, რომ მსგავსი ვითარება თავიდან აიცილოს?

– ჩვენ ბავშვს არჩევანის უფლებას არ ვუტოვებთ. გვაქვს ორი პოლარობა: აღზრდის სტილი გვაქვს „პერმისიული“ ანუ ყველაფრის უფლებას ვაძლევთ, ყველაფერს ვუსრულებთ შვილებს, ქცევის თვალსაზრისით ბავშვს ჩარჩო არ აქვს და ამავდროულად ჩვენ ვუგეგმავთ ცხოვრებას. მშობელი ამბობს, რომ უნდა მისი შვილი იყოს თავისუფალი. თავისუფლება მშობელს ესმის, როგორც არჩევანის არარსებობა და, ამავდროულად, ბავშვისათვის ყველანაირი სურვილის დაკმაყოფილება. შედეგად კი იზრდება ადამიანი ფსიქიკური პრობლემებით. ასეთ ადამიანს არ აინტერესებს სხვა ადამიანი, ის საუკეთესო მასალაა კონკურენტუნარიანი გარემოსათვის. იმპულსის, მოთხოვნილების შეკავება სხვის საკეთილდღეოდ, რაღაცის გაზიარება, გაყოფა, სხვისი მოთხოვნილების გათვალისწინება აღზრდის პროდუქტია და თავისით არ ყალიბდება. თანამშრომლობას, კოოპერაციას შენით ვერ ისწავლი ამის ნიმუში თუ არ გაქვს საზოგადოებაში. ჩვენს საზოგადოებას კი სწორედ თანამშრომლობის უნარი აკლია და ეს ყველაფერში ჩანს.

სამწუხაროდ, არავის ახსოვს, რომ ბავშვი ყველაზე პატარა ასაკშიც, ერთი წლისაც კი – ადამიანია! ადამიანი კი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ არჩევანის უნარი აქვს. სწორედ ეს არის თავისუფლება, როცა რამდენიმე ვარიანტიდან ერთის არჩევა შეუძლია. მე, როგორც უფროსი, ვალდებული ვარ, რომ შენ, შვილს არჩევანი (ცხადია, შეზღუდული) მოგცე. მაგალითად, გკითხო – ფაფას შეჭამ თუ კვერცხს? გკითხო – მწვანე კაბას ჩაიცვამ თუ ლურჯს? ანუ შეზღუდულ არჩევანს გთავაზობ. ასეთ დროს, როგორც წესი, ბავშვი ისტერიკას არ აწყობს. ჩვენ რა გვაქვს სახეზე? მშობელი არ თვლის საჭიროდ, რომ ბავშვს რაიმე შესთავაზოს, პირდაპირ აძლევს, მაგალითად, ნითელი კაბის ჩაცმას, ბავშვი აწყობს ისტერიკას და იცვამს იმას, რაც უნდა.

ასეთი პრეცედენტის შემდეგ ბავშვი ეჩვევა, რომ ისტერიკით იღებს ყველაფერს, რაც უნდა. ასე იქმნება ჩაკეტილი, მანკიერი წრე. 5 წლის ასაკში შვილის სკოლაში შეყვანა არის ერთ-ერთი კომპონენტი ამ მაინკიერი წრისა. რატომღაც მიგვაჩნია, რომ მთავარია ბავშვი მატერიალურად უზრუნველყო (ჩააცვა, მისცე საკვები, ატარო მას-წავლებლებთან) და თავისთავად ჩამოყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად. წარმოიდგინეთ ვითარება, როდესაც მცირეწლოვანი ბავშვის მშობელს ვეკითხები, როგორ ეთმამება შვილს და ის გაკვირვებულია, არც იცის, რომ უნდა ეთამამოს, გპასუხობს, რომ მისთვის ეს არავის უთქვამს. უკვირს, რომ 2 წლის ბავშვს ნიგნი უნდა ნაუკითხოს და ეს ძალიან ხშირად ხდება. სამწუხაროდ, მშობელმა მართლა არ იცის ხოლმე, როგორ უნდა აღზარდოს შვილი, მას არავინ არაფერს ეუბნება და ასწავლის. ეს მთლიანად საზოგადოების სატკივარი და პრობლემაა, ბავშვი კი – ამ საზოგადოების პროდუქტი.



– კიდევ ერთი მტკივნეული თემა, რომელსაც გაკვრით უკვე შეეხებთ – ნიშნები და მშობლების დამოკიდებულება შვილის შეფასებების მიმართ. ამაზე რას გვეტყვი?

– არსებობს ორი ყველაზე გავრცელებული მოსაზრება: არის განათლების სპეციალისტების, პედაგოგების კატეგორია (ჩვენთანაც და უცხოეთშიც), რომლებიც თვლიან, რომ ბავშვი საერთოდ არ უნდა შეაფასო, რადგან ეს მის თვითშეფასებაზე ცუდად მოქმედებს, ამუხრუჭებს და ა. შ. არის მეორე მიმართულება, რომლის მიღვერებიც მიიჩნევენ, რომ პირიქით, სისტემატურად უნდა შევაფასოთ ბავშვი, კონკურენტუნარიანი გარემო უნდა შევქნათ და ნიშნების მიხედვით მოვახდინოთ დიფერენცირება. ვფიქრობ, რომ არც ერთი უკიდურესობა არ არის ეფექტური. რატომ არის ცუდი, როდესაც ბავშვს არ აფასებ? როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა მიხვდეს პატარა კარგად აკეთებს რამეს თუ ცუდად? მე, ბავშვმა, როგორ უნდა შევაფასო ჩემი თავი? გარემოსგან უკუკავშირით ყალიბდება თვითშეფასება. ასე რომ, შეფასება აუცილებელია, მაგრამ ისმის კითხვა – როგორი? ეს ინსტრუმენტია, საშუალებაა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თვითმიზნად და მანიპულირების საშუალებად იქცა. ასე იყენებენ შეფასების სისტემას სკოლაში, მშობლისათვის ნიშანი მიღწევის მთავარი მაჩვენებელია. ნიშნის უკან კი შინაარსი აღარ გვაინტერესებს. ასე რომ, გვაქვს მხოლოდ მიღწევაზე ორიენტირებული სისტემა და არა მხოლოდ ახლა, არამედ კარგა ხანია – ასე იყო წლების წინაც სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში. როდესაც საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მომინია ყოფნა (სადაც საკმაოდ კონკურენტუნარიანი გარემოა), აღმოვაჩინე, რომ ნიშანი მათთვის უმნიშვნელო ნამდვილად არ არის, მაგრამ თვითმიზანს არ წარმოადგენს. ჩვენთან კი ეს პრობლემა ამკარად დგას და დამოკიდებულება შეფასების მიმართ, ამ მხრივ, უდავოდ შესაცვლელია. ხშირად დამოკიდებულების შესაცვლელად მშობელთან უფრო მეტი მუშაობა გვჭირდება. უამრავი ძალისხმევა გვჭირდება, რომ მშობელმა გაიგოს ეს ყოველივე და სწორად დაინახოს რეალობა. განწყობის შეცვლა საკმაოდ რთულია და ეს პროცესიც, შესაბამისად, მარტივი არ გახლავთ. წარმოიდგინეთ, როდესაც კარგად განვითარებული ბავშვის შემთხვევაში იქმნება პრობლემები, რომლებზეც ვისაუბრეთ, რა სურათი გვაქვს განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში. რეალობა, რომელშიც ასეთი ბავშვი შეიძლება აღმოჩნდეს, მისთვის ტრაგედიაა. მშობელი კი ამას ვერ იღებს, არ სურს მიიღოს. ხშირად მშობელს ამ რეალობის აღიარება არ უნდა, ბავშვი რთულ ვითარებაშია, მშობელიც საკმაოდ განერვიულებული. ასეთ დროს, ფაქტობრივად, მშობლებისათვის გვინევს ფსიქოლოგიური დახმარების განწევა, რომ შეძლონ და მიიღონ შვილი იმგვარი, როგორც არის. ეს ძალიან რთულად გადასალახავი პრობლემაა მშობლისათვის, რადგან მას კონკრეტული წარმოდგენა აქვს შვილზე, სურს, რომ სწორედ მისი წარმოდგენების შესაბამისი იყოს და სხვანაირი არ სურს, რომ მიიღოს.





– და სად არის გამოსავალი?

– შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შეცვლილი გვაქვს ყველაფერი ქცევის თვალსაზრისით – სადაც სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ და ჩარჩო განვუსაზღვროთ ბავშვს, ჩარჩო არ გვაქვს და სიმკაცრეს არ ვიჩინებთ, არ ვუხსნით მას რა შეიძლება და რა არა, როდესაც უნდა წავახალისოთ ან დავსავჯოთ, არ ვაკეთებთ ამას (ხშირად მეუბნებიან, ბავშვს არ ვსჯით, თუმცა მერე გამოტყდებიან ხომლე, რომ ნერვებმოშლილები ხშირად წამოარტყამენ ხოლმე, ეს სკოლებშიც ხდება, რაც მართლაც სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია). ნახალისება და დასჯაც შესაბამის შემთხვევაში და ადეკვატური ფორმით აუცილებელია (ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ფიზიკური შეხება, არც ყვირილს და ჩხუბს მოაქვს შედეგი). არსებობს ქცევის მართვის მეთოდები, რომლებიც უნდა გამოიყენოს მშობელმა. შეიძლება ვიპოვოთ შუალედი, რომელიც შედეგს მოგვცემს. წარმოიდგინეთ ვითარება, როდესაც ბავშვი ასრულებს დავალებას, რომელიც მისცეს სკოლაში, მას კი არავინ უმომწმებს. ერთხელ, ორჯერ, ხუთჯერ... მერე ბავშვი ფიქრობს, რომ დავალების შესრულებას, რომელსაც არავინ ამომწმებს, აზრი არა აქვს. მასწავლებელს არგუმენტად ის მოჰყავს, რომ კლასში 35 ბავშვია და ყოველდღე ყველას დავალების შემომწმება შეუძლებელია, მშობელს თავისი მიზეზები აქვს, ბავშვს კი ამასობაში მოტივაცია უქრება. სხვა შემთხვევაში გვაქვს ვითარება, როდესაც მშობელს არასოდეს გამორჩება, თუ ბავშვს რაიმე შეეშალა, არასწორად გააკეთა, მაგრამ ვერ ამჩნევს ან არ აღნიშნავს, როდესაც ბავშვი სწორად ასრულებს დავალებას. მუდმივად აძლევს ბავშვს შენიშვნას იმის შესახებ, თუ რა შეეშალა. სწორედ აქედან ყალიბდება პერფექციონისტული განწყობა. შედეგად კი ბავშვი ან ცდილობს ყველაფერი შეცდომის გარეშე გააკეთოს და საშინლად ღიზიანდება, გამოდის მწყობრიდან თუ რაიმე

ემლება, ან ცდილობს თავი აარიდოს დავალების შესრულებას – ვერც ერთ და ვერც მეორე შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერ ვიღებთ ანუ შედეგს, რომლისაკენაც მშობელი უნდა ისწრაფვოდეს. შემდეგ კი მშობლებს თავად უკვირთ, თუ რატომ იღებენ ასეთ შედეგს.

– ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთავარი მშობელსა და ბავშვს შორის სწორი კომუნიკაციაა?

– ერთხელ 11 წლის ბიჭმა, რომელსაც ვკითხე: რა არ მოგწონს მშობლებთან ურთიერთობაში-თქო? მიპასუხა, მე პატივს არ მცემენო... ვკითხე, მართლა თვლი, რომ მშობლებს არ უყვარხარ-თქო? როგორ არაო, მიპასუხა, მაგრამ სიყვარული და პატივისცემა სხვადასხვა რამეაო. მერე განაზოგადა და თქვა, ამ საქართველოში ბავშვებს პატივს არ სცემენო... ეს მითხრა ბავშვმა, რომელსაც ყველა სურვილს უსრულებენ! როდესაც ჩავეძიე, რატომ ფიქროდა ასე მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მისი ყველა სურვილის შესრულებას სავალდებულოდ მიიჩნევდნენ, მიპასუხა, გგონიათ ეგ პატივისცემააო? ეს ჩემი თავიდან მოშორების გზაა, გგონიათ ვერ ვხვდებიო? ამას ჩემთვის კი არა, თავიანთი თავისათვის აკეთებენო. ვკითხე, არ ფიქრობ, რომ უმადური ხარ, არაფერი არ მოგწონს-თქო, ყველაფრით უკმაყოფილო ხარ-თქო?.. მითხრა, მომწონს, როგორ არა, აქ როგორც მელაპარაკებიან, მომწონსო, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს პირდაპირი, გულახდილი საუბარი გვქონდა და ბევრი რამ არც თუ სასიამოვნო მოისმინა. მიპასუხა, რომ მას აქ პატივს სცემდნენ. ასე ჩათვალა, რადგან უსმენდნენ და ესაუბრებოდნენ. პატივისცემა კი ბავშვისათვის ის არის, როდესაც პირდაპირ ესაუბრებიან, უხსნიან, ანგარიშს უწევენ. მიდგომა, თითქოს ბავშვი არ უნდა განერვიულდეს და ამიტომ ყველაფერი უნდა შეუსრულო, მიუღებელია. სწორედ ასეთ შემთხვევაში ხდებიან ბავშვები უსაზღვრო მონოპოლისტები, რის შემდეგაც მშობელს თავისი პრინციპი ავიწყდება და ეს ყველაფერი ხელჩართულ ომში გადადის. ამიტომ ვცდილობთ მშობლებს ავუხსნათ, რომ მიზნის მისაღწევად ბავშვის ტირილში არაფერია ტრაგიკული. ბავშვი ტირის, როდესაც რალაც უნდა და იცის, რომ ამით შედეგს მიაღწევს. ყველაფრის შესრულება იმის გამო, რომ ბავშვმა არ იტიროს, უკუშედეგამდე მიგვიყვანს. როდესაც ბავშვს აღარ აქვს არანაირი ჩარჩო, ეს, როგორც გითხარით, მშობელსა და შვილს შორის ლამის ბრძოლით გრძელდება, გარდამავალ ასაკამდე მშობელი ჯობნის, შემდეგ კი უკვე შვილი.

ინტერვიუს მეორე ნაწილი, რომელიც გარდატეხის ასაკის პრობლემებსა და მთავარ გამოწვევებს ეთმობა, მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება.

**ესაუბრა მაია გაბუნია
გიორგი გრძელიშვილის ფოტოები**



„იქ, სადღაც, ხელის განვლენაზე“

„ნებისმიერი აქცია ჩვენსკენ მომართული, აქ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღიქმება, როგორც დიდი ბედნიერება და სიხარული, რომელსაც შეუძლია ოდნავ მაინც შეანელოს სამშობლოსგან მონყვევით მიღებული ტკივილი. ძირძველ სამურზაყანოში დიდი რწმენაა ქვეყნის გამთლიანებისა. ოღონდ ზურგი გაგვიმაგრეთ და ჩვენ უიარაღო ჯარისკაცები, სიცოცხლის ბოლომდე ვიბრძობლებთ მშობლიურ აფხაზეთში ქართული სულისკვეთების შენარჩუნებისთვის.“

გალის რაიონის მასწავლებლები და მოსწავლეები

ზედმეტად ემოციურად და დიდი პათოსით ნათქვამი სიტყვები ხანდახან უხერხულ განცდას აჩენს. გვჯერა და თან არც გვჯერა, თითქოს სიტყვა ვერასოდეს გამოხატავს ზუსტ გრძნობას, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის. ამ მოკლე განცხადებაში ყველაფერი მარტივი და თანაც ამავე დროს „გენიალურია“ – ისინი საკუთარ მინას, ჩვენ კი ჩვენი ქვეყნის ნაწილს გვინარჩუნებენ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამის გაკეთება რთულია. ყველაზე რთული კი მაინც მომავალი თაობისათვის იგივე განცდის გადმოცემაა, „იქ, სადღაც, ხელის განვლენაზე“ ჩვენი დროის უსახელო გმირები ცხოვრობენ.

უსახელოა ჩვენი რესპოდენტიც.

ნამდვილი გვარისა და სახელის დასახელების ემინია. ემინია „შინ“ მიმავალ გზაზე პრობლემები არ შეექმნას.

– როგორ მოგმართოთ? – კითხვაზე უცებ დაფიქრდა, თვალები გაუნათდა და მორიდებით ამომხედა.


– მონიკათი!

მონიკა... ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის და გალის რაიონის ერთ-ერთი სკოლის უხუცესი მასწავლებელია. სკოლაში 1965 წლიდან მუშაობს. ამბობს, რომ მშობლიური ენის სწავლება სულ უფრო რთულ ვითარებაში უწევს. სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლები ქართულად საუბარს, ქართულის სწავლასა და, მიუთმეტეს, ქართული ენის სწავლებას დევნიან.

– ყველანაირად ხელს გვიშლიან „განთლების მიღების უფლებით ვისარგებლოთ“. გალის რაიონის ყველა სკოლაში ერთი და იგივე ვითარებაა. ქართულის გაკვეთილების ჩატარება სასტიკად გვეკრძალება. ჩვენთვის გამოყოფილი საათები კი ყოველწლიურად მცირდება.

თუ გაუმართლა, ბავშვებს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ტოვებს. ქართულ ენას გალში სათადარიგო გაკვეთილის სტატუსი აქვს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდება, როდესაც სხვა საგანი ცდება. მონიკა ამბობს, რომ გალში გატარებული ყოველი დღე არსებობისათვის ბრძოლაა, ბრძოლა საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად.

აფხაზეთის ომის შემდეგ გალის რაიონში, ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმან-



თლებლო სკოლიდან ფუნქციონირება მხოლოდ 31-მა გააგრძელა. აღდგენილი 31 სკოლიდან 20 რუსულენოვან სწავლებაზე გადაყვანილი. ქართულენოვანი სწავლება შენარჩუნებულია მხოლოდ გალის ეგრეთ წოდებულ „ქვედა ზონის“ 11 სკოლაში. აღდგენილ სკოლებში მოქმედებს განსხვავებული, აფხაზური სასწავლო გეგმები. გეგმის მიხედვით სწავლება რუსულ ენაზე, მოძველებული მეთოდით მიმდინარეობს. პირველკლასელები დედა ენას ეგრეთ წოდებული „აზბუკით“ იწყებენ, კურსდამთავრებულებს კი აფხაზურ ატესტატში მშობლიურ ენად რუსული ენერებათ. სკოლებში შემცირებულია არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის საათები, არამედ შემცირებაში აფხაზური ენის გაკვეთილებიც მოჰყვა.

როგორც ქალბატონი მონიკა ყვება, საზღვარს მიღმა დარჩენილი სოფლებისათვის დიდი სტუმრულია ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა.

– წლების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება მხოლოდ ცოდნის ხარჯზე შეიძლებოდა. ახლა ყველა ხვდება, რომ ცოდნა და შრომა არ ეკარგება – ასეთი გამოცდა სტიმული არა მხოლოდ აბიტურიენტისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაცაა. ეს არის რეალური საშუალება იმისა, რომ საკუთარი შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინო. გარდა ამისა, ერთიანი ეროვნული გამოცდები მუდმივი კავშირის საშუალებაა იმ სამყაროსთან, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, – ამბობს მონიკა და თან ზღვის-ფერი თვალები ცრემლებით ევსება.

– ხშირად ყოფილა, როდესაც გამოცდაზე წამოსულები საზღვარზე არ გამოუშვიათ, სპეციალურად დაუგვიანებიათ. სეპარატისტული მთავრობა ყველანაირად ხელს გვიშლის. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენს სკოლაში სპეციალური კომისია გამოაგზავნეს. შემომხმების შემდეგ სააქტო დარბაზში შეგვკრიბეს და მეთორმეტე კლასელებს მოსთხოვეს თემები დაენერათ: „კანონსა და სამართალზე“ და „სიკეთესა და ბოროტებაზე“. თემების წაკითხვის შემდეგ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ადგა და თქვა:

– თქვენ ახლა სიკეთესა და ბოროტებაზე საუბრობთ, როგორ ფიქრობთ, ეს არ იქნება ბოროტება, თუ აქედან ნახვალთ და ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბრებთ? იცოდეთ, ველარც მშობლიურ სახლებში დაბრუნდებით და ველარც მშობლებს ნახავთ... აბა, ამაზე დიდი ბოროტება რა უნდა იყოს? – ამ განწყობის მიუხედავად გამოცდებში მონაწილეობის სურვილი დიდია, მაგრამ ალაბათ ეს არ არის მთავრი. მთავრი იმედია, იმედი, რომ ადამიანს საკუთარი ადგილის პოვნა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომა შეუძლია.

მონიკა თბილისში ორი დღით ჩამოვიდა. ხვალ, მზის ამოსვლასთან ერთად გზას უნდა გაუდგეს, წავიდეს „იქ, სადაც, ხელის განვდენაზე“, სადაც მის დაბრუნებას ელოდებიან.

ესაუბრა თეიკო ანჯაფარიძე
გიორგი გრძელიშვილის ფოტოები

ერთიანი ეროვნული გამოცდების კიდეზე ერთი მნიშვნელოვანი მხარე

ერთიანი ეროვნული, პედაგოგთა სასერტიფიკაციო, საერთო სამაგისტრო და სტუდენტთა საგრანტო გამოცდები დასრულდა. ჩაიარა, როგორც ყოველთვის, წარმატებით და პატარ-პატარა ინციდენტებით, იქ ვილაცამ საგამოცდო სექტორში რიცხვი 666 ამოიკითხა და „მხეცის ნიშნის“ შიშით გამოცდებს გამოეთიშა, რამდენიმე აბიტურიენტმა ქალების ნაცვლად ტექსტში ქალაქები წაიკითხა და ამაზე ააგო მსჯელობა, აბიტურიენტთა რაღაცა ნაწილმა კომუნისტ და საკუთარი შვილის გამყიდველ ბაბუას „პატრიოტი“ უწოდა და ა. შ. მაგრამ საბოლოოდ კვლევების მონაცემებმა აჩვენა, რომ აპლიკანტთა უმრავლესობამ წარმატებით დაძლია დავალებები, ხოლო გამოცდები სტანდარტულად საშუალო სირთულისა იყო, თუ არ ჩავთვლით პედაგოგთა შედეგებს, რომლებიც ყოველწლიურად უარესდება. წელს ამ ამბავს მოჰყვა ყველაზე დიდი აჟიოტაჟი. საერთოდ გამოცდებს ყოველ წელს ახლავს ამგავრი აჟიოტაჟი. მითუმეტეს, რომ ქართული მედია წლების განმავლობაში მას ქვეყანაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად თვლის ხოლმე და როგორც წესი, ყველა და ყველანაირი მაუწყებლობა ტესტების ჩამოტანიდან ჩარიცხვების დასრულებამდე დღეში რამდენჯერმე აშუქებს მის მიმდინარეობას. ამგვარი „გაშუქებების“ დროს გამოტოვებულია ან არასდროს არის აქცენტირებული ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც სხვა ღირსებებთან ერთად 2009 წელს „მეიმატა“ გამოცდების ეროვნულ ცენტრს. ერთიანი ეროვნული გამოცდები ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმად მხოლოდ იმიტომ კი არ ითვლება, რომ იგი შეფასების სამართლიან, გამჭვირვალე, უნიფიცირებულ პრინციპებზე დამყარებული სისტემაა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლებისათვის საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევას უზრუნველყოფს – ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა საშუალება მისცა სწავლა გაეგრძელებინათ ისეთ პირებს, რომლებსაც მანამდე ამის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ყოველ წელს გამოცდას აბარებს ასობით სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტი, მათ შორის ცერებრალური დამბლით დაავადებული და შეზღუდული მოტორული ფუნქციების მქონე ადამიანები. მათთვის საგამოცდო ცენტრებში სხვადასხვა სპეციალური პირობები იქმნება. განსაკუთრებული შემთხვევების დროს კი აბიტურიენტებს შეუძლიათ მეთვალყურეებს უკარნახონ ტექსტი და ამ ფორმით ჩააბარონ გამოცდა. წელს მე ვნახე რამდენიმე აბიტურიენტი, რომლებსაც ავარიისათუ სხვა შემთხვევების გამო აბსოლუტურად უფუნქციო ჰქონდათ მარჯვენა ხელი და უზომოდ გახარებულები იყვნენ იმის გამო, რომ მიუხედავად ასეთი პრობლემისა შეძლეს გამოცდები ჩაებარებინათ და სტუდენტები გამხდარიყვნენ. ილია ჭანუყვაძემ ავტოავარიაში მიძიმედ დაიზიანა კიდურები და თვალს:


– ილია, თქვენ გამოცდების ეროვნულ ცენტრს განცხადებით მომართეთ, რომ გაეთვალისწინებინათ თქვენი პრობლემა, რამდენად მოულოდნელი იყო, როცა გაიგეთ,

რომ მიუხედავად ავტოავარიის შედეგად მიყენებული ტრამეებისა, მაინც შეძლებდით გამოცდებზე გასვლას?

– პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ არაჩვეულებრივი პირობებისათვის, რომლებიც შემოქმენით. სიმართლე გითხრათ, გამოცდებზე ხელი მქონდა აღებული და მომავალ წელს ვფიქრობდი ჩაბარებას. როდესაც ვავიგე, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრი განსაკუთრებულ პირობებს შემოქმენდა, ძალიან გამეხარდა, ეს აბსოლუტურად მოულოდნელიც იყო, რადგან აქამდე ასეთი რამ არასოდეს და არსად გამიგია.

– რა შელავათები გქონდათ და როგორ ჩაიარა გამოცდებმა?

– მარჯვენა ხელის მოტეხილობის გამო წერა არ შემეძლო, მაგრამ გამოცდები კარნახით დავწერე. წერაში ცენტრის თანამშრომლები დამეხმარნენ, რომლებიც არაჩვეულებრივი ადამიანები აღმოჩნდნენ და შესანიშნავი პირობები შემოქმენეს. გარდა ამისა, მე ვგრძნობდი მათ თანადგომასა და ზრუნვას, რაც ჩემთვის ერთგვარი მოტივაცია აღმოჩნდა და ძალიან დამეხმარა გამოცდების ჩაბარებაში. მადლობა ყველას.



„გამოცდების ეროვნულ ცენტრში“ 2006 წლიდან სპეციალურად ბრაილის შრიფტით იქმნება საგამოცდო ტესტები უსინათლოებისათვის, წელს მათ გაუმჯობესებული სისტემით, ბუს სპეციალური პროგრამითაც შესთავაზა ცენტრმა გამოცდების ჩაბარება. ცენტრი სისტემატურად ზრუნავს სპეციალური საჭიროების მქონე აბიტურიენტებისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად, მთავარი კი ის არის, რომ გამოცდებში მონაწილეობის უფლება მსჯავრდებულ აპლიკანტებსაც აქვთ. 2009 წელს მინისტრ ნიკა გვარამიას ინიციატივითა და გადაწყვეტილებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირველად მიმართა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს განცხადებით, რომ გამოცდებზე რეგისტრაციის გავლისა და გამოცდებზე გასვლის უფლება დაერთო იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც უმაღლესში სწავლის გაგრძელების სურვილი ჰქონდათ. შეთანხმება შედგა. კოკა ლებანიძე ერთ-ერთი პირველია, ვისაც ეს რეფორმა შეეხო:

– კოკა, ვინ შეგატყობინა და რა რეაქცია გქონდა, როცა გაიგე, რომ ამიერიდან მსჯავრდებულ აბიტურიენტებსაც ჰქონდათ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების უფლება?

– სატელეფონო საუბრისას გამაგებინეს სახლიდან, რომ მაძლევდნენ გამოცდაზე გასვლის უფლებას, რაც, ფაქტობრივად, ციხიდან გამოსვლას უდრიდა ჩემთვის, არ მეგონა სრულ დაფინანსებას თუ ვერ მოვიპოვებდი, ორი ქულა დამაკლდა მხოლოდ.

– გამოცდების დაწყებამდე რამდენი ხნით ადრე დაგაპატიმრეს და რა იყო ამის მიზეზი?

– 17 მარტს დამიჭირეს, გამოცდები ივნისის ბოლოს იწყებოდა. დეტალებზე არ მსურს საუბარი, გამიგებთ ალბათ... დიდი დროც გავიდა და არც ვიხსენებ ხოლმე იმ უსიამოვნო ამბავს, ღმერთმა გადამარჩინა და ცოცხალი გადარჩა დაზარალებული.

– გამოცდაზე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენე, თუ ახერხებდი ციხის პირობებში მეცადინეობას?

– ციხეში, წინასწარი დაკავების იზოლაციაში მეცადინეობა ცოტა მოუხერხებელია, მაგრამ გამოცდების წინ გარკვეული მასალის გადახედვა მოვასწარი, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი 3 თვე გამიცდა.

კოკამ 70%-იანი დაფინანსება მოიპოვა. გამოცდების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში შეწყალების წერილი პრეზიდენტს ეგზავნება. ამ შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა 30 აგვისტოს. სტუდენტური ცხოვრება მოსწონს, მომავალ წელს მაგისტრატურაშიც აპირებს ჩაბარებას.

2009 წელსვე დადგა საკითხი, თუ როგორ შეიძლებოდა უკეთესად მომზადებულიყვნენ მსჯავრდებულები ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. გადაწყდა, რომ დაპატიმრებისთანავე არასრულწლოვანი 123-ე საჯარო სკოლაში ჩაირიცხებოდა, რომლის პედაგოგებსაც უფლება ექნებოდათ ყოველდღიურად, ჩვეულებრივ სასკოლო რეჟიმში ჩაეტარებინათ მათთვის გაკვეთილები.

123-ე საჯარო სკოლის დირექტორი ნინო კვიციანიშვილი:

– 2009-2010 სასწავლო წელს სასჯელალსრულებისა და განათლების სამინისტროების ერთობლივი ინიციატივით შეიქმნა პროექტი „სასჯელალსრულების

დაწესებულებებში ზოგადი განათლების უზრუნველყოფა“, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვანი ვაჟები და გოგონები მიიღებდნენ სრულ ზოგად განათლებას. განათლების სამინისტრომ გამოაცხადა პედაგოგთა შესარჩევი კონკურსი და დაიქირავა 22 პედაგოგი, მათ შორის მეც.

პირველივე სასწავლო წელს დადგა საჭიროება პროექტი ერთ რომელიმე სკოლას განეხორციელებინა, რადგან სამართლებრივად სხვაგვარად ვერ მოხდებოდა ატესტაციით განათლების დადასტურება. მე თავად წამოვაცენე ინიციატივა 123-ე საჯარო სკოლას ეტვირთა ეს საქმე. მას შემდგომ ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომლებიც სწავლაზე აცხადებენ თანხმობას, ირიცხებიან 123-ე საჯარო სკოლაში და იღებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის განათლებას. პირველივე სასწავლო წელს 7-მა მსჯავრდებულმა წარმატებით დაძლია ეროვნული გამოცდები. მათგან პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ იქნა სამი. დანარჩენი 4-დან სამი სხვადასხვა დროს გათავისუფლდა და გააგრძელა სწავლა.

– ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული ყველა მსჯავრდებული აბიტურიენტი ახერხებს გამოცდაზე გასვლას, თუ გააჩნია დანაშაულის სიმძიმეს?


– 2011 და 2012 წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო დარეგისტრირებული აბიტურიენტებიდან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ 2-2 აბიტურიენტის გაყვანა მოხერხდა. გულწრფელად რომ გითხრათ, ბავშვები ჩაცმულები ელოდნენ ბადრაგების თანხლებით გამოცდაზე გასვლას, მოვიდა მანქანა და მათგან მხოლოდ ორი აბიტურიენტი წაიყვანა, უმძიმესი სურათი იყო, ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი მიადგა ბავშვებს და მათ შემყურეს ჩვენც... წელს ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა. ყველამ შეძლო გამოცდების ჩაბარება.

– მსჯავრდებულებს თუ მოსწონთ პროექტი? ზოგჯერ სირთულეებს ხომ არ აწყდებით მათი მხრიდან?

– სირთულეები, რა თქმა უნდა, არის. ამ სირთულეების გადალახვას სასჯელალსრულების არასრულწლოვანთა N11 სპეციალური დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ფსიქოლოგებთან, სოციალურ სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით ვახერხებთ. პირველი ამოცანა მოტივაციაა, სურვილი იმისა, რომ მსჯავრდებული ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ეს სულაც არ არის მარტივი. მოზარდებს, რალა თქმა უნდა, პროექტი მოსწონთ, ეს მათთვის არის გარკვეულწილად გარესამყაროსთან შეხების ერთ-ერთი საშუალება, თავს გრძნობენ სრულფასოვან მოსწავლეებად, ბავშვებად. განსაკუთრებით აინტერესებთ ის თემები, რომლებზეც მასალის ვიზუალიზაციის საშუალება გვაქვს პედაგოგებს.

– საჯარო სკოლის შესაბამისად, მათაც ყოველ დღე უტარდებთ გაკვეთილები, თუ ამისათვის სპეციალური დღეებია გამოყოფილი?

– სწავლა მიმდინარეობს ჩვეულებრივი საგაკვეთილო რეჟიმით, ესგ-ს საათობრივი ბადით. ერთადერთი განსხვავებაა – დილით არ ვიწყებთ 9 საათზე და დიდი შესვენება უფრო ხანგრძლივია, ვიდრე საჯარო სკოლაში, დაწესებულების რეჟიმსა და მოზარდთა კვების დროს ვითვალისწინებთ.



- სასჯელალსრულების დაწესებულებაში სასკოლო გარემოს შესაქმნელად თუ არის სახელმწიფოს მხრიდან თანხები გამოყოფილი და გინვით თუ არა დამატებით ინვენტარის შეტანა?

- სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს პირადი სახელმძღვანელოებით, ყველა სასწავლო რესურსითა და სკოლის ინვენტარით. მიმდინარე წელს აშენდა ცალკე შენობა სკოლისათვის, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან იდეალურ სასწავლო გარემოში განვაახლებთ სასწავლო პროცესს. დაწესებულების ადმინისტრაციამ ინფრასტრუქტურული, შენობის აღჭურვისა და სხვა თემები არ გადაწყვიტა ჩვენთან კონსულტაციის გარეშე და გაითვალისწინა ყველა ის ნიუანსი, რომელიც სასწავლო პროცესისათვის იყო მნიშვნელოვანი.

- რამდენად გააძარტლა პროექტმა, 2009-2012 წლებში რამდენმა მსჯავრდებულმა შეძლო უმაღლესში სწავლის გაგრძელება?

- 10-მა პირდაპირ სასჯელალსრულების სიტემიდან ჩააბარა და გააგრძელა სწავლა. მაგრამ ამაზე ბევრად მეტია მათი რაოდენობა, ვინც ციხეში აიღო ატესტატი, გაათავისუფლდა და ისე ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად წელს, სკოლაში გამოსაშვებ გამოცდებზე 18 ყოფილი მსჯავრდებული გვესწრებოდა, მათი უმრავლესობა აბარებს ეროვნულ გამოცდებს და რამდენადაც ვიცი, წარმატებულად. ამ თემაზე ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბრო, განსაკუთრებით თვით მოსწავლეებზე, მაგრამ ჩემზე უკეთ ისინი ისაუბრებენ პროექტის მნიშვნელობის, მისი აქტუალობისა და მათ ცხოვრებაში შეტანილი წვლილის შესახებ. ამ პროექტმა

ბევრი მათგანის ცხოვრება შეცვალა და გაუხსნა გზა მომავლისაკენ - წარმატებული მომავლისაკენ. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, გაესაუბრეთ მათ: გვანცა ყუფარაძე, გიორგი ზერეკიძე - მხოლოდ ამ ორს დავასახელებ, რადგან მათ შესახებ ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის, სხვათა შესახებ კი, როგორც ყოველთვის, კონფიდენციალობას არ დავარღვევ.

გვანცა ყუფარაძე ახლა თავისუფალია და საკმაოდ წარმატებული სტუდენტი გახლავთ:


- გვანცა, თქვენ 14 წლის იყავით, როცა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხვდით, შესაბამისად, ამავე ასაკიდან ირიცხებოდით 123-ე სკოლის მოსწავლედ, როგორ მიდიოდა ციხეში თქვენი საგანმანათლებლო პროცესი?

- დიახ, 14 წლის გახლდით, როდესაც პენიტენციურ სისტემაში მოხვდით. იმ პერიოდში არასრულწლოვან გოგონათა სასჯელალსრულებითი დაწესებულების არარსებობასთან ერთად, არ არსებობდა არამცთუ სკოლა, არამედ საბაზო განათლების მიღების ელემენტარული რესურსიც კი არ მოიპოვებოდა. 2009 წელს ჩემი მშობლების, იურისტების, უფლებადამცველებისა და საერთაშორისო დონის ჟურნალისტების მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, განათლების მიღების შესაძლებლობა მომეცა. პროექტი, რომლის წყალობითაც სწავლა დავინწყეთ განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის ხელშეწყობით, მხარდაჭერითა და პირდაპირი დაფინანსებით. 2009 წელს UNICEF-ის ინიციატივა მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ინიცირებული პროექტის ხელმძღვანელად დანიშნა განათლების სამინისტროში ამავე სახის საგანმანათლებლო საკითხების კომპეტენციით აღჭურვილი პირი - გვანცა ლიპარტელიანი. ქალბატონი

გვანცა დიდი კეთილშობილებითა და პროფესიონალიზმით ეკიდებოდა აღნიშნულ საკითხს. სისტემაში განთავსებულ არასრულწლოვნებს ის არაერთხელ შეგვხვდა, როგორც UNICEF-ის წარმომადგენლების, ასევე პირადი ინიციატივით, მისი წყალობით ის პედაგოგები, რომელთაც ჩვენს განათლებაზე უნდა ეზრუნათ, ეროვნულ დონეზე, კონკურსის წესით შეირჩნენ. შესაძლებლობა, რომელიც ქალბატონმა გვანცამ ასეთი პედაგოგების სასჯელალსრულებით დაწესებულებაში შემოყვანით მოგვცა, ჩვენთვის იყო ჯანსაღი ცხოვრების გაგრძელების მანძი.

– ყველა საგანს სწავლობდით, რამდენად ჰგავს ციხის სკოლა ჩვეულებრივს?

– 2009 წლის ოქტომბრიდან ჩვენ სრულყოფილად ვსწავლობდით საბაზო და საშუალო განთლების შესახებ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საგანს. სასწავლო პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდონარეობდა, მაგრამ სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური სტატუსი, თუმცა ისტორიკოსის, 123-ე საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონი ნინო კვიციანიშვილის დიდი ძალისხმევით, შრომისა და პირადი, „ადამიანური მოტივაციის“ წყალობით, პირადად მისი ღვაწლის შედეგად, ჩვენმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ და არასრულწლოვან ვაჟთა სკოლამ, რომელიც ეტაპობრივად მანამდეც ფუნქციონირებდა, მიიღო ოფიციალური სტატუსი საბაზო და საშუალო განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გამოიხატა პენიტენციურ სისტემაში არსებული სკოლების 123-ე საჯარო სკოლის იურიდიულ ციხეში შეყვანით, ამ მიღწევის შედეგად ყოველი ბავშვი, რომელიც გაივლიდა სასწავლო პროგრამას და



ჩააბარებდა სასკოლო გამოსაშვებ გამოცდებს, მანამდე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მათ შორის ექსტერნის წესითაც, მიიღებდა 123-ე საჯარო სკოლის ჩვეულებრივ ატესტატს. ეს იყო იმ დროისათვის ისტორიული მნიშვნელობის მიღწევა, აღსანიშნავია, რომ 123-ე საჯარო სკოლა საგანმანათლებლო კრიტერიუმების სრული რეცეფციონების წყალობით, როგორც აკადემიურ წრეებში, ასევე საზოგადოებაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა, სწორედ ეს გახდა მიზეზი წარმატებისა, რომელიც ამ პროექტის განხორციელებით იქნა მიღწეული.


– თქვენ სიყვარულით იხსენებთ 123-ე სკოლის დირექტორს. მასწავლებლები თუ მოგწონდათ?

– პირადად მე მასწავლიდა 123-ე საჯარო სკოლის 4 პედაგოგი. სულ ათნი იყვნენ. ათივე პედაგოგი საქართველოს მასშტაბით იქნა შერჩეული კონკურსის წესით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს 123-ე საჯარო სკოლის დონესა და მასში დამკვიდრებულ ღირებულებებს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დეტალის ხაზგასმა უბრალოდ აუცილებელია: ერთია ხარისხისა და კომპეტენციის დონე და მეორე სურვილი იმისა, რომ ასწავლო მსჯავრდებულებს, კარიერის აღმასვლის დროს, მაშინ, როდესაც არც პროფესიულ და არც პრივატულ დონეზე ეს არაფერში გჭირდება. – ჩემი შინაგანი რწმენით ეს იყო მათი პიროვნული ინტერესი, სწრაფვა დახმარებისა და მოზარდთა ფენიქსირებისაკენ, – პროფესიონალის ჟინი შექმნას ყველაფერი არაფრისაგან. ჩვენმა პედაგოგებმა დაამკვიდრეს იდეოლოგია, რომელიც პირადად ჩემთვის ცხოვრების აზრი გახდა. ჩემი აზრით, ყოველივე ეს არა მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრულ პირთა ჯგუფის, არამედ სრულიად საზოგადოების მიღწევაა, ეს არის ჩვენი საზოგადოების სოლიდური ნაბიჯი გადადგმული ჯანსაღი სოციალური გარემოსა და დემოკრატიისაკენ. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ინტენსიურ რეჟიმში, პედაგოგები სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ დროს ყოველდღიურად აჭარბებდნენ, ისინი ჩვენთან იყვნენ კვირამი 6 დღე – დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე. გასაუვლელი იყო მეტად რთული სასწავლო ეტაპები ორგანიზების თვალსაზრისით, რადგან ციხეში მყოფი ყოველი ბავშვი სხვადასხვა ასაკისა და აკადემიური მოსწრებისა იყო, შესაბამისად, თითოეულს სჭირდებოდა ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, ისინი ყოველივე ამას სრული ენთუზიაზმისა და დიდი შინაგანი მოტივაციის ფონზე აკეთებდნენ.

– როდის მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასულიყავით და გაამართლა თუ არა გამოცდებმა თქვენი იმედები?

– ამ საკითხზე დაკავების დღიდან ვფიქრობდი. თავდაპირველად არ მინდოდა ჩამოვრჩენილიყავი სასწავლო პროცესს, შემდგომში, როდესაც სიტუაცია გართულდა, განათლების დამოუკიდებლად მიღება გადავწყვიტე, ხოლო პედაგოგებთან შეხვედრის შემდეგ მათი დახმარების წყალობით მიზანს მივაღწიე. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას, რომელშიც ვცდილობ, ყოველივე იმის შესახებ ჩავაქსოვე აზრი, რასაც ვგრძნობდი და ვგრძნობ – შედეგი, რომელიც მივიღე, არის ჩემი პედაგოგების მიღწევა, ყოველივე ეს მათი შექმნილია, მოსვლის პირველი დღიდან ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩემი ეტაპირების დღემდე. ჩემმა პედაგოგებმა შეძლეს მოვემზადებინე

ისე, რომ ერთ წელიწადში ჩამებარებინა სამი სასწავლო წლის პროგრამა ექსტერნის წესით – IX, X და XI კლასები, მომდევნო წელს კი XII კლასის სასწავლო პროგრამა და ერთიანი ეროვნული გამოცდები, რის შედეგადაც, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდგომ ჩავირიცხე გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისაღებ გამოცდებზე ჩემს დასახვედრად მოზრძანდა „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია მიმინოშვილი, რომელიც ძალიან თბილად მომექცა და გამამხნევა, სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო, ეს მომენტი ყოველთვის მემახსოვრება. ხშირად მახსენდება, რომ გამოცდებისათვის მოსამზადებელი პერიოდი დაემთხვა პენიტენციურ სისტემაში არსებულ კარანტინს. ჩვენ რუსთავში მოგვინია ეტაპირება, ერთი თვის განმავლობაში პრაქტიკულად ჩაკეტილები ვიყავით, არ ვიცოდით განახლებოდა თუ არა სასწავლო პროცესი. ჩვენი პედაგოგები კი ჩვენთან თბილისიდან რუსთავში ყოველდღე დადიოდნენ იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც გენახავდნენ... ბოლოს მაინც შეძლეს პროცესის განახლება, ყველაფერი საკუთარი ხელით გააკეთეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პედაგოგები, პედაგოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ქალბატონი ნატო სანაია ყოველთვის ცდილობდნენ, რომ სკოლაში დიდი ხნით დავეტოვებინეთ. მახსოვს ქალბატონ ნატოს ხშირად უთქვამს, ალუნიშნავს ჩვენთან, რომ შესაძლებლობის მიცემის შემთხვევაში სალამოს ექვსი სათის შემდგომაც სიამოვნებით გაატარებდა ჩვენთან დროს. გონებიდან არ ამომდის სკოლის დირექტორის, ქალბატონი ნინო კვიციანიშვილის მზერა, როდესაც მან კარანტინის შემდგომ პირველად გენახა, ეს პიროვნება 7 თვის ორსული შემოვიდა საპყრობილეში, რომელში შემოსვლასაც იზოლაციის დროს გავრცელებული სამიში ეპიდემიის გამო ის პირებიც კი არიდებდნენ თავს, რომლებსაც შემოსვლისა და მუშაობის პირდაპირი ვალდებულება ეკისრებოდათ. ის წლები ჯოჯოხეთს ჰგავდა, მაგრამ ეს დადებითი სხივი არის ნათება, რომელიც ჩემში ყველაფერს ფარავს.



– რა პროფესია აირჩიეთ და რა იყო ამ არჩევანის მიზეზი?

– გადავწყვიტე იურისტი გავმხდარიყავი და ჩავბარე იურიდიულ ფაკულტეტზე. რასაკვირველია, ამ არჩევანის მიზეზი იყო უსამართლობა, რომელიც თავს გადამხდა. მე ყოველთვის ვამბობდი, ვამტიციებდი, რომ უდანაშაულო ვიყავი, სწორედ ამიტომ ეს იყო ჩემი რევანში უსამართლობაზე, გარდა ამისა, ერთხელ ერთ ოფიცერს პენიტენციურ სისტემაში შევპირდი, რომ მასავით იურისტი გავხდებოდი, მაშინ ბავშვი ვიყავი, ამ ადამიანმა ჩემზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა, არ ვიცი როგორ აგხსნათ, ათობით მოძალადე თანამშრომლის ზემოქმედების კვალდაკვალ, ის თითქოს „ანათებდა“.

– თქვენ, როგორც მომავალი იურისტი, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა უკეთესი რეაბილიტაციისათვის?

– ნებისმიერი არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის, მიუხედავად მისი უდანაშაულობისა თუ დანაშაულისა, პიროვნული თვისებებისა და დანაშაულის ხარისხისა, პედაგოგთან ურთიერთობა არის გადარჩენის შანსი, მოზარდის განვითარებისა და პიროვნული

წინსვლის შესაძლებლობა, ეს არის რეაბილიტაციისა და პრევენციის ჩაუნაცვლებელი ფორმა, რომელიც ახლა ორმაგად საჭიროა, რადგან გვაქვს საშუალება მიღწეული შედეგი გაორმაგდეს, დამნაშავეს მიეცეს საშუალება დაისაჯოს და შეიმეცნოს დასჯის ნორმა. მხოლოდ დასჯითი ქმედების ანალიტიკურ დონეზე შეგნებაა ქვეყნის რეაბილიტაციის ერთადერთი საშუალება, მექანიზმი, რომელიც პრობლემას არა მხოლოდ დროებით შეაჩერებს, არამედ სრულიად აღმოფხვრის. სწორედ ამიტომ, როგორც ადამიანი, ყოფილი არასრულწლოვანი მსჯავრდებული და მომავალი იურისტი მივიჩნევ, რომ მოქმედ ეტაპზე ჩვენი სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებითი საჭიროება იკვეთება აღნიშნული პროექტის მეტ ხელშეწყობაში, იდეოლოგიურ მზაობასა და დახმარებაში. ზემოხსენებულ პედაგოგებს უპრეცედენტო შედეგის მიღების რესურსი აქვთ.

წელს გამოცდები 9 მსჯავრდებულმა ჩააბარა. მათგან 4-მა გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ახლა შეწყალებას ელოდება.

ქეთი კვიციანი
გიორგი გრძელიშვილის ფოტოები

ყოველ სამშაბათს, 14 საათსა და 10 წუთზე,
გადაცემა „გამომცემიდან – გამომცემაზე“ –
თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად!

საინფორმაციო მხარდაჭერი –
შეფასებისა და გამომცემის ეროვნული ცენტრი!

„იკოვე შენი მომავალი“
გადმოერთე „იბედზე“ – რადიო „იბედი“
Fm 105.9!



კვლეობთა სერტიფიცირება – როგორც სტიმული

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები 2010 წლიდან დაიწყო და დღემდე მისი მთავარი მიზანი მასწავლებლების დონისა და პროფესიონალიზმის შეფასებაა. ამის წინაპირობა კი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საქმიანობა გახდა, რომელსაც ტრენინგების საშუალებით უნდა გადაემზადებინა პედაგოგი გამოცდის წარმატებით დასაძლევად. მოქმედი მასწავლებლებისათვის ამგვარი ტრენინგები დღემდე უფასოა. როგორ იმუშავა ამ ჯაჭვმა და რა უნდა



გაითვალისწინოს გამოცდაზე სეტიფიცირების მსურველმა პედაგოგმა? სასურველია თუ არა დღევანდელი საგამოცდო სქემის შეცვლა და რამდენად დაძლევადა ის? ამ შეკითხვებით ერთ-ერთი საუკეთესო შედეგის მქონე მასწავლებელს – ეკა ხვედელიძეს მივმართეთ, რომელიც დაწყებით კლასებს ასწავლის 128-ე სკოლაში.

– ენო ეკა, როდის გადანყვიტეთ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა?

– ბევრი არ მივიქრია, მე, როგორც პედაგოგმა, რომელსაც მიმაჩნია, რომ ვარ კვალიფიცირებული, ჩავთვალე, რომ მომეცა შანსი საკუთარი შესაძლებლობების გადასამოწმებლად და მივიღე გადაწყვეტილება გავესუ-

ლიყავი გამოცდაზე. მასწავლებელთა სერტიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. მოგეხსნებათ, ბოლო წლებში შეიცვალა სასწავლო პროგრამები, შემოვიდა ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც ძირითადად სწავლა-სწავლების პროცესზეა ორიენტირებული. შედეგს კი მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ პედაგოგი ზუსტად მოახერხებს ამ ცვლილებების მიტანას მოსწავლემდე. მასწავლებელი მნიშვნელოვანი ფიგურაა და რეალურად მის კვალიფიკაციაზე დამოკიდებული მოსწავლის მიღწევები. პედაგოგმა უნდა დააინტერესოს მოსწავლე თავისი საგნით, გაითვალისწინოს მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თვისება. სასერტიფიკაციო გამოცდები კი სწორედ ამას ემსახურება, აქ მოწმდება პედაგოგიური უნარი და საგნობრივი ცოდნა. გამოცდები კარგი საშუალებაა თვითშეფასებისათვის.

– რა პერიოდი დაგჭირდათ მოსამზადებლად და როგორ მიმდინარეობდა მომზადების პროცესი?

– სასერტიფიკაციო გამოცდა საკუთარ თავზე ბევრ მუშაობას მოითხოვს. რეფორმების პროცესში წლებია ჩართული ვარ, ჩემთვის ყველა სიახლე საინტერესოა და მუდმივად ვცდილობ საქმის კურსში ვიყო, მიღებულ ცოდნას ვიყენებ პრაქტიკაში. სწორედ ეს დამეხმარა სასერტიფიკაციო გამოცდებში წარმატების მიღწევაში, ამის გარეშე, მხოლოდ რამდენიმე დღიანი ტრენინგის საფუძველზე გამოცდის წარმატებით დაძლევა, ალბათ შეუძლებელია.



– თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა სასერტიფიკატო გამოცდა და რას შეცვლიდით მის ფორმატში?

– მასწავლებლის სერტიფიცირების საჭიროების შესახებ საზოგადოების წარმომადგენლები თითქმის აღარ კამათობენ. სერტიფიცირების მიზანია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენა. ამიტომ სერტიფიცირების პროცესი მასწავლებლისაგან საკუთარ თავზე ბევრ მუშაობას მოითხოვს. გამოცდები კარგია თვითშეფასებისათვის. წლები ყოველთვის შტამპავს ადამიანს, ამიტომ პროფესიონალი პედაგოგი მუდმივად ზრდის, განახლების პროცესში უნდა იყოს. სერტიფიცირება რეფორმების ნაწილია, ევროპის ქვეყნებში ეს მიღებული პრაქტიკაა, ყველგან ხდება პედაგოგთა პროფესიული კვალიფიკაციის განახლება. რაც შეეხება სერტიფიცირების ფორმატს, ნამდვილად მისაღებია, მაგრამ არის საკითხები, რომლებსაც დახვეწა ესაჭიროება, თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

– საგნის ცოდნისა და პროფესიული უნარების გარდა კიდევ რა თვისებებია საჭირო პედაგოგისათვის?

– საგნის ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების გარდა მასწავლებელი კარგი პიროვნული თვისებების მატარებელი უნდა იყოს: კეთილი, გულისხმიერი, სამართლიანი, კარგი მსმენელი და შრომისმოყვარე. ბავშვის სიყვარული კი მასწავლებლისათვის აუცილებელ მთავარ ღირსებად მიმაჩნია. როგორც ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა: „მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება... მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება

შეუძლებელია, იგი გაცილებით მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია...“ (ილია II) .

ჩემი მასწავლებელი

მე მინდა, რომ ჩემი მასწავლებელი იყოს: ღამაში, ზავშეკები რომ ხამეს დააშავებდნენ კუთხეში არ დასვენოს, იყოს მხიარული, ახიხუბობდეს, უყვარდეს ხატვა, ეჩქვას მე. ნინი შახუხია.

– რამდენად რთულია სასერტიფიკატო გამოცდა და რა უნდა გაითვალისწინოს გამოცდაზე პედაგოგმა?

– იოლი არცერთი გამოცდა არ არის, ყველა მოითხოვს შრომასა და ცოდნის გაღრმავებას. მაგრამ მასწავლებლის სერტიფიცირებისათვის მარტო თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის, საჭიროა პრაქტიკული გამოცდილება. სასწავლო პროცესი ცოცხალი ორგანიზმი და მას ფრთხილი და სათუთი მოპყრობა სჭირდება. უმეტესმა ნაწილმა ძალიან კარგად იცის თეორიული მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილი იყენებს ამ აქტივობებს პრაქტიკაში, რაც შემდეგ უარყოფითად აისახება მათ პროფესიულ წინსვლაზე. საკმაოდ ეფექტურია პედეგოგებს შორის თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების მიზნით. მასწავლებლები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ, აღნიშნავენ, რომ ურთიერთსწავლება მათ დასახული მიზნის მიღწევასა და მოტივირებაში ეხმარება.

– თქვენ ამბობთ, რომ ბევრს მუშაობთ ახალი მეთოდების შესაძენად და სხვადასხვა პედაგოგიური პრაქტიკის გასაცნობად. როგორ ახორციელებთ პრაქტიკაში თანამედროვე მიდგომას და რომელი ქვეყნების გამოცდილება დაგეხმარათ ახლებური მიდგომების ათვისებაში?

– ჩემთვის, როგორც დანყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის, სწავლების თეორიებიდან ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაა. პედაგოგთა მიზნები განუხორციელებელი





დარჩება, თუ ჩვენ არ შევიმეცნებთ ბავშვის ფსიქოლოგიის არსს. აქედან გამომდინარეა, რომ სწავლების პირველ წლებში დაუშვებელია ციფრული შეფასება, რაც ხელს უშლის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროს განვითარებას.

პროფესიონალიზმი, რომლის განუყოფელ ნაწილად გუნდური მუშაობა განსაზღვრეს. ამ რეფორმის შედეგად მასწავლებლობა ძალიან დაფასებულ პროფესიად იქცა. მათ საოცარი ნდობა გამოუცხადეს საკუთარ მასწავლებლებს, ამ ქვეყანაში მასწავლებელთათვის არავითარი ტესტირება არ არსებობს. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი განათლების სისტემა მალე უფრო მეტად დაიხვეწება და ამ ქვეყნის გამოცდილებასაც გაითვალისწინებს.



რაც შეეხება სხვა ქვეყნების გამოცდილებას, ამჟამად ყველაზე მეტად ფინური განათლების სისტემის წარმატებით ვარ მოხიბლული. განათლების რეფორმა მათ მომავალი მასწავლებლების შერჩევითა და გადამზადებით დაიწყო, ამით საგრძნობლად ამაღლდა მასწავლებელთა

ჩემი მასწავლებელი

ჩემი მასწავლებელი ლამაზია. სულ მეფერებს და მეუბნება, რომ კარგი გოგო ვარ. ჩემი მასწავლებელი არ იცხულებს და როცა სხვები მეუბნებიან: ცოდი ბავშვი ჯსაბო! ახ პუჯაქუშ. ვტიქრობ, რომ ჯარგად ახ მოცნობენ ისე ახ მოცნობენ ხოვოიყ ჩემი მასწავ.

ოლოლა ჩემი II კლ.

– და ბოლოს, არის თუ არა სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევა პედაგოგისათვის სტიმული?

– დღესდღეობით სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევა მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ასამაღლებლად სახელმწიფოს ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც მასწავლებლისათვის კარგი სტიმული და მოტივაციაა პროფესიული განვითარების გზაზე. სხვა ამდაგვარი „სტიმულების“ მოფიქრებაც არ გვანწყენდა ქართველ პედაგოგებს.

**ესაუბრა ქეთი კვიციანი
გოგა ჩანადირის ფოტოები**

The ACCA logo consists of the letters 'ACCA' in a bold, white, sans-serif font, centered within a solid red square.

**THE GLOBAL
BODY FOR
PROFESSIONAL
ACCOUNTANTS**

Authorised Center for Computer Based Examinations

„გამოცდების ეროვნული ცენტრი“ აპლიკანტებს

სტავაზობს ACCA-ს გამოცდებს

ACCA არის მსოფლიო ორგანიზაცია პროფესიონალი ბუღალტრებისათვის. მისი მიზანია მომხმარებელს შესთავაზოს შესაბამისი ბიზნეს კვალიფიკაცია, რომელიც პიროვნებას დაეხმარება მიაღწიოს კარიერულ წინსვლას ბუღალტერიაში, ფინანსებსა და მენეჯმენტში.

ორგანიზაციას ამჟამად ჰყავს 162,000 წევრი და 426,000 სტუდენტი 170 ქვეყანაში.

„გამოცდების ეროვნული ცენტრი“ გახდა პირველი ლიცენზირებული ორგანიზაცია საქართველოში, რომელსაც აქვს უფლება ჩაატაროს ACCA-ს შემდეგი კომპიუტერული გამოცდები:

ბუღალტერიის საფუძვლები (Foundations in Accountancy):

- FA1 Recording Financial Transactions
- MA1 Management Information
- FA2 Maintaining Financial Records
- MA2 Managing Costs and Finance
- FAB Accountant in Business
- FFA Financial Accounting
- FMA Management Accounting

ACCA -ს კვალიფიკაცია (ACCA Qualification):

- F1 Accountant in Business
- F2 Management Accounting
- F3 Financial Accounting



**გამოცდების
ეროვნული ცენტრი**

როგორ აირჩია პროფესია გურამ დოჩანაშვილმა?

როგორც არ უნდა გინდოდეთ, რომ მწერალი გამოხვიდეთ, პროფესია – მწერალს ვერ აირჩევთ, რადგან არ არსებობს ასეთი ფაკულტეტი. ისევ წიგნებიდან მოგინვეთ იმის სწავლა, როგორ არ უნდა წეროთ, ხოლო როგორ უნდა წეროთ – ეს უკვე თქვენი ნიჭის საქმეა. ამიტომ (ნუ, ხშირად გამოუვალი მდგომარეობის გამო) ყველა მწერალს ორი ან მეტი პროფესია აქვს. ამ წერილიდან შეიტყობთ, როგორ აირჩია პროფესია გურამ დოჩანაშვილმა და როგორ გახდა ის მევიოლინე, მოგვიანებით არქეოლოგი და ბოლოს ცნობილი მწერალი.



სანამ გურამ დოჩანაშვილთან ინტერვიუს ჩასაწერად მივიდოდი, მისი 700-გვერდიანი ბიოგრაფიული რომანი წავიკითხე – „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“. ბატონ გურამს ადრეული ბავშვობიდანვე ახსოვს ყველაფერი და რომანშიც ამ დროიდან სტუდენტობის ჩათვლით თითქმის ყველაფერი დეტალურადაა მოთხრობილი. ერთი კი გავიფიქრე: ნეტავ, რომანის გამოსვლამდე მომეხსნრო ეს ინტერვიუ, ნაკლები უხერხულობა მექნებოდა-მეთქი, მაგრამ კიდევ რაღაც დეტალების გაგების სურვილმა არ მომასვენა და მივედი. იმის გამო, რომ წაკითხული მქონდა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, უხერხულობის განცდა ვერ მოვიცილე – არ მინდოდა ამ მოთხრობის პერსონაჟს, აგრესიულ და სულელ კორესპონდენტს დავმსგავსებოდი, რომელიც ბოლოს საქმის ვერგამოსვლის გამო „ჩამოაღაბორანტეს“. წინასწარ მომზადებული კითხვების დავთარი დავხურე და უბრალოდ ვკითხე: „როგორ ხართ, ბ-ნო გურამ?“ „რა ვიციო“, – მიპასუხა და გაიღიმა. უცნაურია, შინაგანად სავეს და კარგ ადამიანებს ისეთი ღიმილი აქვთ, თითქოს გულში გიხუტებენ. სწორედ ეს ქვეცნობიერი ჩახუტება გახდა ჩვენი უშუალო და გახსნილი დიალოგის დაწყების წინაპირობაც. („კარგი ადამიანი“ თუ გაუგებარი და პირობითი ცნებაა თქვენთვის, გაიცანით დოჩანაშვილის პერსონაჟი გრიშა კეჟერაძე).

რადგან ჩვენი ჟურნალი, ისევე, როგორც ის ცენტრი, რომელიც მას გამოსცემს, გამოცდების ირგვლივ ტრიალებს, პირველი შეკითხვა მეც ამ თემაზე დავუსვი...

– ბ-ნო გურამ, ისტორიის ფაკულტეტზე რომ ჩააბარეთ, თქვენმა ისტორიის პედაგოგმა არ დაიჯერა, ეგონა, რომ ატყუებდით. რატომ აირჩიეთ პროფესიად ის საგანი, რომელსაც ძალიან ცუდად სწავლობდით სკოლაში?

– სკოლაში საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა, სსრკ-ს ისტორიას კი პრინციპულად არ ვსწავლობდი. ვარდო მასწავლებელი შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. – სტუდენტი გავხდი, ვარდო მასწავლებელი, ისტორიულზე მოვეწყვე-

მეთქი... და გაბრაზდა: – სულ ასე უნდა იტყუებოდეთ, დოჩანაშვილო? ... გამოვასწორე ნათქვამი: – სასოფლოზე, ზოოვენტში მოვეწყვე-მეთქი... მაინც ეჭვით შემომხედა: – ეს თბილისელი ბიჭი სასოფლოზე არ შეხვიდოდით, არაუშავს შენისთანებთან გექნება საქმეო, – დამამშვიდა და წავიდა. სიმართლე გითხრათ, სამედიცინოზე ვაბარებდი, მაშინ პრესტიჟული იყო, ქიმიასა და ბიოლოგიაში ვემზადებოდი. ყველაზე სამარცხვინოდ ითვლებოდა, ახლა მოდური იურიდიული ფაკულტეტი, რადგან ის პოლიციასთან ასოცირდებოდა, პოლიციელი კი მაშინ არავის უყვარდა. ერთხელ ჩემმა კლასელმა ვოვამ მითხრა: მოდი, ერთად ჩავაბაროთ ისტორიულზეო და დავეთანხმე. ქართულში თავისუფალი თემა – „მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე“ – დავწერე, რუსულიც ჩემით დავწერე, სსრკ-ს ისტორიის ჩაბარებაში დამეხმარნენ, ხომ იცით, მაშინ „ჩანყობა“ იყო (იცინის).



– არ ნანობთ, ეს პროფესია რომ აირჩიეთ?

– არა, პირიქით, მუსიკის შემდეგ ჩემი უსაყვარლესი პროფესია იყო. არქეოლოგიაში ვმუშაობდი. მაშინ ცალკე არ იყო არქეოლოგიის ფაკულტეტი, ისტორიულში შედიოდა. ძალიან საინტერესო გათხრებში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ვანის, ბიჭვინთის, რაჭის – რაჭაში ისეთი ბრინჯაოს ხანის სამაროვნები აღმოვაჩინეთ, რომ უბედნიერესები ვიყავით.

– როგორ ახერხებდით კურსიდან კურსზე გადასვლას ისე, რომ არ სწავლობდით საბჭოთა კავშირის ისტორიას და პოლიტ-ეკონომიას?

– ერთი ძალიან კარგი ლექტორი მყავდა – აკაკი სურგულაძე. შევედი გამოცდაზე და მეკითხება: არ უნდა იცოდეთ საბჭოთა კავშირის ისტორიაო? მე ვუპასუხე, რომ ხელოვნებიდან ვიცნობ მას-მეთქი. რაღაცეები მკითხა და გაუკვირდა, ლექციებზეც არ დავდიოდი. „მე ორიანის დანერას ვაპირებდი და ოთხს დაგინერო“. მერე დავმეგობრდით. მაშინ ლექტორები და სტუდენტები ძალიან მეგობრობდნენ, საქეიფოდაც დავდიოდით ერთად. მე ხშირად ვამბობ, რომ უნივერსიტეტის ბალი უფრო მაქვს დამთავრებული, ვიდრე უნივერსიტეტი-მეთქი. თუმცა რაც მჭირდებოდა და რაც ვიცოდი, რომ გამომადგებოდა, იმას კარგად ვსწავლობდი.

– აბიტურიენტობის პერიოდში თქვენ ციხეში მოხვდით ლენინის ძეგლის შეურაცხყოფის გამო. ძალიან ბევრი თქვენი თაობის ადამიანი კმაყოფილია საბჭოთა წყობით და ხშირად ოხრავს: „რა ქვეყანა დაანგრისო!“, თქვენ 16-17



გურამ დონანაშვილი

წლის ასაკში თანატოლებთან ერთად უკვე სერიოზულად ებრძოდით ამ წყობას, თქვენი ბიოგრაფიული რომანიდან თუ მოვიშველიებთ ციტატას, „ავიღეთ და იმ უწმინდურის ძეგლი (ლენინის) მანამდე შეკავებულის – სითხიურობით ძლიერურად შეეჯერა ცხვარი“ და ეს ხდება 50-იანი წლების საბჭოთა თბილისში. როგორ გახდით „ოპოზიციონერი“?

– ვის მოსწონს, საშინელი დრო იყო. უბრალოდ მეტი წესრიგი იყო, ვიდრე ახლა. სიტყვა ოპოზიციონერის მნიშვნელობა მაშინ არც ვიცოდით – ჩვენ სამშობლო გვიყვარდა. გაბედვით, ნამდვილად ბევრი გავბედე. ეს პირველი შემთხვევა იყო საჭოთა კავშირის ისტორიაში, როცა ასეთი რამ აპატიეს დამნაშავეებს და პატიმრობა პირობითი სასჯელით შეგვიცვალეს. ბევრი ხალხი ჩაერთა. განსაკუთრებით კი ირაკლი აბაშიძის დამსახურებაა ჩვენი გადარჩენა. თუმცა სკოლა ექსტერნად დავამთავრე. ჯერ შინაპატიმრობა მქონდა, სანამ სასამართლო მიდიოდა. განაჩენის გამოტანის შემდეგ კი სკოლის ეზოში რომ დაგვინახა დირექტორმა, ყვირილით გამოგვყარა: „სად ბედავთ მოსვლას, თქვე ანტისაბჭოთა ელემენტებო!“

– თქვენ ძალიან კარგად უკრავდით ვიოლინოზე, უნივერსიტეტის ორკესტრის წევრობის გამო გარკვეული შეღავათებაც გქონდათ სწავლის პერიოდში, რატომ არ ჩაბარეთ კონსერვატორიაში?



– სხვათა შორის, ჩემი მეგობრები – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც – ძალიან კარგად უკრავდნენ ფორტეპიანოზე, განსაკუთრებით მერაბი. აბიტურიენტობის პერიოდში მომხდარი ამბების გამო ჩვენ აღარ ვმეცადინეობდით, მოგეხსენებათ, მუსიკას ბევრი მუშაობა სჭირდება. შესაბამისად, კონსერვატორიაში ჩაბარების არანაირი შანსი არ გვრჩებოდა. გამოცდებამდე 3 დღით ადრე გადავწყვიტე ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაბარება.

– კამოს, დღევანდელი დ. უზნაძის ქუჩის 69 ნომერი ცნობილია, როგორც ადგილი, სადაც გურამ დოჩანაშვილმა პირველი პროკლამაცია გააკრა და რამდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ პროკლამაცია მაინცდამაინც იმ სახლზე მიუკრავს, რომელშიც მისი მომავალი მეუღლე ცხოვრობდა. მოგვიყვით ეს ისტორია.

– მაშინ მე-9 კლასში ვიყავით. ზვიად გამსახურდიას ინიციატივა იყო დაგვებეჭდა და გაგვევრცელებინა პროკლამაციები. ბეჭდვა არ ვიცოდით, ძლივს ავკრიფეთ რამდენიმე სიტყვა, სულ 9 პლაკატი გავაკეთეთ დაახ-

ლოებით ასეთი ტექსტით: „ქართველებო, გვეყო მონობა და ნუ შევარჩენთ პირსისხლიან კომუნისტებს მხოლოდ ჩვენს კი არა, პოლონეთში და უნგრეთში დაღვრილ თავისუფლებისმოყვარე ხალხის სისხლს!“ ზვიადმა ინგლისური ენა ძალიან კარგად იცოდა, უცხოურ საინფორმაციო გამოშვებებს უსმენდა რადიოთი და გვანვდიდა ინფორმაციას, რა ხდებოდა თუნდაც პოლონეთში და უნგრეთში. მაშინდელ საბჭოთა საინფორმაციო გამოშვებაში „ვრემია“ ყველაფერი ტყუილი იყო ამინდის პროგნოზის გარდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დაგვიჭირეს. თურმე უკან დაგვსდევდნენ სუკ-ის აგენტები. ვინმე უფროსს ეძებდნენ, ფიქრობდნენ, რომ პატარა ბიჭები ასეთ თამამ ინიციატივას ვერ გამოიჩენდნენ.

– როცა თქვენ მოსწავლე იყავით ქალთა და ვაჟთა სკოლები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. 1954 წელს ისინი შეერთდა და პირველი სკოლიდან 47-ეში მოგინათ გადასვლა, როგორ იმოქმედა თქვენზე და თქვენს მეგობრებზე იმ ფაქტმა, რომ უცებ ერთ მერხზე აღმოჩნდით ბიჭები და გოგონები?

– მე მუსიკალურში ვსწავლობდი მანამდე გოგოებთან ერთად და ჩვეულებრივად მივიღე ეს ამბავი, ისე ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ და სულ მეუბნებოდნენ: „გვასწავლე, გურამ, როგორ მოვიქცეთო“. მერე გათამამდნენ, ერთი ჩემი კლასელი მანამდე არ აძლევდა კლასელ გოგონას ჩანთას, სანამ არ უმღერებდა, იმასაც სხვა რა გზა ჰქონდა და მღეროდა, სხვათა შორის, ძალიან კარგად. ჩვენს თაობაში ვისაც სმენა ჰქონდა, ყველა დადიოდა მუსიკალურ სკოლაში.

– ბ-ნო გურამ, თქვენს წიგნში „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“ ბევრს საუბრობთ სკოლის პერიოდშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც „შავი სიების“ არსებობაზე, რომლებშიც სისტემატიურად იყო შეტანილი თქვენი და თქვენი მეგობრების გვარები, რის მიხედვით ხვდებოდა ამ სიაში მოზარდი და როგორ ისჯებოდა ის?



– შავ სიაში ხვდებოდნენ ძირითადად პოლიტიკური ნიშნით. გარდა ამისა, თუ ანეკდოტს მოყვებოდა ვინმე ხმამაღლა ან იჩხუბებდა, ან ზედმეტად აცდენდა მეცადინეობებს. მაგრამ ვის ეშინოდა ამ შავი სიის?!

– თქვენს თაობაში, ვინც ცუდად სწავლობდა, მათგან ძალიან ბევრი ამას რეჟიმის პროტესტის ნიშნად აკეთებდა. სამაგიეროდ, ძალიან „ნაკითხი“ იყო. აკრძალული ლიტერატურის გასაიდუმლოებულად კითხვას ჰქონდა თავისი ხიზლი. შეიძლება ამის გამო ჩვენს თაობაშიც კი, რაღაც ეტაპამდე, „ხუთოსნობა“ ცუდ ტონად ითვლებოდა... როდის შეგიყვარდათ წიგნი და რა წიგნები შედიოდა მაშინდელ აკრძალულ ლიტერატურაში?

– კითხვა ძალიან გვიყვარდა, ეს იყო ჩვენი თაობის ერთ-ერთი აზარტი, სულ კინოში და რესტორანში ხომ არ იჯდებოდა კაცი?! აკრძალული იყო ძალიან ბევრი წიგნი, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები ფურცელ-ფურცელ გადადიოდა ხელიდან ხელში და ელოდებოდი, შემდეგი ნაწილი როდის მოვიდოდა შენამდე. მე-ნ კლასიდან ბიბლიოთეკიდან გამომრიცხეს იმიტომ, რომ ყველა იქალბრის ცხელი კარგი წიგნი მქონდა ნაკითხული. ძალიან აზრიანად შეიძლება დღეს კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენება. როგორ შეიძლება სულელურ თამაშებზე დროის დაკარგვა, უმრავლესობას კომპიუტერი დღეს მხოლოდ დროს აკარგვინებს. თუმცა მე მაინც ვერ წარმომიდგენია მელნის გარეშე, შენი ხელიდან თუ არ წამოვიდა ნაწერი, ხელში თუ არ დაიკავე წიგნად შეკრული ნაწარმოები... რა ვიცი, მე მაინც წიგნს ვამაჯობინებ... საბჭოთა პერიოდში ისე გვასწავლიდნენ ძველ ქართულ ლიტერატურას, თითქოს სპეციალურად გვაძულებდნენ. ძველი ქართული და ქრისტიანობა რა იყო, არ ვიცოდით, ამიტომ პოლიტეკონომიასავით გაუგებარი იყო ჩვენთვის ეს საგანი. ახლა სულ სხვა თვალთ ვკითხულობ და გაცნობილი ვარ, რა სიტყვებია დაკარგული, რა უნიკალური მწერლობა გვაქვს... როგორ შეიძლება მის ფონზე კითხვა არ უყვარდეს ადამიანს?!

– თქვენი ნაწარმოებების პერსონაჟები ძალიან კარგი ადამიანები არიან, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება... როგორ დაიბადა სამი გენიალური მოთხრობა სამ ძმა კეჟერაძეზე?

– ეს რაღაც აკვიატება იყო. თუმცა ვერ გეტყვით, მე ნამდვილად არ ვიცნობ ვასიკო კეჟერაძის მსგავს ფოტოგრაფს. მაქვს ბიოგრაფიული ნაწარმოებიც, მაგრამ აქ ყველაფერი გამოგონილია. ისტორიები სხვადასხვაა, გვარები აქვთ ერთნაირი და ხასიათები – მსგავსი.


– თქვენც შეგიძლიათ გრიშა კეჟერაძესავით სიბნელეში მიატოვოთ საყვარელი ქალი იმისათვის, რომ მიხვდეს, „ადამიანი ადამიანისთვის მგელი არაა!“

– არა, ალბათ არა, ცოცხალი კი შეაშინა, მაგრამ იმისთვის, რომ მერე გაეხარებინა. გრიშა ფიქრობს, რომ „კარგია“ და ცდილობს სხვებზე გააკეთილშობილოს. ჰგავს ეს მოთხრობა ნეტავ ავტობიოგრაფიულს? ნამდვილი ამბის გადმოცემა ხომ ძალიან რთულია. მწერალმა იცის, დავუშვათ, მის მეზობელ ალექს როგორი ცხვირი აქვს, როგორი თვალები და მიხვრა-მოხვრა, მაგრამ წერის დროს ავიწყდება ზოგჯერ, რომ ეს მკითხველმაც უნდა წარმოიდგინოს. საბჭოთა პერიოდში გვასწავლიდნენ, რომ კარგი ადამიანი იყო აუცილებლად მონესრიგებული და ჯიბეში თეთრი ცხვირსახოცი ედო, ცუდს კი –

სკოლა ექსტრენად დაეამთავრე. ჯერ შინაპატიმრობა მქონდა, სანამ სასამართლო მიდიოდა. განაჩენის გამოტანის შემდეგ კი სკოლის ეზოში რომ დაგვინახა დირექტორმა, ყვირილით გამოგვყარა: „სად ბედავთ მოსვლას, თქვე ანტისაბჭოთა ელემენტებოო!?!“.

ჭუჭყიანი... უცნაური სტერეოტიპები არსებობდა. არადა ადამიანი როგორი რთულია... მე ვეცადე ამ სამ მოთხრობაში ჩამელო ის, რაც ადამიანებს უნდა ჰქონდეთ და აერთიანებდეთ... არც ვიცი, როგორ დამიბეჭდეს, 3-4 წელი კი იდო თაროზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბეჭდავდნენ ხოლმე...

ბ-ნ გურამს ბოლო შეკითხვა, რა თქმა უნდა, იმ პრობლემაზეც დავუსვი, თანამედროვე ბავშვებში წიგნის „არსი-ვარული“ რომ ჰქვია და გაუკვირდა: „რა ვიცი, ჩემთან სულ ნაკითხი და განათლებული ახალგაზრდები მოდიანო...“ მერე ჩაფიქრდა და გაეცინა: „ჰო, ალბათ ჩემთან მოდიან ასეთებო...“ მერე წიგნი მაჩუქა და მკითხა: „რამდენი წლის ხარო?“ ასაკი და ჩემი მრავალშვილიანობის ამბავი რომ გაიგო, გაუკვირდა და მითხრა: „მაშინ ქალბატონად მოგიხსენიებთ წიგნის წარწერაში...“ გამეხარდა, მეც იმ ზემოხსენებულ ახალგაზრდებს რომ მიმათვალა, წიგნიც გამეხარდა, მაგრამ ამ საჩუქრის მოლოდინი ისედაც მქონდა... რამდენჯერაც მის სახლში მოვხვდი, ყოველთვის ავტორის ბოლო გამოცემით ხელში დავბრუნდი შინ.



გურამ დოჩანაჩვილმა თბილი და გრძელი წარწერების გაკეთება იცის – ბოლოში ავტოგრაფით, მაგრამ არასდროს აწერს თარიღს... გავკადნიერდი და ამის მიზეზიც ვკითხე... „როცა თარიღს წერ, ეს ნიშნავს, რომ ის ადამიანი, ვისაც წიგნს ჩუქნი, თითქოს მხოლოდ იმ დღეს ნახე, როცა არ აწერ, მაშინ თითქოს სულ შეთან არისო“, – მიპასუხა.

**ქეთი კვიციანი
ავტორის ფოტოები**



„სოდნა თავისუფლების სანინდარია“

აბიტურიენტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ნაბიჯი – სასწავლო პროგრამისა და უმაღლესი სასწავლებლის არჩევაა. საპასუხისმგებლოა არჩევანი, რომელიც ცხოვრებაში გარდამტეხია და მომავალს განსაზღვრავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ორი მიდგომა არსებობს: პირველი, აბიტურიენტთა უმრავლესობა პირველ რიგში იმ ფაკულტეტს ირჩევს, სადაც მას სწავლის გაგრძელება სურს და არჩეული სპეციალობა მისი შინაგანი მოწოდებაა, მაგრამ ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სურვილი იმისა მოხვდეს უმაღლეს სასწავლებელში დიდი და ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ისინი ლალატობენ საკუთარ პრინციპებს, ირჩევენ ისეთ პროგრამებს, სადაც კონკურსი ნაკლებია და სტუდენტად გახდომის ალბათობა დიდი. ამ და კიდევ სხვა საინტერესო თემებზე ჩვენი ჟურნალის სტუმარი, საქართველოში ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის – კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია გვესაუბრება.

დოქტორი კახა შენგელია:

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ისტორიისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „რეზონანსში“ რედაქტორის მოადგილედ და საერთაშორისო ამბების განყოფილების რედაქტორად. ჰარტფორდის უნივერსიტეტში მარკეტინგისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ასისტენტად. ამერიკულ კომპანია „ორბიტელში“ პროექტის მენეჯერად და ამავე კომპანიის კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორის თანამდებობაზე. იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და თბილისის ვიცე-პრემიერი.

2008 წლიდან კახა შენგელია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

– ბატონო კახა, რა არის კავკასიის უნივერსიტეტის მთავარი მისია, ანუ მე რომ აბიტურიენტი ვიყო – რატომ უნდა ჩავაბარო კავკასიის უნივერსიტეტში?

– პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სასწავლებლის დევიზია: „Studium Pretium Libertatis“ - „სოდნა თავისუფლების სანინდარია“ ანუ ჩვენ კურს-

დამთავრებულებს მთვარ რამეს ვაძლევთ, ვასწავლით იმას, რომ ცოდნა, ეს ის საფუძველია, რომლის გარეშეც ისინი მთავარი ღირებულების, თავისუფლების გემოს ვერ იგძნობენ. განათლებული ადამიანი ყოველთვის წარმატებულია და თავისუფალია საკუთარი მომავლის განსაზღვრაში. ის ძლიერი და შეუვალია. არც ცვლილებების, არც დაბრკოლებებისა და არც წარუმატებლობის ეშინია. კარგად აქვს გააზრებული, რომ წარუმატებლობა მხოლოდ ერთი დაბრკოლებაა წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე. რაც შეეხება ჩვენს უნივერსიტეტს, კავკასიის უნივერსიტეტის ისტორია 1998 წლიდან კავკასიის ბიზნესის სკოლის შექმნით იწყება. კავკასიის უნივერსიტეტს მიღებული აქვს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაცია. აქ მუდმივად განახლებადი მაღალი დონის აკადემიური პროგრამებია. ახალი მიმართულებების დაწინარესთან ერთად უმჯობესდება ძველი პროგრამებიც. ჩვენს უნივერსიტეტში ორასამდე პროფესიონალი ლექტორი და პროფესორი მუშაობს. როგორც უკვე აღვნიშნე, ვთანამშრომლობთ ევროპის, ამერიკისა და აზიის უნივერსიტეტებთან. მოკლედ რომ ჩამოვყალიბო: სწავლის მაღალი ხარისხი, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, გაცვლითი პროგრამები, შეღავათები გადასახადში...



აბიტურიენტებისათვის ყოველთვის ახალი და საინტერესო შეთავაზებები გვაქვს. მაგალითად, 2013 წელს ჩვენი უნივერსიტეტის მთავარი გზავნილი იყო „მოხვდი 40 საუკეთესო პირველკურსელს შორის და მიიღე 100%-იანი დაფინანსება კავკასიის უნივერსიტეტისაგან“. შეღავათია ასევე იმათთვისაც, ვინც უკვე სწავლობს ჩვენთან. აბიტურიენტებს ეპირდებით, რომ ჩვენთან უმაღლესი ხარისხის განათლებას მიიღებენ, თანაც წინ საუკეთესო სტუდენტური წლები ელოდებათ.

– ზოგადად რაზე უნდა გააკეთოს აბიტურიენტმა მთვარი აქცენტი უმაღლესი სასწავლებლის არჩევის დროს?

– არჩევანის გაკეთების დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, თუ რას გთვავობს უმაღლესი სასწავლებელი: რა სახელი აქვს მას, რით შეიძლება მან თქვენ მოგზიბლოთ, მიაქციეთ ყურადღება სწავლის ხარისხს, დასაქმების პერსპექტივას, იმიჯს. ასევე მნიშვნელოვანია, ვინ და როგორ ასწავლის იქ.

– თუ გავაკეთებთ ანალიზს, როგორია თანაფარდობა ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ ნიშნებსა და რეალურად იმ ცოდნას შორის, რომელსაც სტუდენტები ავლენენ შემდგომში, სწავლის პროცესში?

– გამოცდები ერთგვარი სარკეა, საიდანაც რეალურად ჩანს, როგორი ბავშვი მოდის შენთან, როგორია სკოლაში მიღებული განათლების დონე, მისი მომზადების ხარისხი, მისი უნარი. ერთი უცნაური რამ ხდება, ყოველ წელს განსხვავებული დონის ბავშვები მოდიან. ჯერ ვერ გავიგეთ, რა განსაზღვრავს ნაკადის სიძლიერეს. ამოუცნობია, რატომ უნდა იყოს ეს ასე. ერთი რამ ცხადია, ახალმა თაობამ უკეთ იცის ინგლისური, მათემატიკა, ტექნიკის მოხმარება, მაგრამ უჭირთ გარკვეული დისციპლინისა და წესების დაცვა. არ აქვთ შრომის ჩვევა. ისიც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ მკაცრად ვიცავთ ხარისხს. კავკასიის უნივერსიტეტში შესაძლოა მოხვედრა ადვილია, მაგრამ სწავლის დაწყება და მითუმეტეს გაგრძელება არის რთული. საკმაოდ ბევრი ვერ უძლებს და მიდის. მაგრამ ვინც აგრძელებს, ის გამორჩეულად წარმატებულია. საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები გვაქვს რვავე სკოლაში. ჩვენი აბიტურიენტები სასწავლო კურსს სხვა ქვეყნების პრესტიჟულ სასწავლებლებში გადიან და იქაც უძლიერეს სტუდენტებად ითვლებიან. ამჟამად ჩვენი სტუდენტები სწავლას 84 ქვეყანაში აგრძელებენ. ხშირად ვიღებთ მადლობის წერილებს, რითიც ძალიან ვამაყობთ. ვთვლი, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის წარმატება, ეს ქვეყნის წარატებისა და წინსვლის გარანტიაცაა.



– თქვენ აღნიშნეთ, რომ რთულია თქვენთან სწავლა. როგორია ადაპტაციის პროცესი და ყველაზე მეტად რომელი სიძნელებების გადალახვა უჭირთ პირველკურსელებს?

– პირველ რიგში აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ პირველკურსელებს განსაკუთრებულ დახვედრას ვუწყობთ, „wellcom party“ ასე ვინწყებთ ერთმანეთის გაცნობას და ერთმანეთთან შეწყობას. გრანდიოზული ტორტი „ფეირვერკი“ დაუვიწყარი დღე... ჩვენი სურვილია სტრესი და დაძაბულობა მოვსხნათ. შეიძლება ითქვას, რომ ამ გრანდიოზული დახვედრის შემდეგ მათთვის მძიმე, რუტინული, ყოველდღიური შრომა იწყება. სირთულის მხრივ განსაკუთრებით პირველ წელს გამოვყოფდი – ერთი წელი ადაპტაციისათვის და იმის გასაგებად, კონკრეტულად რას ვითხოვთ მათგან. მინდა დავამშვიდო პირველკურსელები, არ შეგეშინდეთ, წინ რთული, მაგრამ საინტერესო წელი გელოდებათ. ამ წელს არა მხოლოდ სტუდენტობას იგრძნობთ, საკუთარ თავშიც ახალ, ძლიერ თვისებებს აღმოაჩენთ.



– ბატონო კახა, რას ურჩევთ აბიტურიენტებს, არჩეული სპეციალობისათვის ბოლომდე ბრძოლას, თუ იოლი გზის არჩევასა და კომპრომისებზე წასვლას?

– როდესაც ირჩევ შენს პროფესიასა და შენს მომავალს, ალბათ ბოლომდე უნდა იბრძოლო იმისათვის, რომ აკეთო ის, რაც გინდა. მე პირადად ასე მოვიქეცი. როცა განსაზღვრული გავქვს შენი გზა, ზუსტად იცი რა გინდა, ნაკლებად უნდა უსმინო სხვის რჩევას და საბოლოო გადაწყვეტილებისათვის იბრძოლო. ეს არის შენი ცხოვრება და არა შენი ბებუის, ბაბუის, მეზობლის – შენ თავად უნდა გაიარო შენი გზა. მე პირადად ამისთვის ყველაფერი გავაკეთე. ორი წელი აბიტურიენტი ვიყავი. წარმოშობით სამტრედიელი ვარ და პირველად თბილისში სამტრედიიდან უმაღლესში ჩასაბარებლად ჩამოვედი. სამ გამოცდაში უმაღლეს შეფასებას რომ ვიღებდი, მეოთხეში დაბალ ნიშანს მიწერდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ თამაშის სხვა წესები იყო. მაგრამ მაინც შევქელი უმაღლეს სასწავლებელშიც მოვხვედრილიყავი და საკუთარი ადგილიც მეპოვა. „არჩევანის თავისუფლება“ – ყველაზე მთვარი მიღწევა და შეგრძნებაა ადამიანის ცხოვრებაში. ჩემი შვილი წელს აბარებს, რა თქმა უნდა, როგორც მამას, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს მინდა, რომ მან ჩვენი სასწავლებელი აირჩიოს, მაგრამ მის არჩევანში არ ჩავერევი. ერთია რჩევა, მეორე საკუთარი აზრის თავზე მოხვევა. ეს არის ზოგადად ქართველი მშობლის პრობლემა, თითქოს ზუსტად იცი, რა სჭირდება შენს შვილს, მაგრამ აცალე იცხოვროს, მან თავად უნდა იპოვოს თავისი მომავალი.

ესაუბრა თეიკო ანჯაფარიძე

ინტერვიუ განათლების ექსპერტთან სვამინათან ჰარიჰარანთან

სვამინათან ჰარიჰარანი: „არსებული ტენდენციის თანახმად, კომპიუტერული ტესტირება უფრო და უფრო პოპულარული ხდება და გამოიყენება ბევრ სხვადასხვა სფეროში. მისაღები გამოცდებისა და სხვა საუნივერსიტეტო ტესტირებებისას“.

2013 წლიდან გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება. ოქტომბრის პირველ ნახევარში მეთორმეტეკლასელები გამოცდებს 4 საგანში ჩააბარებენ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოქტომბერში ვერ გადალახავენ ზღვარს რომელიმე გამოცდამი (ან ვერ გამოცხადდებიან გამოცდაზე), შესაძლებლობა ექნებათ შესაბამისი საგანი წლის ბოლოს ჩააბარონ დანარჩენ 4 გამოცდასთან (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა, ისტორია) ერთად. ცვლილების თანახმად, 2013-2014 სასწავლო წლიდან კი გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებში ჩატარდება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს ჩააბარებენ, რომელთა სწავლაც დაასრულეს. როგორც „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში“ აცხადებენ, ახალი სქემა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება. Computer Adaptive Testing ანუ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული ტესტი საქართველოში პირველად 2011 წელს ჩატარდა. CAT-ის ტიპის საგამოცდო პროგრამის შექმნისას „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ თანამშრომლებს კონსულტაციას განათლების მსოფლიოში აღიარებული ექსპერტი, კონექტიკუტის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სვამინათან ჰარიჰარანი უწევდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ სვამინათან ჰარიჰარანია ავტორი იმ თეორიისა, რომელიც საფუძვლად დაედო CAT-ის ტიპის საგამოცდო სისტემას. სისტემის ავტორი საქართველოში „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მონვევით რამდენჯერმე იმყოფებოდა. გთავაზობთ ინტერვიუს კომპიუტერული ტესტირების სისტემის ერთ-ერთ ფუძემდებელთან.

– რაში მდგომარეობს CAT-ის, იგივე კომპიუტერული ტესტირების უპირატესობა?

– ძირითად უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კომპიუტერული ტესტირება ორჯერ ამცირებს ტესტის ადმინისტრირების დროს. ეს ხდება იმის ხარჯზე, რომ გამოსაცდელს მხოლოდ იმ კითხვებზე უწევს პასუხების გაცემა, რომლებიც მის შესაძლებლობას შეეფერება, ეს კი, თავის მხრივ, გვაძლევს საშუალებას, ძალიან სწრაფად დავადგინოთ აპლიკანტის ცოდნის დონე და უნარები. გარდა ამისა, მოსწავლე ტესტირების დასრულებისთანავე იგებს შედეგს. უნდა გითხრათ, რომ 35 წელია, რაც ამ ტიპის ტესტირებაზე კვლევები ტარდება და მისი უპირატესობა ტესტირების სხვა ტიპებთან შედარებით თანდათან უფრო აშკარა ხდება.



– გააჩნია თუ არა თავისებურებები კომპიუტერული ტესტირების ქართულ მოდელს?

– ქართული მოდელი მორგებული იქნება იმ სინამდვილეზე, რომელიც საქართველოშია და, ცხადია, მას განსხვავებები აქვს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული ტესტირების ქართული მოდელიც იმ ძირითად პრინციპს ემყარება, რომელსაც ყველა სხვა მსგავსი მოდელი. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ აქტიური მუშაობის შედეგად მივიღეთ ის, რომ ყველა კომპონენტი მსოფლიოში არსებულ მაღალ სტანდარტს შეესაბამება – საუბარია ტესტურ ალგორითმზე და სხვადასხვა კომპონენტზე. ყველაზე მნიშვნელოვანია არ შეწყვიტოთ წინასწარი ტესტირების ჩატარება, რათა „დავალებათა ბანკი“ მუდმივად ახლდებოდეს და ივსებოდეს. მინდა შეგახსენოთ, რომ ეს პროცესი დაუსრულებელია, რადგან, რაც უფრო მეტი და მრავალფეროვანი დავალებაა ბანკში, მით უფრო ეფექტურია ტესტი და ნაკლებია ერთი და იგივე დავალების გამოყენების ალბათობაცა და საჭიროებაც.

– თქვენ კონექტიკუტის უნივერსიტეტის პროფესორი და განათლების ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბრძანდებით, შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენად გავრცელებულია კომპიუტერული ტესტირების მოდელი ამერიკაში?

– არსებული ტენდენციის თანახმად, კომპიუტერული ტესტირება უფრო და უფრო პოპულარული ხდება და გამოიყენება ბევრ სხვადასხვა სფეროში. მისაღები გამოცდებისა და სხვა საუნივერსიტეტო ტესტირებებისას, ძირითადად, კომპიუტერულ ტესტირებას ენიჭება უპირატესობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში ჯერ ამ ტიპის ტესტირების დამკვიდრება რთულად ხდება და ამ კუთხით საქართველო ნამდვილად ლიდერია.

ესაუბრა მაია გაბუნია



Authorised Center TOEFL iBT®

„გამოცდების ეროვნული ცენტრი“ 2013 წლიდან გთავაზობთ საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდებს:

➤ TOEFL iBT-ის გამოცდა საუკეთესო საშუალებაა ინგლისურენოვან ქვეყნებში სწავლის გასაგრძელებლად.

ტესტი ამოწმებს, თუ რამდენად კარგად ფლობს აპლიკანტი ინგლისურ ენას საიმისოდ, რომ მან შეძლოს სწავლის გაგრძელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. ტესტი ამოწმებს ინგლისურ ენაზე კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარს.

➤ TOEIC მსოფლიოში წამყვანი ტესტია ინგლისური ენის ცოდნის შესამოწმებლად დასაქმების სფეროში. იგი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნას A1-C1 დონეებზე. მას ყოველწლიურად 5 მილიონამდე აპლიკანტი აბარებს და ათასობით ორგანიზაცია ენდობა მის შედეგებს. TOEIC BRIDGE ტესტი შექმნილია ინგლისური ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად მათთვის, ვისთვისაც მშობლიური ენა არ არის ინგლისური.

➤ TFI ტესტი შექმნილია ფრანგული ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად მათთვის, ვისთვისაც მშობლიური ენა არ არის ფრანგული. იგი ამოწმებს ფრანგული ენის ცოდნას A1-C1 დონეებზე. იგი გამოიყენება აკადემიური, დასაქმებისა და კარიერული წინსვლის მიზნებით. აგრეთვე კარგი საშუალებაა მსურველთათვის ფრანგული ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად.



„მხოლოდ ის კულტურაა ფასეული, რომელიც სხვა ერის ცნობიერებაში შეაღწევს და იქ დაიკავებს ადგილს“

21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ხელით წერის კულტურა თითქმის აღარ არსებობს, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გადაწყვიტა კონკურსის წესით აღმოეჩინა საუკეთესო კალიგრაფიის მქონე ადამიანები და ერთ დროს ყველაზე პატივსაცემი პროფესია და შესაშური ნიჭი ისევ წაეხალისებინა სხვადასხვა ჯილდოთი. კალიგრაფისტთა კონკურსს ცენტრი ყოველწლიურად მართავს. მასში მონაწილეობის მიღება ყველა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანს შეუძლია.

ბუბა კულავა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნიგნი არ იყო მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალება, ის წარმოადგენდა ხელოვნების ნიმუშს. განსხვავებით თანამედროვე წიგნისაგან გარეგნულ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ეს იყო ელიტური ხელოვნება საზოგადოების მცირე ნაწილისათვის და მზადდებოდა ხელით.

ძველმა ხელნაწერმა კულტურამ შვა კალიგრაფის პროფესია. იქმნებოდა კალიგრაფიული სკოლები და იყვნენ ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ამ შრომატევად საქმეს ემსახურებოდნენ.

ბეჭდური ტექნოლოგიების შემოსვლამ და პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობამ (საბჭოთა პერიოდი) კალიგრაფია, როგორც დარგი, გააქრო. ის თანამედროვე საზოგადოებამ მივიწყა. თუნდაც იმის გამო, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფლობს მდიდარ ხელ-

ნაწერ მემკვიდრეობას, არაერთ კალიგრაფიულ ნიმუშს, აუცილებლად უნდა გვეზრუნა ამ დარგის აღორძინებაზე. ბევრს ვფიქრობდით, როგორ დაგვეწყო და დავეწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კონკურსი და გამოგვევლინა ის საზოგადოება, რომლისათვისაც ეს დარგი არის მნიშვნელოვანი, გამოგვევლინა ადამიანები, რომლებსაც აქვთ კარგი კალიგრაფიული ხელი.

კონკურსი პირველად ჩატარდა 2010 წელს და კონკურსანტთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მათი რიცხვი 10 000-ს აღემატებოდა. კონკურსის ფორმატი ასეთია: I ტური: კონკურსანტები აგზავნიდნენ მხედრულად დაწერილ ტექსტს და კომისია არჩევს საუკეთესოებს. საინტერესოა თუ როგორ შეირჩა ნამუშევრები – შეიძლება ლამაზად გამოიყურებოდეს ნაწერი, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ნაწერიდან უნდა ჩანდეს ქართული ანბანის შინაგანი ბუნება. მნიშვნელოვანი იყო კონკურსანტები რამდენად გამოდიოდნენ გრაფიკული ბუნებიდან, როდესაც ქმნიდნენ ახალ ფორმებს.

II ტურში კონკურსანტებს ეძლეოდათ დავალებები – ორი ტიპის თავისუფალი სამუშაო: ხელნაწერი გვერდის გაფორმება და ძველი ხელნაწერის ზუსტი ასლის შექმნა. ესეც ერთგვარი უნარია, რომელიც ყველას არ აქვს.

III ტურში დავალებები რთულდებოდა – კონკურსანტებს უნდა გამოეყვანათ საზედაო ასო, დეკორატიულად გაეფორმებინათ გვერდი. მნიშვნელობა ჰქონდა რამდენად სწორად იყო ორგანიზებული ტექსტი.



ის უი არ არი ბიჭოტა

ის უი არ არი ბიჭოტა,
რო ემგერელნი, ჰმგერობდე;
ბიჭს აბიზ რეიბხესლი,
თაფისთაფაღ ჰფარებდე.

არც ის ეგონია ბიჭოტა,
ფისაც ფოფი, არჩობდე;
ბიჭს აბიზ რეიბხესლი,
რომ სხვის ღმრინაფოსა სწამლობდე.
ბიხნარ, ფის უფაფამ ბიჭობად,
ღმრინაფრესსა სწალობდე?

ბა, ბიჭოტა ის არი,
ღმრინაფრესსა სწალობდე.

არც რა ბიჭოტა ეგ არი,
მაღარი ჰმლორდე, ჰგლობდე,
თაფი ბიჭონიღის სხვისნიწა
ღ ამის გამო გეზობობდე.
ფეოსნობას არფის აცლობდე.
ბაწამ ჰყვიხდე ღ სცხარობდე.
ბიჭს აბიზ რეიბხესლი,
მზიარ-მწყურალოც ჰგლობდე.

ფაჟ ფმაჟა





ისჯი არ არი ბიჭობა

შემა უშავილა

ისჯი არ არი ბიჭობა
რო გამეფდებოდა, პატივად
ბიჭს მამის დაჯიხებდა
თავისთავად პატივად
რაც ის მკვთია ბიჭობა
ვისაც ვინც, არიბდელ;
ბიჭს მამის დაჯიხებდა,
რომ სხვის ტყვეობა სჯამობდ
ბიჭობა ვის ათქვამ ბიჭობად,
დამაჯეროებისა სჯამობდ

ანა, ბიჭობა ის არი
დაჩაქვითათვის სჯამობდ
რაც და ბიჭობა ვე არი,
მამისი პატივად, პატივად
თავი შევქვითა სჯამობდ
და ამის კუთხე ვე არიბდელ
მფხინებას არვის აჯამობდ,
მოდამ პატივად ზ სჯამობდ
ბიჭს მამის დაჯიხებდა
შივირ თუ სჯამობდ




ლეილა ბაღბაია

აღნიშნული ტურების შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული რამდენიმე ნომინაციაში: საუკეთესო დეკორაცია, საუკეთესო საზედაო ასო, საუკეთესო ასლი. ჯამში გვყავდა ათობით გამარჯვებული. მხარდამჭერები ავლენდნენ ფავორიტებსაც.

გამარჯვებული – დათო მაისურაძე ყიურის ნევრებისათვის აღმოჩენა იყო, მისი კალიგრაფია ძალიან ჰგავდა მე-18 საუკუნის მდივან-მნიგნობრულ ხელნერას. მასში ნამდვილად იგრძნობოდა ქართული სული. სწორედ ეს იყო ყიურის აღფრთოვანების მიზეზი.

მე მგონია, რომ კონკურსების შემდეგ შეინიშნება, თითქოს ხელით ნერის კულტურა თანდათან პოპულარული ხდება. მიუხედავად ბეჭდური ტექნოლოგიების სიმრავლისა, კალიგრაფიას მაინც თავისი ნიშა აქვს. ერთგვარად მას სასუვენირო დანიშნულებაც აქვს. არსებობენ



რ დჭრაჲს სიყდლსა ვა ვარ, ურც წმეანი;
მისენ უნეწო ვსროდის, სოსეც დ ძეოღრანი;
ბოლდ შყარისს შიქამ რთონ ჭეე დ შკოთაფნი.
სჯამბს სიკოკლოისა ნძობსა სიყდლი სახიოფანი!

სერგი ლაფაჩი


დაინტერესებული პირები, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ ხელით გადაწერილი იშვიათი ნიმუშები. ხელით ნანერი ნიგნი იმ უპირატესობით სარგებლობს, რომ ის ერთადერთია და არა ტირაჟირებული.

სამომავლოდ გვსურს ხელნანერთა ეროვნულ ცენტრში შეიქმნას კალიგრაფიის სკოლა-სახელოსნო, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან ამ ხელობას (კეცვა, კინძვა, გაფორმება, ყდის შემოსვა, კამლებისა და მასალის შერჩევა, ასოს მოხაზულობა, დახრა და ა. შ.), ასევე სახელოსნოს შექმნება ანარმოს პროდუქცია. რაც მთავარია, პოპულარიზაცია გაუნიოს ტრადიციულ დარგს.

დათო მაისურაძე

კალიგრაფთა კონკურსის გამარჯვებული

დათო მაისურაძეს ხელნანერთა ეროვნულ ცენტრში შევხვდით, მან კალიგრაფების კონკურსში ორჯერვე გაიმარჯვა – პირველად, როგორც მოსწავლემ და შემდეგ უკვე, როგორც სტუდენტმა. დავითი კონკურსის შესახებ გვესაუბრა:





უწაღარ ქითოს ყხვობ ზ სწავარ შუქინს გვ ზ თინ მესკიღონს წმეწმს ცუკისუღს კს
იღონ შეჭდოსნ რე ზ შოა უთომნ ზ სსუქსწონს დეფ. უო ანუ ყა ვროტ ცოქობის
შინაიო უბინაიო ულამ. აქროს სმან ზ უნაიოთ. ზ შინ მემს წმეწმს უდო ლ ქე სქოლ
ბი დანო. შე წმეწმს ეთეოლს ზ შმა ბაბი წმეწმს ზ შეწ წმეწმს ეთეოლს ზ სმსხოწმს დე
დესოლს წმეწმს ნათოლს ზ ვიისა წმეწმს ეთეოლსაჲს დეფს მეს უღოს ალოქსიღონს მამს მენ და
ვბს დმეწმს უღოსა მეს წმეწმს ზ ეთეოლს ას ზმ მესწმეწმს ბოქოთინოჲს ნახლოჲს მესწმს ზ ქათოქს
ლოსი. წმეწმს სახსნი აუფორ ზ ყბდაჲს დაჲსალო. წმეწმს სახსნი ზ ეწმს ხან მდოქსუჲს ზეჲს ზ ამბ
შეწმს ნახლოლს ეწმს ეწმთი. ზ შოა წმეწმს ეს ქმეწმეწმს მდენს წმეწმს ზ ქათოქსლოჲს შეწმს
ნო წმეწმს ვახოს სხვანი შოთინი არინ მდენს წმეწმს შოქს. ამ რით ზ წმეწმს უღს იფ. ზ უწმს ასე
ას მდოქსუჲს წმეწმს შოთინ ზ სხუა მამოქსუჲს წმეწმს წმეწმს სახსნი დეჲსა. ზ შოთინ შეწმს ეწმსალოქს.

დათო მაისურაძე

კალიგრაფიით ბავშვობიდანვე ვიყავი დაინტერესებული, ასომთავრული დამწერლობა მანამდე ვისწავლე, სანამ სკოლაში შევიდოდი. ამ გატაცების შესახებ ჩემმა კლასელებმა იცოდნენ, მსგავსი კონკურსი თუ ტარდებოდა, მე არ ვიცოდი, ნანერების ჩაბარების ბოლო დღე იყო, როცა ჩემმა კლასელმა მითხრა, რომ კალიგრაფიაში კონკურსი ტარდებოდა. მე სასწრაფოდ დავწერე ტექსტი და მივიტანიე ხელნანერთა ეროვნულ ცენტრში.

შემდეგი ტურები ცენტრში ჩატარდა. მეორე ტური – ასლის გაკეთება და ტექსტის გადაწერა იყო, მოგვცეს სპეციალურად შედგენილი ტექსტი, რომელიც ზუსტად უნდა გადაგვეწერა. ტექსტის გადაწერის დროს სრული თავისუფლება გვქონდა და არანაირი შეზღუდვა არ იყო, ნამდვილად არ მეგონა, რომ შემდეგ ტურში გადავიდოდი, რადგან არ ვიცნობდი სხვა ბავშვების ნანერებს ჩემი რომ შემედარებინა და ისიც კი არ ვიცოდი, სწორად ვწერდი თუ არა. როდესაც გავიგე, რომ ამ ტურში გავედი, ცხადია, ძალიან გამეხარდა.

ამ ტურში ხელნანერთა ეროვნული ცენტრის დირექტორთან ბატონ ბუბასთან მომიწია ახლოს დაჯდომა, მან ბევრი ძალიან საინტერესო რჩევა მომცა. ჩვენ შორის გამართული საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ბ-ნ ბუბას „მოვეწონე“.



ზაურ ახვლედიანი

ბოლო ტური კიდევ უფრო გართულდა და საზედაო ასოების გაფორმება დამატდა, რომელშიც ასევე ცალკე ნომინაცია იყო გამოცხადებული მათთვის, ვინც საუკეთესო საზედაო ასოებს გააკეთებდა.

ბოლო ტურში გადასვლის შემდეგ უკვე ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა რაიმე ნომინაციაში გამემარჯვა, მაგალითად, ისტორიულ კალიგრაფიაში საუკეთესო ნაშრომისათვის, რადგან მე თვითონ ისტორიული კალიგრაფიის მიმდევარი ვარ, მაგრამ ბოლომდე არ მჯეროდა, რომ შეიძლება პირველი ადგილი ამელო და საბოლოოდ დაჯილდოვების დღეს განცვიფრებული დავრჩი, როცა გამოაცხადეს ჩემი სახელი და გვარი პირველ ადგილზე.

კონკურსის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა. კალიგრაფია ჩემთვის თავიდან მხოლოდ ჰობი იყო, ამის შემდეგ კი მოეუხშირე კალიგრაფიული ნაშრომების დამზადებას, ბოლოს კი ეს საქმე ჩემს ძირითად საქმიანობად და პროფესიად იქცა. რუსთაველი ხელოვნების ერთ-ერთ სკოლაში მიმინვიეს კალიგრაფიის მასწავლებლად, სადაც დღემდე ვმუშაობ და ბავშვებს ვასწავლი კალიგრაფიასა და პალეოგრაფიას (მეცნიერება დამწერლობის შესახებ).

ბოლოს დათო კონკურსის მნიშვნელობაზე გვესაუბრა: კალიგრაფების კონკურსი უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდებისათვის. ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს კულტურა უმნიშვნელოვანესი იყო, შემდეგ გარკვეულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და ბეჭდური ნიგნის შე-


მოღების კულტურამ ხელნაწერთა პრაქტიკული დანიშნულება გააქრო.

დღეს კალიგრაფია მხოლოდ ხელოვნების სახით შემოგვრჩა, ვერც წარმომიდგენია დღევანდელ პირობებში ბეჭდურ ნიგნს კონკურენცია გაუწიოს ხელნაწერმა, მაგრამ შეიძლება დადგეს ხელოვნების ისეთი დარგების გვერდით, როგორებიცაა: მხატვრობა, გობელენი და ა. შ. პირადად ჩემთვის კალიგრაფია უფრო ხელოვნების ნიმუშია, ვიდრე პრაქტიკული ხელობა. ეს კონკურსი კი ახალგაზრდებს კალიგრაფიას დაანახევებს,



ველილამის ვის მოჰყავს თავი ეკსა ცონიქსა,
ბა მსჭიბღეს, შაშინ თუნღა ცონქან ცონიქსა!

ანაჰიტ ბაღიშანი



კ: არ: არა: ბქტ:

ნი: ვდონერდინ: მსმტტ:

ტქს: მმინ: ტტტტტ:

ტქს: მმინ: ტტტტტ:

არ: არა: ბქტ:

ვსტ: ვსტ: არჩტ:

ტქს: მმინ: ტტტტტ:

ნი: სსვ: ტტტტტ: სსვ:

მიტხარ: ვს: თთქტ: ბქტ:

ტტტტტტტტტ: სსვტტ:

ტტტტტ: ბს: არა:

ტტტტტტტტტ: სსვტტ:

არ: არა: ბქტ: ვს: არა:



გოგა ქაბაშვილი

როგორც განახლებულ ხელოვნებას და ინტერესსაც გაუღვივებს ამ საქმიანობისადმი. ამ კონკურსის შემდეგ ბევრი დანიტერესებული ახალგაზრდა გამოჩნდა, რომლებსთვისაც ეს ხელობა საინტერესოა, ბევრი ამ ხელობით ცხოვრობს კიდევც.

დღეს კომპიუტერის ეპოქაში ხელით წერის კულტურა თითქმის მივიწყებულია, ყველას ურჩევნია სწრაფად და მარტივად კლავიატურაზე აკრიფოს ტექსტი, რის შედეგადაც საკმაოდ უხემ შეცდომებსაც კი უშვებენ, ინგლისურ ტრანსკრიფციას ქართულად აკეთებენ, ასევე ძალიან ცუდია და საუბედუროდ ხშირი მოვლენაა, როცა ქართველი ინტერნეტ მომხმარებლის უმეტესობა

ლათინური ასოებით წერს ქართულ ტექსტს, ასევე მობილურ ტელეფონებსაც არ აქვთ ის სისტემა, რომ ქართულად აკრიფო ტექსტი, აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, არის იმის საფრთხე, რომ ქართული ანბანი და ხელით წერა საერთოდ დაავიწყდეს მომავალ თაობას. ამდენად, კალიგრაფიასა და ხელით წერის კულტურას ძალიან დიდი ხელშეწყობა სჭირდება, რათა ქართულმა ანბანმა არ დაკარგოს ფუნქცია და მომავალშიც იარსებოს იმ სახით, რა სახითაც დღეს გვაქვს.

ამ ყველაფრის თავიდან აცილების მიზნით კი, ჩემი აზრით, პირველ რიგში სკოლებში უნდა ისწავლებოდეს კალიგრაფია. დარწმუნებული ვარ ყველა ბავშვს ექნება იმის ინტერესი, რომ ლამაზად წეროს, ეს კი ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ლამაზად ხატვა, რადგან მე თვითონ კალიგრაფიის მასწავლებელი ვარ და ვხედავ, რომ ეს იმიდენად ნიჭზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც მონდომებაზე. თუ კი ბავშვს სურს, უფრო მარტივია ლამაზად წეროს, ვიდრე ლამაზად ხატოს, შესაბამისად, ეს ხელოვნება ადრეულ ასაკშივე უნდა ისწავლებოდეს.

იმისათვის, რომ განვითარდეს კალიგრაფიული ხელოვნება, საჭიროა ჩატარდეს სხვადასხვა ფესტივალი, კონკურსი, გაიზარდოს დაკვეთები ხელნაწერ წიგნზე, აქ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკლესიებს ენიჭებათ, რადგან სწორედ ეკლესიაში სჭირდებათ ძირითადად ხელნაწერი წიგნები.



ის კი არა არის ბჭობა



ის კი არა არის ბჭობა
 არა უმჯობესი, მკაფიობილი,
 ბიჭს მამის რაჯობისნობილი,
 თხოისთავილი პაირობილი.
 არა კი მფინა ბჭობა,
 ვისა კი ვფიფი, ათწობილი;
 ბიჭს მამის რაჯობისნობილი,
 რათმ სწვის რამწავალსა
 მითხნა, ვის უფიფი ბიჭობაიდ

ღამწავალი მსა სწავლილი
 აბა, ბიჭობა ის არა,
 რაჯობა სწავლილი
 არა რა ბიჭობა უფ არა,
 მსაწავალი მკაფიობილი,
 თხო მთავილი სწავლილი
 რა ამის ვამთი კაფიობილი,
 მთოსნობის არვის არ კლილი;
 მთოსნობა რა სწავლილი,
 ბიჭს მამის რაჯობისნობილი,
 ვის უფიფი მთოსნობილი

ვფიფი

თამთა ძნელად
 თამარ ჰაპიძე



მრგვალი მაგიდა ერთიანი ეროვნული გამოცდები 2013! იკოვე შენი მომავალი!

ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულებულია! როგორ ჩაირა გამოცდებმა, როგორ აფასებენ თვითონ მონაწილეები ამ პროცესს, რის გათვალისწინებას ურჩევენ ისინი „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს“ – ადრეული შემოდგომა, ღია დისკუსია ღია ცის ქვეშ და დიალოგი, რომელიც აუცილებელია.

მონაწილეები: **მაია მიმინოშვილი** – „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორი;

ნინი კავულაძე – მაგისტრანტი;

მარიამ კავულაძე – მაგისტრანტი;

მარიამ გურბენიძე – პირველი კურსის სტუდენტი;

მანანა მიქიაშვილი – სერტიფიცირებული პედაგოგი;

თეიკო ანჯაფარიძე – მოდერატორი.

თეიკო ანჯაფარიძე (მოდერატორი): უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა მოზრდანებისათვის და გილოცავთ გამოცდების წარმატებით დასრულებას. ქალბატონო მანანა (პედაგოგი) პირველ რიგში თქვენ მინდა მოგმართოთ, როგორ ჩაიარა საგამოცდო პროცესმა და თქვენი აზრით, მოითხოვს თუ არა სერტიფიცირების პროცესი მომავალში დახვეწას?

მანანა მიქიაშვილი (სერტიფიცირებული პედაგოგი): გეოგრაფიის მასწავლებელი ვარ, სტაჟში საკმაოდ დიდი წყვეტა მქონდა, ამიტომაც გამოცდებამდე ცოტა ვღელავდი. მიუხედავად ამისა, სკოლაში დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ გადაწყვიტე გამოცდაზე გავსულიყავი. პირველივე გასვლა წარმატებული აღმოჩნდა. მართალი გითხრათ, არ იყო რთული. მქონდა მოტივაცია და ველოდები 1000 ლარიან დანამატს. მომავალში ვაპირებდი ინგლისური ენისა და კომპიუტერის გამოცდაზე გასვლას. ქალბატონო მაია, როდის და რა ფორმით ჩატარდება ეს გამოცდა?



მაია მიმინოშვილი: დიას, გეთანხმებით ზოგადად, სასერტიფიკაციო გამოცდის ფორმატსა და შინაარსზე




მუშაობა მიმდინარეობს. ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარება შეჩერდა იმიტომ, რომ აბსოლუტურად არ ეთანხმება იმ რეალობას, რომელიც არსებობს. რატომ უნდა მოგთხოვოთ, მაგალითად თქვენ, გეოგრაფიის მასწავლებელს ინგლისურის სრულყოფილი ცოდნა, როდესაც საჭირო ინფორმაციის მოძიება სხვა ენაზეც შეგიძლიათ. პრაქტიკულად, ამ გადანყვეტილებით არჩევანს ვუზღუდავთ პედაგოგებს. ხშირად გამიმეორებია და ახლაც ვამბობ, სერტიფიცირების პროცესი დახვეწასა და დამატებითი კომპონენტის შემოტანას საჭიროებს. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“ მიიღო გრანტი მსოფლიო ბანკისაგან. პედაგოგების სერტიფიცირების პროცესს პრაქტიკული ნაწილიც დაემატება. ეს პროცესი კომპლექსური უნდა იყოს. მასწავლებელს, რომელსაც, ვთქვათ, ერთი ქულა დააკლდა, უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ეს შეფასება პრაქტიკული ნაწილით დააბალანსოს.

თეიკო ანჯაფარიძე: რაც შეეხება საერთო სამაგისტრო გამოცდას, მითუმეტეს, რომ 2013 წელს პირველად



მაგისტრანტობის მსურველებმა ერთი და იგივე საგამოცდო ტესტი აღარ ჩააბარეს, მათთვის მიმართულებების მიხედვით შემუშავდა სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები. ნინი, მარიამ, რას იტყვით, როგორი იყო ტესტის სირთულე?

ნინი კეპულაძე: ჩვენ ტყუპები ვართ, ჯავახიშვილში იურიდიულზე ვსწავლობდით და ამავე მიმართულებით



გვინდა სწავლის გაგრძელება. ტესტი არ იყო ადვილი, იყო რთული და მარტივი ნაწილებიც. მაგალითად, ანალიტიკური წერა ძალიან მარტივი იყო.

მარიამ კეპულაძე: ადვილი იყო მათემატიკაც, უბრალოდ დრო იყო ცოტა. მოცემული დრო არ არის საკმარის



სი ტექსტის გასააზრებლად. ჩვენს კატეგორიაში ლოგიკა იყო გართულებული.

მაია მიმინოშვილი: როგორ ფიქრობთ, ადეკვატური



იყო ტექსტის ასეთი ფორმატის შემოღება საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის?

მარიამ კეპულაძე: დიახ, ნამდვილად.

თეიკო ანჯაფარიძე: მარიამ, შენ რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხე?

მარიამ გურგენიძე: ფილოლოგიურზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში. მივიღე ასპროცენტის დამფინანსება.



თეიკო ანჯაფარიძე: იმან, რომ პროგრამების თანმიმდევრობისა და რაოდენობის შეცვლა შედეგების გა-

მოცხადების შემდეგაც შეგეძლო, გაგიმარტივა თუ გაგირთულა საბოლოო არჩევანის გაკეთება?

მარიამ გურგენიძე: იცით რა, თავიდან, ეკონომიურზე მინდოდა, მათემატიკაც კი ჩავაბარე, მაგრამ საბოლოოდ შევცვალე ჩემი გადაწყვეტილება. შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს წერა და წიგნების კითხვა...



მაია მიმინოშვილი: რა კარგია!
მარიამ გურგენიძე: ყველაზე ნაკლებად ვინერვიულე ქართულზე, პრინციპში ყველა საგანი ადვილი იყო,



ძალიან ადვილი იყო უცხოური ენაც. მე გერმანული ჩვაბარე, გერმანიაში ვსწავლობდი, ენა კარგად ვიცი, მაგრამ იყო ზუსტად ის საკითხები, რომლებიც სკოლაში გავიარეთ. უნარებზე ცოტა ვინერვიულე, ფანჯარასთან მოვხვდი, ქარი უბერავდა და ფურცლებს აფრიალებდა...

ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე
გიორგი გრძელიშვილის ფოტოები



ნომრის კონკურსში გამარჯვებული სტატია

კონკურსში – საგანმანათლებლო თემაზე შექმნილი საუკეთესო სტატია – „გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“ წელს ორი გამარჯვებული ნამუშევარი გამოავლინა. ქნი მანანა კარტოზიას წერილი „ისევ ილიას უნდა ვენდოთ“ ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა, მეორე ნომერში კი გთავაზობთ თსუ-ს მე-3 კურსის სტუდენტის მამუკა საფარიძის მიერ ჩაწერილ ინტერვიუს.

„მე ვბრძნობ, რომ სტუდენტი ვარ“ – თსუ-ს სტუდენტი ბრატისლავაში

ნინო საყვარელიძე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია. ის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე სწავლობს. ამჟამად ნინო ბაკალავრიატის მე-5 სემესტრს ევროპაში, ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტში ატარებს. იგი თსუ-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილეა. სლოვაკეთში სწავლის გასაგრძელებლად მან წარმატებით გაიარა შესარჩევი ტურები და მოხვდა იმ სტუდენტთა შორის, რომელთაც საშუალება ეძლევათ ერთი სემესტრის მანძილზე ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში ისწავლონ. ნინოსთან ინტერვიუ ინტერნეტით ჩაინერა, თუმცა ევროპულ უნივერსიტეტში სწავლით გამოწვეული მისი ემოციები და სიხარული, „სკაიპშიც“ კი იგრძნობოდა.

– რომელ მიმართულებაზე აგრძელებ სწავლას?

– ჩემს ფაკულტეტს სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჰქვია. ძირითად მიმართულებად მე ევროპათმცოდნეობა ავირჩიე. გავდივარ საგნებს, რომლებიც ევროკავშირის მოდულს ეხება. თუმცა მაქვს ისეთი კურსებიც, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილია, მაგალითად, საერთაშორისო უსაფრთხოება, „თამაშის თეორია“ და სხვა.

– როგორ მოგწონს ბრატისლავას უნივერსიტეტი?

– უნივერსიტეტი ძალიან მომწონს. ყველა ფაკულტეტს თავისი კორპუსი აქვს, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენთან. თუმცა ერთი განსხვავებაა. კორპუსები ერთმანეთისაგან საკმაოდ მანძილზეა. აი, ჩემი ფაკულტეტის შენობა ქალაქის გარეუბანშია. საერთო საცხოვრებელიდან უნივერსიტეტამდე მისვლას 45 წუთი სჭირდება. თუმცა ეს პრობლემა არაა, მითუმეტეს, რომ ავტობუსით მგზავრობა აქ სტუდენტს ძვირი არ უჯდება. მე კარგი ცხრილი მაქვს, კვირაში 4 დღეს ვისვენებ. რაც მთავარია, აქ სასწავლო ბაზების პრობლემა არავის ექმნება და არჩევანის თავისუფლება გაქვს. რაც ყველაზე კარგია, არ მაქვს ლექციებს შორის შუალედები, რაც ვიცი, ძალიან მომენატრება.

– როგორია სწავლების სტრუქტურა? რა მსგავსება-განსხვავებას ხედავ თსუ-სა და კომენიუსის უნივერსიტეტს შორის?

– მე ამ სემესტრში სულ 7 კურსი ავიღე. როგორც თსუ-ში, ისე აქაც, არჩევანის თავისუფლებაა. ლექცია-სემინარის სტრუქტურა განსხვავებულია. თითოეულ





საგანში ლექცია-სემინარი ერთად ტარდება, ხოლო ლექციები ყოველთვის ინტერაქტიულია. კურსის შეფასების დიდი წილი, 60 პროცენტი, სტუდენტის კვლევით ნაშრომს ეთმობა. ეს ძალიან კარგია: საკითხის კვლევისას ეცნობი უამრავ ლიტერატურას, გადიხარ კონსულტაციას ბევრ ადამიანთან, რომელთაც ამ საკითხის შესახებ საკმაოდ ცოდნა აქვთ და, რაც მთავარია, შენ თვითონ ქმნი რაღაც ახალს, შენს საკუთარს. შენ სწავლობ, თუ როგორ შექმნა ახალი უკვე არსებული რესურსის დახმარებით.

– როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი სასემინარო დღე?

– სემინარს ყოველთვის საგნის ხელმძღვანელის ასისტენტი ატარებს. მინდა აღვნიშნო, რომ ლექციებს არაჩვეულებრივი ლექტორები მიკითხავენ. ერთ-ერთი მათგანი სტენფორდის უნივერსიტეტის ლექტორია. სემინარზე შეზღუდული არავინაა, პირიქით, აქ აქტიურობა მოგეთხოვება, შენ უნდა აფიქსირებდე საკუთარ აზრს. არავინ გაგაჩერებს ან გეტყვის, რომ რასაც ამბობ, ეს აბსურდია. ყველას აქვს საშუალება, სადისკუსიო საკითხის შესახებ საკუთარი აზრი გამოხატოს. რაც მთავარია, სტუდენტები ერთმანეთს დისკუსიისას ხელს არ უშლიან. იციან, თუ როგორ სცენ პატივი სხვათა აზრს. ნებისმიერი ლექტორი ლექციის ახსნისას არასდროს გვახვევს თავს საკუთარ შეხედულებებს და ყოველთვის გვეუბნება, “you can challenge this idea”, ანუ შენ შეგიძლია შეიტანო ეჭვი არგუმენტებში, იფიქრო განსხვავებულად და ა.შ. სემინარზე ხარ ვალდებული იყო აქტიური, გარდა ამისა, ყოველთვის, როცა საკითხავ მასალას გვიგზავნიან, ლექტორს აუცილებლად უნდა გადავუგზავნოთ კითხვები, რომლებიც დაგვებადა

მასალის გაცნობისას. ამას active reading-ის ფორმატი ჰქვია. საბოლოოდ, სასემინარო აქტიურობაში მაქსიმუმ 20 ქულა გვერგება.

– ნინო, რა მოცულობის მასალის მომზადება გიხდება ერთ სასემინარო კვირაში?

– თსუ-ში მასსოვს ვწუნუნებდით, რომ 20-გვერდიან მასალას გვაძლევდნენ ხოლმე კვირის მანძილზე. აქ კი, გაგიკვირდება, მაგრამ მომდევნო კვირისათვის, თითო საგანში, მინიმუმ 100 გვერდამდე მასალა მაინც უნდა დაამუშავო. თუმცა, მინდა გითხრა, რომ ეს დამლელი არ არის. სამი საათის ხანგრძლივობის ლექციებიც კი (ჩვენთან ერთი საათით ნაკლებია), არასდროს ღლის სტუდენტებს. ეს არ არის მხოლოდ ლექტორის მონოლოგის საათები, აქ ყველაფერი ინტერაქტიულია.

– რა სახის რესურსები გაქვთ უნივერსიტეტში ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით?

– არის ბიბლიოთეკა, რომლითაც ჯერ არ მისარგებლია. ჩვენ ყველა საჭირო მასალას ლექტორები გვიგზავნიან. გვაქვს კომპიუტერული ოთახი, სადაც თავისუფალი ადგილი ყოველთვისაა. გარდა ტექნიკური მხარისა, თითოეულ ლექტორს თავისი საკონსულტაციო საათები აქვს, როცა შეგიძლია ვკითხოთ საჭირო ლიტერატურის შესახებ და ა. შ. უნივერსიტეტი ძალიან კომფორტულია, პირველივე, რაც თვალში მომხვდა, ესაა დერეფნებში დადგმული ტახტები. ჩვენთან დერეფანში სკამსაც კი რთულად თუ ნახავ. სტუდენტები, მართლაც რომ, კომფორტში არიან. სასურველია, თსუ-შიც ყველაფერი ასევე იყოს.



– გარდა მსგავსი კომფორტისა, რაც გეთანხმები, რომ სასურველია, რას ისურვებდი კომენიუსის მსგავსად თსუ-შიც გეხილა?

– ეს, პირველ ყოვლისა, ლექტორებს ეხება. მინდა თსუ-შიც ისეთი ლექციები იყოს, როგორიც აქაა. ლექცია არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ლექტორის მოხსენებას ორი საათის მანძილზე. მეორეც, მე განვასხვავებ ლექტორებს, რომელთაც აქვთ პრეზენტაციის უნარი, ანუ მოგანოდონ მასალა ისე, რომ გაიგო, რის შესახებ გესაუბრება და ლექტორები, რომლებიც არაჩვეულებრივები იქნებოდნენ სამეცნიერო საქმიანობაში, თუმცა არა სალექციო ფორმატში. მგონია, ლექტორი უნდა ქმნიდეს ისეთ გარემოს, რომ მის ლექციაზე დასწრება საინტერესო იყოს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კურსის შეფასებისას დიდი ყურადღება სტუდენტის კვლევით ნაშრომს დაეთმოს და არა თეორიულ მასალას. ვწერდეთ თემებს, კვლევებს, „ანალიტიკურ ესეებს“, რაც 4 წლის ბოლოს საბაკალავრო ნაშრომის წარმატებით შესრულებაში დაგვხმარება. ამ უნივერსიტეტში კიდევ ერთი ძალიან კარგი ტრადიცია არსებობს. უნივერსიტეტი სტუმრად იწვევს საჯარო მოხელეებს, რომლებიც საჯარო ლექციებს მართავენ. ე. წ. „გესტ-სპიკერები“ არიან. სულ ახლახან ჩვენთან სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი იყო. ვიცი, რომ თსუ-ში იწვევენ ხოლმე საჯარო ლექციებზე სტუმრებს, თუმცა კარგი იქნება, თუკი ეს ყველა მიმართულებაზე იქნება და არა ზოგადად საუნივერსიტეტო დონეზე. ყურნალი-სტებს ჰქონდეთ საშუალება, მოისმინონ ლექციები აუ-რნალისტიკაში მომუშავე და კომპეტენტური პირისაგან, პოლიტოლოგებს ქვეყნის საჯარო პირებისაგან და ა. შ.

– ნინო, როგორ შეგხვდათ უნივერსიტეტი გაცვლითი პროგრამით ჩასულ სტუდენტებს?

– აქ გაცვლითი პროგრამით სხვადასხვა ქვეყნიდან ბევრი სტუდენტია. პირველ დღეებში ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან გაცნობითი შეხვედრა გვექონდა. დავკვლიანდით, რომ მერე არ დავბნეულიყავით.

– გაქვთ თუ არა სტიპენდიები?

– ამ პროგრამის მონაწილეებს სტიპენდია 200 ევრო გვაქვს. ეს იმდენია, რომ ერთი თვის მანძილზე სტუდენტს კვებაზე და ა. შ. გეყოფა, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ საკუთარი თავის მაღლიერი დავრჩი, საკუთარი თანხა თან რომ წამოვიღე. როგორც აღმოჩნდა, საერთო საცხოვრებლის საჭირო ატრიბუტიკით შევსება ჩვენ მოგვიხდა. ოთახი ცარიელი დავგვხვდა. ჩვენ ვიყიდეთ ქვაბები, ტაფები და მსგავსი რამ. ინტერნეტი გვჭირდებოდა და იძულებულნი გავხდით, მოდემიც გვეყიდა. საცხოვრებელი თავიდან არ მოგვწონდა, თუმცა ახლა შევეჩვიეთ. ასე რომ, მხოლოდ სტიპენდია რთულად თუ გეყოფა, მითუმეტეს, ჩემნაირ სტუდენტს. ხან სად მინდა წასვლა და ხან სად.

– ნინო, უცხო ქვეყანაში ყოფნისას სტუდენტებს რამე სირთულეები ხომ არ გექმნებათ?

– სირთულე შეგვექმნა, თან ისეთი, რომ ქვეყნის დატოვებაც კი მოგვთხოვეს. საქმე ისაა, თსუ-ში არავინ გაგაფრთხილა, რომ სლოვაკეთში ყოფნისას ბინადრობის ნებართვა იყო საჭირო, სანამ ვიზას მოგვცემდნენ. ჩვენი უნივერსიტეტის საგარეო დეპარტამენტს ამის შესახებ



ინფორმაცია არ მოუწოდებია. ჩვენი ქვეყნის საელჩო დაგვეხმარა, სლოვაკეთიდან რომ არ დავბრუნებულყავით. სპეციალურად ჩვენთვის გამონაკლისი გააკეთებინეს და დაგვტოვეს. ამას დაერთო ისიც, რომ თურმე სამედიცინო შემონმების დოკუმენტაც გვჭირდებოდა, რაც საკმაოდ ძვირია. ბრატისლავაში, ამ დოკუმენტის მიღებას 260 ევრო სჭირდება. საკუთარი თანხა რომ არა, გამოდიოდა, რომ პირველი თვე სტუდენტებს მშიერებს უნდა გვევლო. ამ ყველაფერში ერთი თვის სტიპენდიის თანხა დავხარჯეთ. საბოლოო ჯამში, ეს კარგი პროგრამაა, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ დასახვევნი. ეს სერიოზული პრობლემები იყო, რომლებიც არ შეგვხვდებოდა, რომ თსუ-ს უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინა. ახლა უკვე ყველაფერი მოგვარდა.

– ახლა, რაც შეეხება უნივერსიტეტის გარეთ, სტუდენტურ ცხოვრებას: სად ერთობა ბრატისლავას სტუდენტობა? სად დადიხართ ხოლმე საღამოობით ან დასვენების დღეებში?

– ბრატისლავა ცოცხალი ქალაქია. ყოველ საღამოს უამრავი წვეულებაა, აი, რასაც „ფართებს“ ვუწოდებთ. მაგალითად, ერთხელ ჯაზ-კონცერტზე ვიყავი, დასწრება უფასო იყო. მერე ესპანურ საღამოზე გადავედი. აქ არ მონიყენ.

– თუ დაუმეგობრდი სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებს? როგორია მათთან ურთიერთობა?

– აქ ძალიან თბილი ხალხია. უკვე გავიცანი პორტუგალიელი და ესპანელი სტუდენტები. აი, ვენაში ექსკურსიაზე მათთან ერთად ვიყავი. ძალიან გულისხმიერები არიან. ყველა ესპანელი იყო, თუმცა თავი უხერხულად რომ არ მეგრძნო, ჩემ გამო ინგლისურად საუბრობდნენ. მათთან ერთად თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. კიდევ ბევრი ქალაქის მონახულება მაქვს დაგეგმილი.

– ნინო, ამ ყველაფერს თვითონ სტუდენტები აფინანსებთ, თუ უნივერსიტეტი გაძლევთ ამის შესაძლებლობას?

– ეს ექსკურსიები მე თვითონ დავაფინანსე. აქ ჩამოსვლამდე 5 თვის მანძილზე ვმუშაობდი და გართობა-

მოგზაურობისათვის თანხა შევადგო. თუმცა, მინდა გითხრა, რომ აქ ექსკურსიებისათვის ძალიან კარგი ფასებია. მე მივაგენი ინტერნეტ-საიტს, სადაც დაბლ ფასებში შეგიძლია ნახო ავია-ბილეთები. მაგალითად, რომში 40 ევროდ შემიძლია გავეფრინდე და როგორც გავიგე, ესეც ძვირია. უფრო იაფადაც შეიძლება მოხერხება. მიხარია, რომ ვნახავ პარიზს, პრაღას, ათენს, იტალიის ქალაქებს. ლექციების გარდა უამრავი თავისუფალი დრო მრჩება. სამი დღით კრაკოვშიც ვაპირებ წასვლას. ისე, აღმოჩნდა, რომ აქ ფულის ხარჯვა საოცრად იოლია. ევროპელებს ყველაფრისაგან უყვართ ფულის კეთება. აი, ჩემს მეგობარს ოთახის გასაღები დაეკარგა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად 33 ევრო დაეხარჯა. ამიტომ, ისე უნდა ხარჯო, მთლად ზარალშიც რომ არ აღმოჩნდე.

– როგორია შენი სამომავლო გეგმები? თბილისში როდის ბრუნდები?

– ბრატისლავაში სწავლა 10 სექტემბერს დაიწყო. მე ამ უნივერსიტეტში 31 იანვრამდე ვიქნები. გაცვლითი პროგრამა ერთსემესტრიანია. სანამ დავბრუნდები, ბევრი რამ მაქვს მოსასწრები. პირველი, ჩემი ერთ-ერთი ლექტორის ასისტენტი უნდა ვიყო ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც აქ მცხოვრებ ბოშებს ეხება. გარდა ამისა აქ არსებობს დებატ-კლუბი, სადაც მსაჯი ვიქნები, ეს ძალიან მახარებს. აქ მე ვგრძნობ, რომ სტუდენტი ვარ. აქ ვისწავლე, რომ 5 დღის მანძილზე შეიძლება სულ 3 საათი მეძინოს და მაინც არაფერი გამომრჩეს. ვხუმრობ ხოლმე, რომ შემიძლია დილაზე გავერთო, ვიცეკვო და მაინც მონესრიგებული და სემინარებზე აქტიური სტუდენტი ვიყო.



აქ გავლილი საგნები საბოლოოდ თსუ-ში აღიარებულ კრედიტებად ჩამეთვლება. აქ ყოფნა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი გამოცდილებაა. ძალიან მიხარია, რომ ამ პროგრამის მონაწილე ვარ.

მამუკა საფარიძე
თორნიკე ზიზიაშვილის ფოტოები

ბორხესი, ლეოპარდი და მაგიური რეალიზმი

ლევან ბუთხუზი: „national geographic საქართველოს“ მთავარი რედაქტორი

პროფესია: ბიოლოგი

მოქალაქე: ქვეყანა, სადაც ჩადის, მისი ნაწილი ხდება

საქვეყნო ფრაზა: „თუ რაღაც გინდა, აუცილებლად ახდება“



თავდაპირველად იყო იდეა, სურვილი და დიდი გზა. წლების შემდეგ იდეა რეალობად იქცა, თუმცა მანამდე იყო ბორხესის მაგიური სამყარო, წიგნები მოგზაურობაზე, საბჭოთა რეალობა და მიზანი:

– ბავშვობაში ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხე მოგზაურობაზე. ჩემი მიზანი იყო აღმოსავლეთ აფრიკაში მოვხვდარილიყავი. მაშინ ეს წარმოუდგენელი იყო. წარმოუდგენელი იყო ისეთ სოციალისტურ ქვეყანაში წასვლა კი, როგორც ბულგარეთია. როგორც კი დაიშალა სსრკ, ავიღე ზურგჩანთა და წავედი. წავედი, მას შემდეგ სულ ვმოგზაურობ. 36 ქვეყანა, ნანატრი აფრიკა, ველური ბუნება – ყველაფერი ის, რაც ადრე წარმოუდგენელი და ირონიის საფუძველი იყო, დღეს ჩემი რეალობა და ცხოვრების ნესია.

რატომ მოგზაურობა?

– მოგზაურობა ჩემთვის პირველ რიგში საკუთარი თავის აღმოჩენის საშუალებაა. სამოგზაუროდ კომფორტისათვის არასოდეს წავსულვარ. ყველა ეტაპზე ადამიანს ჰგონია, რომ საკუთარ თავს იცნობს. საკუთარი თავის შეცნობის რამდენიმე გზა არსებობს. ორი რამ, რასაც ხაზი მინდა გავუსვა არის: სხვა კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა და ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი თავის გამოცდა. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ზუსტად იცი, როგორ უნდა მოიქცე, ხვდები გარშემომყოფების რეაქციას, როგორც კი სხვაგან ხვდები, აღმოჩნდება სხვა რეალობაში – ის, რაც მისაღებია შენთვის, ან შენი კულტურისათვის მიუღებელია მათთვის. თუ რაღაც ვერ გაითავისე, ყოველთვის ხდები უცხო. ასეთ სიტუაციებში ადამიანი საკუთარ თავში ნაკლს ადვილად აღმოაჩენ და იწყებ შენი თავის გამოსწორებას. მარტივი მაგალითია, მაგრამ მაინც წლების წინ მაკრიტიკებდნენ მოკლე შარვლის ტარების გამო, ამას ყურადღებას არც ვაქცევდი და თავად ამ მიდგომას ვაკრიტიკებდი. მაგრამ, როდესაც ჩავედი მომბასაში, სადაც ყველა ტურ-


ისტი შორტებით დადის, ჩვენმა გიდმა გვთხოვა, იქაური ტრადიციისათვის პატივი გვეცა და შესაბამისად ჩაგვეცვა. არც ერთი წამით არ გამჩენია პროტესტის გრძნობა. სხვა კულტურის მიმართ პროტესტის გამოხატვას რომ იწყებ, ეს უკვე კოლონიზაციაა. მას უნდა პატივი სცე და არც უნდა შეაფასო.

იდეიდან — წარმატებამდე

– „თუ რაღაც გინდა, აუცილებლად ახდება“. ბლოკის ეს სიტყვები მთელი ცხოვრება მომყვება. ამ ფრაზას ხშირად ვიმეორებ. თუ არ ახდა, ესე იგი საკმარისად არ გინდოდა. ზოოპარკში მტაცებლების განყოფილების დამლაგებელიც ვიყავი. ცხოველებს ვუვლიდი, ვოლიერებს ვალაგებდი – ზიზლი არასოდეს მიგრძენია. ყოველთვის ვაკეთებ იმ საქმეს, რასთანაც მაქვს პროფესიული კავშირი და რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს. აქვე ჩემს საყვარელ ავტორს დავესესხები, მართალია, მუსიკისათვის საჭიროა მუსიკალური ინსტრუმენტები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გარეშე არ არსებობს მუსიკა. ინსტრუმენტები აუცილებელია მხოლოდ მუსიკის შესრულებისათვის.

„NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო“

– იდეის წარმოშობის შემდეგ იყო ხანგრძლივი მოლაპარაკებები. მიუხედავად იმისა, რომ კომერციული თვალსაზრისით შეიძლება არ იყო მომგებიანი პროექტი, იმედია, დროთა განმავლობაში ეს სურათი შეიცვლება. 2012 წლის მაისში გავაფორმეთ ხელშეკრულება, სექტემბერში იყო პირველი ნომერი. პირველი რამდენიმე ნომერი არ მომწონდა შინაარსობრივად, ნელ-ნელა დაიხვენა. პირველად იყო პრობლემები თარგმანთან დაკავშირებითაც. როდესაც დავინწყეთ თარგმანა, ძალიან გაგვიჭირდა სრული შინაარსის გადმოცემა. ამ ჟურნალის სპეციფიკასთან მორგება სკამოდ რთული აღმოჩნდა. რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლებად იგრძნობა, რომ თარგმანია. ქართული გამოცემა იხვენება და ხდება ის, რაც უნდა იყოს. რაც მთავარია, ეს არის ჟურნალი ყველასათვის, არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი, ტაბუდადებული თემები, მაგრამ ერთი რამ ნათელია, როცა ამ გამოცემას კითხულობ, კონკრეტული სტატიიდან სრულ და თანაც აბსოლუტურად სანდო ინფორმაციას იღებ. ნდობა ის





ერთ-ერთი მთვარი ღირსებაა, რომელიც ამ ჟურნალს აქვს და რომელიც მას წლებმა მოუტანა.

პროექტები და გეგმები

– ჩვენი პირველადი მისია ცოდნის გავრცელება და საგანმანათლებლო პროექტების კეთებაა. რასაც ვაკეთებთ, უნდა იყოს განათლებასთან მიბმული. გვინდა ამ ყველაფერს სისტემური ხასიათი მივცეთ. განსაკუთრებული ფასით შევთავაზოთ გამოწერა ყველა სკოლას. იგეგმება თანამშრომლობა „გამოცდების ეროვნულ ცენტრთანაც“ – ერთობლივი პროექტების წინ წამოწევა, თუმცა ჯერ გეგმები ბუნდოვანია. მთვარია, რომ ჩვენ გვინდა ვიყოთ საჭიროებებზე მორგებულნი. ჟურნალის გამომწერი ხდები თუ არა, ეს ნიშნავს, რომ შენ ხდები ამ გაერთიანების წევრი და ბონუსად იღებ ჟურნალს. ჩვენ გვეკრძალება გავაჩუქოთ ერთი ეგზემპლარიც კი. ყოველი ნომრიდან შემოსული თანხა მიდის ფონდში და აფინანსებს სამეცნიერო ექსპედიციებს. არ გვაქვს ფუფუნება ეს ფული წავიღოთ სხვაგან. ეს ხომ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელია, მისი მთავრი არსი კვლევების დაფინანსება და ამ კვლევების შედეგად მიღებული ცოდნის გავრცელება ანუ ახალი ამბების აღმომჩენები და გამავრცელებლები ვართ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალი ექსპედიციების შესახებ ფართო საზოგადოება აუცილებლად შეიტყობს.

2014 წლიდან ახალი პროექტის „national geographic KIDS“-ის დაწყებას ვგეგმავთ. ეს ძალიან პოპულარული პროექტია. ყველაფერი ის, რაც იწერება ჩვეულებრივ გამოცემაში, ილუსტრირებული და საბავშვო ენითაა დაწერილი.

ბორხესი და ლეოპარდი

ბორხესი, ლეოპარდი და მაგიური რეალიზმი... მაგიური რეალიზმის შესახებ შემთხვევით გაიგო, როცა ხელში ეგრეთ წოდებული „ბურჟუაზიული ჟურნალი“ ჩაუვარდა, რომელშიც სალვადორ დალის ფოტომ დააინტერესა. სალვადორ დალიმ ნელ-ნელა ბორხესამდე მიიყვანა:

– ბორხესი სულ თან დამყვება. მან სამყარო ცოტა სხვა კუთხით დამანახა, არარეალისტური, სადაც დრო და სივრცე ერთმანეთთან გადაჯაჭვული არ არის. მიუხედავად ამისა, მაინც ყველაფერი ერთმანეთთან ორგანულ მიზეზშედეგობრივ კავშირშია.

შემთხვევითი არაა არც დალი, არც ბორხესი და არც ლეოპარდი...

– ბორხესი ნავიკითხე და მისი მაგიური რეალიზმი, სადაც გამოდმებით ლეოპარდები და ვეფხვები ფიგურირებენ, ძალიან მომეწონა. ლეოპარდი ჩემი ტოტემია. მას ბავშვობიდან ვეძებ, რადგან მახსოვს, ვილაცამ მითხრა: „ვეფხისა და მოყმის“ ლექსში არის არა ვეფხვი, არამედ ლეოპარდი იმიტომ, რომ საქართველოში ოდესღაც იყო ლეოპარდიო.

მოგვიანებით ლეოპარდი, რომელიც აღარ იყო, მან ვაშლოვანის ნაკრძალში იპოვა.

და ისევ ბლოკი

ინტერვიუს ჩასაწერად „national geographic საქართველოს“ ოფისში მივედი. მთვარი რედაქტორის ინტერვიუზე დათანხმება რთული არ იყო, უბრალოდ ის სულ მოგზაურობს და...

რედაქციაში სიტუაცია ისეთი დამზვდა, როგორსაც ველოდი. რედაქცია ახალ ნომერზე მუშაობდა, ხელოსნები კი რალაცას აკეთებდნენ. ხმაურში ერთმანეთის საუბარი – მას ჩემი კითხვები, მე კი მისი პასუხები – არ გვესმოდა, თითქოს „თარგმანში დაკარგულეს“ ვგავდით. ამიტომ ეროვნული მუზეუმის ღია ეზოში გადავინაცვლეთ.



ფინჯანი ყავა, სასიამოვნოდ გრილი ამინდი და საინტერესო რესპოდენტი...

უცებ ვიფიქრე, ამ მუზეუმის კედლებში რამდენი საოცარი ამბავი ინახება. თითოეული ექსპონატი ისტორიის ნაწილი და საოცარი თავგადასავალია, აი ისეთი, თუ კარგად დანერ, „national geographic“-ში აუცილებლად რომ მოხვდება.

როგორც ჩვენი რესპოდენტი ხშირად იმეორებს, „თუ რალაც გინდა, აუცილებლად ახდება“ – მე ველოდები ახალ ნომერს!

თეიკო ანჯაფარიძე



საქართველოს მუზეუმში დაცული დავითაიების
საჯალაბე სახლი ონტოლოდან.
XVIII საუკუნე.

ეთნოგრაფიული მუზეუმის „კლასიკა“

მე ვგიჟდები მაიკლ ჯეკსონზე და ხშირად ვუსმენ ფრედი მერკურის... რა გაიგეთ ამით ჩემ შესახებ? ვერკვევი მუსიკაში თუ ვერა? ვერც ვერაფერი, რადგან კლასიკაზე არ დაობენ და ეს ორი მუსიკოსი უკვე კლასიკოსია. როცა სკოლაში ვასწავლიდი, მაშინაც ამ ერთგვარი „ტრიუკის“ ამბებს ვუმხელებდი ჩემს მოსწავლეებს: თუ რამეში ცუდად ერკვევით და არ გინდათ, რომ გაამჟღავნოთ, აირჩიეთ „კლასიკა“, ასე მაგალითად, მომწონს ლეონარდო და ვინჩის მხატვრობა, გალაკტიონის პოეზია და რა ვიცი კიდევ... შოპენის მუსიკა... თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვაზე – რატომ მოგწონს? – პასუხის გაცემას მხოლოდ ეს ზედაპირული ჩამონათვალი ვერ შევლის, ამისათვის ზოგადი განათლების გარდა კიდევ ბევრი რამ არის საჭირო და აუცილებელი. ერთ-ერთ გაკვეთილზე ყველა მოსწავლემ გამცა პასუხი შეკითხვაზე, რომელი მანქანა მოსწონთ. პასუხად მე მოუყევი ერთი ქართველის ისტორია, რომლის პრინციპული მოთხოვნა იყო ჰყოლოდა ცისფერი „პეჟო“. საფრანგეთში ემიგრანტებად გაქცეული ჩვენი მენშევიკური მთავრობის დიდი ნაწილი შიმშილით სიკვდილს „პეჟოს“ ქარხანაში დასაქმებას გადაურჩენია თურმე. ჩემი მეგობარი ქართველიც ცისფრი „პეჟოს“ შექენით ერთგვარ პატივისცემას გამოხატავდა ჩვენი „ცისფერსისხლიანი“ წინაპრების მიმართ. ამ გაკვეთილის შემდეგ რამდენიმე „ინტერესიანმა“ მოსწავლემ Google-ის საძიებო სისტემა „გადაქეჟა“ და მეორე დღეს შეძლებისდაგვარად მომზადებული პასუხით მოვიდა, მაგალითად, ასეთით: „მე BMW-ს შევიძენდი, მასწ., მას ახალგაზრდულ მანქანას ეძახიან და სიჩქარესაც

სწრაფად ავითარებს, შავი ფერის მინდა, სოლიდური და სერიოზული ფერია“. „შავი და თეთრი – ფერები არ არის, ისინი ტონებია, როგორც უკიდურესი სიბნელე და უკიდურესი სინათლე“, – შევუსწორე მე. ხელოვნების მასწავლებლის მოვალეობად ჩავთვალე, თორემ სხვა საგნის პედაგოგი რომ ვყოფილიყავი, არც კი შევიმჩნევდი.

კლასიკა, რომელიც გიყვარს და კლასიკა, რომელიც ცვლის

კაზიმირ მალევიჩის „შავი კვადრატი“ კლასიკაა. მაგრამ არ არის სავალდებულო ის მოგწონდეს, საკმარისია იცოდდე – რატომაა კლასიკა. ადამიანების უმრავლესობას იმპრესიონიზმი უყვარს, რადგან ის ლამაზია და გასაგები, თუმცა ფრაზა – „ვეგიჟდები იმპრესიონიზმზე!“ – ხელოვნებაში გარკვეული ადამიანებისათვის იმას ნიშნავს, რომ ფრაზის ავტორი ცუდად ერკვევა სახვით ხელოვნებაში. იმპრესიონიზმი, რა თქმა უნდა, კლასიკაა, მაგრამ ის პოპ-მუსიკასავითაა მხატვრობაში, პოპ-ხელოვნება კი ყოველთვის უფრო დაბალი დონისაა.

გერმანელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის ძველი ხელოვნება უფრო საინტერესოა, ვიდრე ახალი და რაც უფრო ძველია ის, მით უფრო ჩნდება მის მიმართ ინტერესი. მკვლევრები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ძველი კულტურა უფრო მისტიური და ამოუცნობია, დროის დისტანცია კი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას ადამიანებისათვის. შესაბამისად, მუზეუმებს უფრო მეტი დამთვალიერებელი ჰყავს, ვიდრე გალერეებს.



მუზეუმი ცის ქვეშ

დასავლეთ საქართველოში ფაცხისა და ჯარგვალის შემდეგ მე-18 საუკუნის ბოლომდე საჯალაბე სახლები იყო გავრცელებული. პირველი ორი არ შემორჩენილა, საჯალაბე სახლის რამდენიმე კლასიკური ნიმუში საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმშია გადმოტანილი. პირველივე სახლში ჩითის კაბასა და თავსაფარში გამოწყობილ გოგონას შეხედებით, რომელსაც ამ ფიცრულში მცხოვრების შესაბამისად შალის წინდები და ქალამნები აცვია. წინაპრებით ისიც ქალამანს ყოველდღე ცხიმით ჰოხავს და მერე საკუთარი ფეხის ფორმავს სვამს დარბილებულ ტყავს. ძველი მეგრული გლეხის გოგონას განსახიერების გარდა მისი მოვალეობაა ერთი და იგივე ისტორია უამბოს ყველა დამთვალეობებს: „ონტოფოში მცხოვრები დავითაიების საჯალაბო სახლის საძირკველი ქვისაა. კედლები წაბლის ხის ფიცრისაგან ულურსმნოდ არის ნაგები. გადახურვა ორქანობიანია, ხის ნივნივებზე და გადახურულია ყავრით. მისი ფართობი 80 კვადრატული მეტრია. საჯალაბე სახლი გეგმაში სწორკუთხაა და ფასადის მხარეს აქვს შეფიცრულიათაკიანი, ოთხსვეტიანი აივანი. მას პერიმეტრზე ხის სკამი გასდევს. აივნის თავზე-სხვენს ფასადი გახსნილი აქვს და იგი საბძლად გამოიყენებოდა. აივნიდან შემავალი კარით ვხვდებით მინის იატაკის მქონე ოთახში, რომელსაც სოხანე ეწოდება და რომლის ცენტრში განთავსებულია კერა და შუაცეცხლი. იატაკს ყოველდღე რწყავდნენ ქალები და მერე ტკეპნიდნენ, რომ მტვერი არ ასვლოდა.

სახლის ცენტრალურ ნაწილს კერა წარმოადგენს, რომელთანაც იდო ქვა და სამფეხი სკამი ჭრაქისათვის. კერის თავზე ეკიდა ნაჭა და მასზე მოზრდილი ქვაბი. იქვე იდგა დაბალი მაგიდა.

სახლში მკაცრად იყო გამიჯნული მამაკაცებისა და ქალების სამყოფელი. შესასვლელიდან მარცხენა მხარე მამაკაცებს ეკუთვნოდა, ხოლო მარჯვენა – ქალებს. მამაკაცების მხარეს ტაბაკი იდგმებოდა, რომელსაც ისინი

ასაკის მიხედვით შემოუსხდებოდნენ ხოლმე. ისხდნენ ხის დაბალ კუნძებზე ან ჯორკოებზე. არსებობდა საუფროსო სკამიც. ზოგჯერ ამ სკამს ოჯახის უფროსი სტუმარს უთმობდა.

კერა საკრალურ ადგილად მიიჩნეოდა. კერის ცეცხლი ჩაუქრობლად ენთო. კერას წმინდა ადგილად მიიჩნევდნენ და მისი შეურაცხყოფა (განზრახ ცეცხლის ჩაქრობა, წყლის მისხმა, ნაგვის ჩაყრა) დანაშაული იყო და ტრადიციული სამართლითაც განისჯებოდა. კერის ახლოს იკრძალებოდა ბილწისიყვანობა. სამეგრელოში კერის ცეცხლსაც კი იფიცებდნენ. ასეთი წესიც ჰქონდათ: კერის ცეცხლს ორმაბათობით და ახალ წელიწადს არ გასცემდნენ, ოჯახის ბარაქა გაჰყვებოდა.

კერას ასევე დიდი ადგილი ეკავა ჩვეულებით სამართალში. მოკლულის ოჯახთან მკვლელის საბოლოო შერიგების ნიშანი იყო დამნაშავეს შეშვება ოჯახში და კერასთან მოკლულის დედის მკერდზე მთხვევა. ამგვარი რიტუალის შემდეგ მონანიე მკვლელი ამ ოჯახის წევრადაც მიიჩნეოდა.

კერასთან ეწყობოდა ასევე ლოცვის სხვადასხვა და სადღესასწაულო რიტუალებიც. ოჯახის უფროსი სწორედ აქ, კერასთან აღავლენდა ფუძის ლოცვას, აქ აცხოვდა დიასახლისის სანესო კვერებს, აქვე ნაკვერჩხლებზე აკმევდნენ საკმეველს, ახალ წელიწადს მეკვლე პირველად კერის ცეცხლს მიულოცავდა, აჩალებდა ცეცხლს საგანგებოდ მომზადებული ფიჩხით და შემდეგ ზედ გადაახტებოდა.

კერასა და მის თავზე ჩამოკიდებულ ნაჭას დიდი ადგილი ეკავა საქორწინო რიტუალში: ოჯახში პირველად შემოყვანილ პატარძალს სამჯერ შემოატარებდნენ კერას. მას ხელი უნდა შეეველო საკიდლისათვის და ამით უკვე ოჯახის წევრიც ხდებოდა. ცოლ-ქმრისათვის ეზოში ცალკე იდგა „თაფლობის თვის სახლი“, საჯალაბე სახლში ცოლქმრული ურთიერთობა იკრძალებოდა, რადგან მთავარი სახლი საცხოვრებელიც იყო და ტაძარიც, გარკვეული რიტუალების შემდეგ გარდაცვლილ წინაპართა სულელებიც კი კერასთან „იყრიდნენ“ თავს.

მთხრობელები დავითაიების სახლის აგებას ლაზ ოსტატებს მიაწერენ. საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ხის სახლების აშენებისა და მათზე ჩუქურთმების გამო-



ყვანის დიდი ოსტატები იყვნენ ლაზეთიდან და რაჭიდან გამოსული ხელოსნები, რომლებიც ითვალისწინებდნენ იმ კუთხის ტრადიციებსაც, სადაც სახლებს აშენებდნენ და იმ დიდ ცოდნასაც იყენებდნენ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

„შენი ოთახის“ უარყოფითი მხარე

მე-19 საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელებულმა ოდა სახლმა ყველაფერი „გააფუჭა“ – ის აღარ არის სახლი, რომელიც „ტაძარია“. ის ერთობა, მისტიკა, სიმშვიდე, რაც საჯალაბოში ამდენი ხნის მანძილზე იყო შენარჩუნებული, ოდა სახლში დაიკარგა. მას უკვე 2 საძინებელი და 1 მისაღები ოთახი გაუჩნდა. ყველა ოთახს თავისი შესასვლელი აქვს და აივნის ნაწილი ესაზღვრება. შუაგულეტი ბუხრებმა შეცვალა. შესაბამისად, არც „თაფლობის თვის სახლები“ არსებობს და არც საერთო ცეცხლის გარშემო ყოფნის ტრადიცია, არც იმის ვალდებულება, რომ კერიის პატივისცემის გამო მაინც არ იყო ცუდ ხასიათზე და არ იჩხუბო, არც ის, რომ საჯალაბე სახლში მთელ სიგძეზე გაშლილ სარეცელზე, რომელზეც ზოგჯერ 20 ადამიანიც კი ეტეოდა, ბავშვს სურვილისამებრ შეეძლო ზღაპრის თხრობისას ბაბუს გვერდით ჩაძინებოდა, ბებოს ჩახუტებოდა და ისე გაეტარებინა მთელი ღამე, ხოლო მერე დედის ძუძუს საჭმელად გვერდით გადაგორებულყო. რაც მთავარია, ოდა სახლი აღარ დგას მინაზე. საუკუნეების მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოშიც (ბანიანი სახლი, დარბაზული სახლი) და დასავლეთ საქართველოშიც სახლები მინაზე იდგა ან საერთოდ მინით იფარებოდა, რის გამოც ზამთარ-ზაფხულ თითქმის ერთი და იგივე ტემპერატურას ინარჩუნებდა.



ოდა სახლი იმპრესიონიზმითა

სახვით ხელოვნებაში იმპრესიონიზმმა პირველმა შეიტანა ისეთი ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებმაც შემდეგ მთელი მე-20 საუკუნის ხელოვნება განსაზღვრა. თუ ადრე მხატვრები მხოლოდ ჩანახატებს აკეთებდნენ გარეთ და მერე სახლში გარბოდნენ ნანახის ტილოზე გადასატანად ან სულაც იწვევდნენ მოდელებს და ამით სახელოსნოს განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას ანიჭებდნენ, იმპრესიონისტები პლენერზე გავიდნენ, ისინი აბუნდოვანებენ ფორმას და ყოველგვარი მნიშვნელოვნებისა და ქვეტექსტის გარეშე იწყებენ „მთაბეჭდილებების გადატანას“ სურათზე. აქედან მოყოლებული მხატვრის სახელოსნო ყველგანაა, უფრო მოგვიანებით კი, საერთო იდეალის არქონის გამო ხელოვნება ყველაფერი.



ის კარგავს განსაკუთრებულობას, რადგან უკვე ყველას შეუძლია რამდენიმე მონასმის წყალობითაც კი გახდეს ცნობილი „ART-ისტი“, მთავარია, ამ ხაზების კომბინაცია პირველმა მოიფიქროს.

ოდა სახლი დღევანდელი სახლის წინამორბედი, მისი ამშენებელი ბედავს დაარღვიოს აქამდე ტაძრად ქცეული ერთი ოთახის სიმყურეოვე, რომელიც ერთად ყოფნისა და თანყოფნის სიმბოლო იყო და დამოუკიდებელი ოთახები მიუჩინოს ადამიანებს... ბედავს, პირველად დაამოროს მინას სახლი და ფეხებზე შემოდგას კარგი ჰიდროიზოლაციის მომიზეზებით. ამის შემდეგ სახლები სულ მალა და მალა მიიწვევენ, ცაში გამოკიდებული ადამიანები კი (მინას ვინ ჩივის) სულ უფრო და უფრო ემიჯნებიან სოციალურ გარემოს, ცილებიან ერთმანეთს და თავის მრავალრიცხოვან ოთახებში იკეტებიან. ერთმა პოეტმა ბუნებას ლექსი მიუძღვნა ასეთი ქვესათაურით: „ორ ნაძვს, რომლებიც ჩემი ფანჯრიდან მოსჩანს, ეს ბუნებასთან ჩემი კონტაქტის ერთადერთი საშუალებაა ამ ხმაურიან ქალაქში...“ ცათამბჯენები ზოგჯერ ბაბლონის გოდოლს მაგონებს, რომლის მშენებლობა მანამდე არ შეწყდა, სანამ ღმერთმა ადამიანებს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი არ დაანყებინა... „მათ აღარ ესმოდათ ერთმანეთისა და მიმოიფანტნენ...“ ჩვენ ხომ ცათამბჯენებს ღმერთამდე მისასვლელად არ ვაშენებთ და ზუსტად არც ის ვიცით, შუაგულეტი და ეკლესიის შემდეგ სად გადაინაცვლა მისკენ სავალმა გზამ...

ქეთი კვიციანი
ავტორის ფოტოები

წერილები მიზრინავენ შორს

სერია გადაღებულია სურამის № 2 საჯარო სკოლის დირექტორის – მიშა გიორგაძის მიერ სხვადასხვა დროს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებში და გადმოსცემს ბავშვების ცხოვრებას სოფლად. ფოტოების ნაწილი გადაღებულია ასევე მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში.

დაკვირვება მაინტერესებდა. სახისმეტყველება, კონკრეტული ტიპაჟის მქონე პერსონაჟის შერჩევა და მოგზაურობის შედეგად სხვადასხვა ცხოვრების წესის, ტრადიციების მქონე ადამიანებზე დაკვირვება დღემდე მაძლევს საშუალებას არა მხოლოდ გავაკეთო ის, რასაც



ბავშვობიდან მოყოლებული სულ ვფიქრობდი, თუ დიდი მხატვარი არ გამოვალ, ჩემი ჭიის გასახარად მაინც დავხატავ-მეთქი. ხატვის სურვილი დღემდე არ გამწვანდება. ვხატავ ხოლმე, თუმცა ისე, ჩემი ჭიის გასახარადაც რომ არ არის საკმარისი. ხატვა კარგად ვერ ვისწავლე. რა არ ვიღონე, მაგრამ ადამიანების ხატვა განსაკუთრებით არ გამომდიოდა. მითხრეს, მანდ მასწავლებელია საჭიროო; სხეულის აგება, პროპორციებიო და ა. შ. არ მიყვარს აუხდენელი ოცნებები. არც განუხორციელებელი იდეები. საქმის გაიოლება კი მიყვარს.

მხატვრობით ვერ მივალწიე, არამედ საკუთარი ფიქრიც გამოვხატო. ფოტოგრაფია ჩემთვის თვითგამოხატვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა, რასაც მე დღემდე დიდი სიყვარულით ვაკეთებ.

ფოტოგრაფია მხოლოდ თავიდან ჩანდა იოლი. ვიფიქრე, ის იდეები, საკუთარი ფიქრის გადმოცემის ფორმები, რომლებიც მხატვრობაში წარუმატებლად დასრულდა, ამჯერად ფოტოგრაფიაში მომესინჯა. ფოტოების გადაღება დაახლოებით 4 წლის წინ დავიწყე. ვიღებდი ყველაფერს, პეიზაჟებს, არქიტექტურას, მაკრო დეტალებს, ადამიანებს. გარკვეული გამოცდილების შემდეგ მივხვდი, რომ ყველაზე მეტად პორტრეტის ჟანრი და ფოტოაპარატით ადამიანების ცხოვრებაზე







რადიო იმედი

ვუსმენთ ერთმანეთს

105.9 FM

თბილისი

100.9 FM ქუთაისი

100.2 FM თელავი

100.1 FM ბათუმი

100.0 FM გორი

    /**RADIOIMEDI**

პირველი სოციალური რადიოქსაუდი



საქართველო საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული მსოფლიოს რამდენიმე ათეული ქვეყანა საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში იღებს მონაწილეობას.

საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებს რამდენიმე მიზანი აქვს:

- შეაფასოს მოსწავლეთა მიღწევები და მათი ცვლილება დროში;
- აღმოაჩინოს მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავებებისა და მსგავსებების სისტემური, მეთოდოლოგიური და კონტექსტური მიზეზები;
- შემოგვთავაზოს რეკომენდაციები შედეგების გასაუმჯობესებლად.

2006 წლიდან მოყოლებული ამ კვლევებს საქართველოც შეუერთდა და დღემდე შემდეგ კვლევებში მიიღო მონაწილეობა:

- PIRLS - წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, აფასებს კითხვის უნარებს მე-4 კლასის მოსწავლეებში;
- TIMSS - მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა, აფასებს მე-4 და მე-8 კლასების მოსწავლეების მიღწევებს;

- PISA - მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო შეფასების პროგრამა 15 წლის მოზარდებში, აფასებს კითხვის, მათემატიკისა და მეცნიერებების უნარებს;

- TEDS-M - მათემატიკის მომავალ მასწავლებელთა მომზადების საერთაშორისო კვლევა.

ამ ნომერში კვლევების შედეგებზე დაყრდნობით განვიხილავთ იმ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოში თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფას. შემდგომ ნომერში კი შემოგთავაზებთ მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და გათანაბრების რეკომენდაციებს საქართველოსა და კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნების შედეგების შედარებით ანალიზზე დაყრდნობით.

თანასწორობა განათლებაში: გამოწვევები და რეკომენდაციები

განათლებაში თანასწორობის არსი და მნიშვნელობა

განათლებაში თანასწორობა გულისხმობს, რომ ბავშვს, მოზარდსა თუ ახალგაზრდა ადამიანს სწავლისა და განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა

მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა. ბავშვს, რომელიც ცხოვრობს სოფლად, იზრდება ხელმოკლე ოჯახში, აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები ან წარმოადგენს ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობას, თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარების საშუალება უნდა მიეცეს.

განათლებაში თანასწორობას არა მარტო ჰუმანისტური მოსაზრებების გამო უჭერენ მხარს. თანასწორობას ძლიერი რაციონალური საფუძველი აქვს, რომელიც ეკონომიკის და, ზოგადად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას უკავშირდება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ეკონომისტები და სოციოლოგები ამ საკითხს ინტენსიურად იკვლევდნენ და ცდილობდნენ გააანალიზონ თანასწორობის მიმართება ადამიანის ცხოვრების ხარისხთან, პროდუქტიულობასთან, საზოგადოებაში ინტეგრირების ხარისხთან და ეკონომიკის ზრდასთან. მთავარი მიგნება ასეთია – რაც უფრო მეტია ქვეყანაში მაღალი კომპეტენციების, მაღალი სამოქალაქო ცნობიერებისა და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანების წილი, მით უფრო მაღალია ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის შანსი.

აქედან გამომდინარე, იზრდება მკვლევრების, საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ინტერესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის, თანაბარი წარმატების შანსისა და თანაბარი განვითარების შესაძლებლობების საკითხების მიმართ. ამიტომ, გარდა მოსწავლეთა საშუალო მიღწევებისა, საგანმანათლებლო სისტემის წარმატებას ზომავენ იმითაც, თუ რამდენად ახერხებს იგი სოციალური ნიშნით განსხვავებული მოსწავლეების საგანმანათლებლო შედეგების გათანაბრებას.

განათლებაში თანასწორობის საზომები

განათლებაში თანასწორობას ორი ძირითადი საზომი აქვს: განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების შედეგების თანასწორობა.

განათლებაზე ხელმისაწვდომობაში იგულისხმება სკოლამდელ, სასკოლო და სკოლისშემდგომ განათლებაში ჩართული ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების თანაბარი წილი, რომლებიც ცხოვრობენ სოფელსა და ქალაქში, წარმოადგენენ შეძლებულ და ხელმოკლე ოჯახებს, ეკუთვნიან სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობას და ა. შ.

განათლების შედეგები უფრო რთულად გასაზომია. დღეისათვის არსებული საერთაშორისო თუ ეროვნული შეფასებები კოგნიტური უნარებით (კითხვა, მათემატიკა, მეცნიერებები) შემოიფარგლება. თუმცა ეს ის უნარებია, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პროგნოზირებს ბავშვისა და მოზარდის შემდგომ წარმატებას საგანმანათლებლო სისტემაში და მის გარეთ.

განათლების შედეგების თანასწორობის შესაფასებლად სხვადასხვა სოციალური თუ დემოგრაფიული (მშობლების განათლება და საქმიანობა, ემიგრანტები, აბორიგენი მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობები, დასახლების ტიპი) ნიშნით განსხვავებული ჯგუფების შედეგებს ადარებენ.

განსხვავებები მოსწავლეთა მიღწევებში და მათი დინამიკა საქართველოში

2006, 2007, 2010 და 2011 წლებში ჩატარებული საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები მოსწავლეთა


შედეგებში განსხვავებებს სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით გვიჩვენებს და შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

- მოსწავლეები სოფლად, მოსწავლეები ხელმოკლე ოჯახებიდან, მოსწავლეები ნაკლებად განათლებული მშობლებით (საბაზო ან საშუალო განათლებით), საშუალოდ უფრო დაბალ შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე მათი თანატოლები ქალაქში და უფრო განათლებული მშობლებით (იხ. ნახატი 1). აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად დაბალია ასეთი მოსწავლეების შედეგები. მაგალითისათვის, 2010 წელს ჩატარებული პიზას კვლევის მიხედვით, 15 წლის სოფლად მცხოვრები ყოველი მეორე მოზარდის მათემატიკის უნარები იმდენად დაბალია, რომ მათი შედეგები ვერ აკმაყოფილებს კვლევის ინსტრუმენტით შეფასებული მინიმალური საფეხურის მოთხოვნებსაც კი. ამავე კვლევის მიხედვით კითხვის უნარის ყველაზე დაბალ დონეს სოფლად ვერ აღწევს 15 წლის მოსწავლეების 19%.

- მოსწავლეთა შედეგებში განსხვავებები, რომლებიც უკავშირდება სოციალურ ფაქტორებს, იზრდება: PIRLS და TIMSS კვლევების 2006 და 2007 წლების შედეგების 2011 წლის შედეგებთან შედარება გვაჩვენებს, რომ სოფლად მოსწავლეთა შედეგები უარესდება ან იგივე რჩება, ქალაქში კი – უმჯობესდება. იმავე ტენდენციას ვხედავთ მშობლის განათლებისა და ოჯახში წიგნების რაოდენობის მიხედვით – განსხვავებები ბავშვების მიღწევებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- უფრო ხელმოკლე მოსწავლეებსა და მოსწავლეებს სოფლად სკოლაშიც უფრო ნაკლები საგანმანათლებლო რესურსი ხვდებათ, ვიდრე მათ თანატოლებს შეძლებული ოჯახებიდან ქალაქის სკოლებში.


ნახატი 1: 15 წლის მოსწავლეების შედეგები მათემატიკაში, კითხვასა და ბუნებისმეტყველებაში დასახლების ტიპის, მშობლების განათლების, ოჯახში წიგნების რაოდენობისა და სკოლის ტიპის მიხედვით.



მსგავსი ტენდენციები საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში მონაწილე ბევრ ქვეყანაში დაფიქსირდა. სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგალითად, საგანმანათლებლო რესურსები შინ), მოსწავლეები სოფლებში, ენობრივი ან ეთნიკური უმცირესობებიდან, ღარიბი ოჯახებიდან უფრო დაბალ შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე მათი თანატოლები ქალაქებში და შეძლებული ოჯახებიდან.

მაგრამ გამოიკვეთა ისეთი ქვეყნებიც, სადაც, მიუხედავად მოსახლეობის შემოსავლებში არსებული მაღალი უთანასწორობისა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი და საცხოვრებელი ადგილი სუსტად აისახება მოსწავლის მიღწევებზე. ბოლო წლებში ზოგიერთ ქვეყანაში მოსწავლეთა შორის განსხვავებები მნიშვნელოვნად მცირდება კიდევ. ამ ნიშნით წარმატებული ქვეყნების რიგში, გარდა მაღალი შედეგებით გამოჩენილი საგანმანათლებლო სისტემებისა (ფინეთი, ჰონგ-კონგი), გვხვდება ყოფილი საბჭოთა და კომუნისტური ქვეყნებიც (პოლონეთი, ესტონეთი).

ნახატი 2: საქართველოში მშობლის განათლების მიხედვით მოსწავლეთა შედეგებში ცვლილება 2006-2007 წლებიდან 2011 წლამდე



რეკომენდაციები

რა გამოარჩევთ წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებს დანარჩენებისაგან? საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებზე დაყრდნობით მკვლევრები რამდენიმე რეკომენდაციას გვთავაზობენ. ზოგიერთ მათგანს აქ მოკლედ განვიხილავთ. შემდგომ ნომრებში ამ და სხვა რეკომენდაციებზე უფრო დანვრილებით ვიმსჯელებთ.

განათლების დაფინანსების გაზრდა

საქართველოს განათლების ბიუჯეტი რეკომენდებულ დონეზე¹ ორჯერ ნაკლებია. განათლების სახელმწიფო ხარჯებით საქართველო ჩამორჩება დაბალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელსაც კი. რა თქმა უნდა, განათლებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები არ არის საგანმანათლებლო სისტემის წარმატების განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი; უფრო მეტი ფული ყოველთვის უფრო კარგ შედეგს არ იძლევა. მაგრამ არასაკმარისი დაფინანსება, როგორც წესი, აისახება საგანმანათლებლო რესურსების ხარისხზე – მასწავლებლის ხელფასზე, სკოლაში ბიბლიოთეკებზე, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობაზე, სკოლის ინფრასტრუქტურაზე.

საგანმანათლებლო რესურსების დაბალი ხარისხი



ყველაზე ნეგატიურად მოწყვლად ჯგუფებზე აისახება, რადგან მათ ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ რესურსების გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ. მაგალითად, მოსწავლეს ხელმოკლე ოჯახში ნაკლები წიგნი აქვს; მშობლებს არ აქვთ რეპეტიტორების დაქირავების შესაძლებლობა; როგორც წესი, ხელმოკლე ოჯახებში ოჯახის წევრებს არ შეუძლიათ ბავშვისათვის სწავლაში დახმარების განევა.

ფინანსური რესურსების გონივრული განაწილება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაფინანსების მოცულობა არ არის განათლების სისტემის წარმატების განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების გონივრული განაწილება. მაგალითად, როცა არჩევანი კლასის ზომის გაზრდასა და მასწავლებლის ხელფასის გაზრდას შორის დგას, მასწავლებლის ხელფასის გაზრდა, როგორც წარმატებული ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, უკეთეს შედეგზე გავიყვანს.

კლასის ზომა: თუ კლასის ზომასა და მასწავლებლის ხელფასს შედარებით ჭრილობი განვიხილავთ, ვნახავთ, რომ საქართველოში ძალიან დაბალია კლასის ზომა და მასწავლებლის ხელფასი. საქართველოში კლასში საშუალოდ 19 მოსწავლეა (თბილისში საშუალოდ 22, სოფლად – 15). მოსწავლეების 13% სწავლობს კლასში, სადაც 10-ზე ნაკლები მოსწავლეა და მოსწავლეების იგივე წილი სწავლობს კლასში, სადაც 25-ზე მეტი მოსწავლეა. დანარჩენი 74% სწავლობს კლასში, სადაც 11-დან 25-მდე ბავშვია. ამ მაჩვენებლით საქართველოს სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ იგივე მაჩვენებელი აქვს ფინეთს. საშუალოდ კლასში მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით განვითარებული და პოსტ საბჭოთა ქვეყნების უდიდეს ნაწილზე დაბალი მაჩვენებელი გვაქვს.

მასწავლებლის ხელფასი: საქართველოში მასწავლებლის ხელფასი ფინეთისას რომ გაუსწორდეს, 10 ნელზე მეტი გამოცდილებისა და ყველაზე დაბალი განათლების ხარისხის მქონე მასწავლებლის ხელფასი

1 UNESCO and CONFITEA VI, Harnessing the Power and Potential of Adult Learning and Education for a Viable Future: Belém Framework for Action, პარა. 14a, გვ.5: www.unesco.org/fileadmin/MULTIMEDIA/INSTITUTES/UII/confitea/pdf/working_documents/Belém%20Framework_Final.pdf



2012 წელს 560 ლარი უნდა ყოფილიყო. საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში მაღალი შედეგების მქონე სხვა ქვეყნებში მასწავლებლის ხელფასი კიდევ უფრო მაღალია. მასწავლებელთა ხელფასი განსაკუთრებით მაღალია სამხრეთ აზიის იმ ქვეყნებში, რომლებმაც ძალიან სწრაფად გაზარდეს შედეგები და საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების რეიტინგების სათავეებში მოექცნენ. ჰონგ კონგს, სინგაპურსა და კორეას თუ შევადარებთ, მასწავლებლის ხელფასი² საქართველოში ჰონგ კონგელი მასწავლებლის ხელფასს რომ გაუსწორდეს – 1133 ლარი, სინგაპურელისას – 800 ლარი და კორეელისას რომ გაუთანაბრდეს – 973 ლარი უნდა იყოს.

საგანმანათლებლო რესურსების თანაბრად განაწილება

სისტემაში მოსწავლეებს შორის რესურსების განაწილების მიხედვით ქვეყნები სამ ჯგუფად იყოფიან: (1) ქვეყნები, სადაც რესურსები არათანაბრად განაწილებული ისე, რომ უფრო ხელმოკლე ოჯახებიდან ბავშვებს და/ან ბავშვებს სოფლად უფრო ნაკლები რესურსი ერგებათ. საქართველო ასეთი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება; (2) ქვეყნები, სადაც რესურსები თანაბრად ნაწილდება ისე, რომ სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებს ერთი და იგივე რაოდენობისა და ხარისხის რესურსი ერგებათ; (3) ქვეყნები, სადაც უფრო მეტი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (ხელმოკლე, სოფლის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების) ბავშვებზე უფრო მეტი იხარჯება დანაკლისის საკომპენსაციოდ. წარმატებულ ქვეყნებში სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომაა გავრცელებული.

დაბალი მიღწევების ადრეული პრევენცია

როგორც 2011 წელს საქართველოში ჩატარებული სასკოლო მზაობის კვლევა გვიჩვენებს, სასკოლო მზაობა განსაკუთრებით დაბალია იმ ბავშვებში, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ. სასკოლო მზაობა ასევე განსხვავდება დედის განათლების დონის მიხედვით.

ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაზრდის მონყველადი ჯგუფების

საგანმანათლებლო სისტემაში წარმატების შანსს. მაგრამ ბაღში სიარული ყოველთვის არ არის პროდუქტიული. მნიშვნელოვანი აქ სკოლამდელი განათლების ხარისხია.

კლასში დატოვება და კლასებში მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით დაჯგუფება უარყოფითად აისახება მთლიანად სისტემის შედეგებზე. ასეთი პრაქტიკის შედეგები განსაკუთრებით დრამატულია მონყველადი ჯგუფებისათვის, რადგან, როგორც წესი, აკადემიური ჩამორჩენის რისკი მაღალი იმ ბავშვებშია, რომლებსაც ოჯახიდან საკმარისი მხარდაჭერა არ აქვთ.

მაღალი მიღწევების მქონე ქვეყნებში მოსწავლეების მონიტორინგი ადრეული ასაკიდანვე იწყება და სწავლაში სირთულეების აღმოჩენისას ამ სირთულეების აღმოსაფხვრელად სკოლა იღებს პასუხისმგებლობას. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ფინეთი, სადაც შედეგების გასაუმჯობესებლად დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლეთა თითქმის ნახევარს უწევს სხვადასხვა ტიპის დამატებით დახმარებას.

მიმზიდველი ალტერნატიული არხების შექმნა და ჩიხების აღმოფხვრა

2010 წელს საქართველოში, წინა წლებთან შედარებით, 300%-ით გაიზარდა საბაზო და საშუალო საფეხურიდან სკოლის მიტოვების მაჩვენებელი. დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვა სკოლას საქმეს უადვილებს. მაგრამ ამ მოსწავლეების დიდი ნაწილი აღარ ბრუნდება საგანმანათლებლო სისტემაში, სკოლას შემდგომი პროფესიული წარმატებისათვის საჭირო საბაზო უნარების გარეშე ტოვებს და არაკვალიფიციური მუშახელის რიგებს უერთდება.

ამ პრობლემის საპასუხოდ ორი ზომის გატარება შეიძლება: (1) საშუალო საფეხურზე ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო არხების შექმნა და (2) პროფესიული მიმართულებიდან აკადემიურ მიმართულებაზე გადასვლისას ბარიერების შემცირება ისე, რომ მოსწავლის მიერ ერთხელ გაკეთებულმა არასწორმა არჩევანმა სამუდამოდ არ მოუსპოს შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

სტატიები შემდეგ ნომრებში:

- განათლების დაფინანსების მოცულობა, განაწილება, კლასის ზომა და მასწავლებლის ხელფასი;
- მოსწავლეთა დიფერენციაციის გავლენა მოსწავლეთა და სისტემის საშუალო შედეგებზე;
- სკოლის ავტონომიურობა და სკოლის შეფასება;
- სკოლამდელ განათლებაში ჩართულობა და მისი გავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე;
- კომპიუტერზე ხელმისაწვდომობა ოჯახსა და სკოლაში და მისი გავლენა მოსწავლეთა შედეგებზე.

**„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“
კვლევის ჯგუფი
გოგა ჩანადირის ფოტოები**

2 შედარებისათვის ყველაზე დაბალი აკადემიური ხარისხისა და 10 წელზე მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებლის ხელფასს ვიყენებთ.

მეზოეპელოგის 5 წელი

FOLK

რადიო • RADIO FM 99.3

თბილისი FM 99.3

პახეთი FM 103.1

WWW.FOLKRADIO.GE



ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი წინაპრების ქარქაში ხშირად ცარიელი იყო, რადგან გამუდმებული ომების დროს ხმალი ხელში უნდა გჭეროდა, ამიტომ საბრძოლო ილეთების ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა დაგეცვა მშობლიური მიწა-წყალი, ოჯახი და საკუთარი სიცოცხლე.

ხრიდოლი ქართული საბრძოლო ხელოვნებაა, რომლის წესებშიც ასახულია ქართველების ისტორია. საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრები სწორედ ასეთი ილეთებით იგერიებდნენ მტერს.



ხრიდოლის განმარტება შეტანილია ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“: „ხრიდოლი, ხრიდონი – კრივი ცალი ხელით, ვარჯიში ერთი ხელით. ერთი ხელი ქამარში აქვთ გარჭობილი და მეორეთი ვარჯიშობენ – ჰკრივობენ“. ხრიდოლი ერთგვარი ოსტატობის მაჩვენებელი იყო, რადგან ბრძოლაში გამომწვევი ცალი ხელით ებრძოდა ორივე ხელით მოჩხუბარ მეტოქეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცალი ხელით მებრძოლს გაუჭირდებოდა და მეტოქე დაჩაგრავდა, ის მაინც არ არღვევდა ხრიდოლის წესებს და ისევ ცალი ხელით აგრძელებდა ბრძოლას.

ქართული საბრძოლო ხელოვნების ილეთების ათვისებას ჰქონდა როგორც სპორტული, ასევე ფსიქოლოგიური და აღმზრდელი მნიშვნელობა. ჩვენი მებრძოლი წინაპრებისათვის ქართული საბრძოლო ხელოვნება იყო ცხოვრების წესი, რომელიც ავითარებდა ისეთ უნარებს, რომლებიც საჭირო იყო ერის გადარჩენისა და განვითარებისათვის.

როგორ მოვიდა ხრიდოლი ჩვენამდე? რა ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართველი ადამიანის ცხოვრებაში წინაპართა ამ ტრადიციას? ამ საკითხებზე გვესაუბრება „ხრიდოლის აკადემია – ჯანსაღი ახალგაზრდობის“ პრეზიდენტი, დავით გულბანი.

- რა როლი ენიჭებოდა ბავშვთა აღზრდაში ქართულ საბრძოლო ხელოვნებას?

- საქართველოში გავრცელებული იყო აღზრდის სხვადასხვა წეს-ჩვეულებანი კუთხეების მიხედვით. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ ბავშვი ადრეული ასაკიდან შეჩვეოდა გამბედაობას, ამტანობას, მოქნილობას, სისხარტეს და ყოფილიყო ელასტიური. თავიდან აჩვევდნენ თამაშობებით და ყველა ის თამაში, რომლებითაც ერთობოდნენ ქართველი ბავშვები, შეიცავდა ადამიანის განსავითარებელ ელემენტებს, რათა გაჭირვების ჟამს გამოეყენებინათ. გოგონები და ვაჟები ბავშვობაში ერთად თამაშობდნენ. ასაკის მატებასთან ერთად ხდებოდა გაყოფა: გოგონები თამაშობდნენ დედობანას, სახლობანას, რათა გამოემუშავებინათ ის უნარები, რომლებიც დასჭირდებოდათ საოჯახო საქმეებში. ვაჟები კი უფრო რთული ილეთების ათვისებას აგრძელებდნენ, რაც გამოიხატებოდა შუბის ტყორცნაში, ხანჯლის გამოყენებასა და ჭიდაობაში. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ ვაჟები მტკიცე, მდგრადი ხასიათისანი ჩამოყალიბებულყვნენ, ყოფილიყვნენ მაღალი ზნეობის, უშიშარნი, სხარტნი და გონებაბახვილნი. თამაშობების მეშვეობით ბავშვს მიეწოდებოდა მისი ასაკის ფსიქიკისათვის საჭირო უნარები, რადგან მოზარდი ყველაზე მარტივად ითვისებს ჩვევებს თამაშებით. ასევე ზღაპრების მეშვეობით ასწავლიდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მათი წინაპრების ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებდა, ასევე სამართლიან, ერთგულ და კეთილ ადამიანებად ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. ბავშვი ღრუბელივით ისრუტავს ასეთი სახით ინფორმაციას და ხელს უწყობს მათ განვითარებასა და ცოდნის ამღლებას.

- თანამედროვე პირობებში როგორ ხდება ამ ილეთების შესწავლა, უნარების გამოუმუშავება, აქვს თუ არა იგივე აღმზრდელობითი ფუნქცია, როგორც წინათ და რომელი ლიტერატურით სარგებლობთ?

- ლიტერატურა არ გვაქვს, შეიძლება იყო წიგნები და დაიკარგა დამპყრობლების შემოსევების დროს, რადგან მტერი ყოველთვის სულიერი ღირებულებების ამოძიკვას ცდილობდა, ამიტომაც ამ საკითხს წლების მანძილზე ტაბუ ედო ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ საბჭოთა პერიოდში. ძველ დროში რაც არ უნდა განათლებული ყოფილიყავი, საბრძოლო სტრატეგიის დაუფლება საჭირო,



მეტიც, გადამწყვეტი იყო, თორემ ვერ გადარჩებოდი, რადგან გამუდმებით ომებში მონაწილეობდა ქვეყანა. მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით დღეს მიმდინარეობს ამ უნიკალური საბრძოლო ხელოვნების შესწავლა. აკადემიაში გვყავს ბავშვები 5 წლის ასაკიდან, ვარჯიშები ლოცვით იწყება და სრულდება, მოგესხენებათ, წმინდა გიორგი არის ქართველ მებრძოლთა მფარველი. ვცდილობთ ზედმინეწვით დავიცვათ ქართული საბრძოლო ხელოვნების წესები. თეორიული მასალის დამუშავებაა საჭიროა, რითიც, ვფიქრობ, სახელმწიფოც მეტად უნდა დაინტერესდეს. კარგი იქნება ტრადიციების შენარჩუნებაზე სახელმწიფოც თუ იზრუნებს. მოგესხენებათ, ამ დარგში იყო წყვეტა და უზრმაზარი ინფორმაცია უკვალოდ დაიკარგა. მაინც მოხერხდა საკმაოდ მრავალფეროვანი, საინტერესო და ეფექტური სახეობების გამოვლენა.

- როგორ მოხერხდა და რამდენად მნიშვნელოვანია ქართველი ახალგაზრდების ხრიდოლით დაინტერესება?

- დიდი წვლილი მიუძღვის კახა ზარნაძეს ქართული საბრძოლო ხელოვნების მასალების მოძიებასა და დამუშავებაში. მან შეაგროვა რამდენიმე ათეული საბრძოლო სახეობა, რომლებიც როგორც იარაღის გამოყენებით, ასევე უიარაღოდ ბრძოლას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების დაუფლება საჭიროა. ქართულ ტრადიციებსა და ქართულ ფესვებს არ უნდა მოვწყდეთ. ჩვენი წინაპრების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო ის, რომ ქართველი მებრძოლი იყო უშიშარი, ამტანი, გასაჭირში ერთმანეთის გვერდში მდგომი, საკუთარი და მოყვასის ღირსების დამცველი, რაც ქართული საბრძოლო ხელოვნების ფლობის ხარჯზე ხდებოდა. საეჭვოა იგივე უნარები განუვითარდეს მოზარდს, რომელიც კომპიუტერზეა მიჯაჭვული, რადგან მნიშვნელოვანია, მეტიც, ვალია, შთამომავლობამ გაიზიაროს აღზრდის უნიკალური, ათასწლეულების განმავლობაში დაგროვილი და პრაქტიკაში გამოცდილი მეთოდი, ტრადიციები და უზრალოდ ცხოვრების წესი, რომ „გლობალიზებულ სამყაროში“ შეინარჩუნოს ღირსეული ადგილი.



ნანა იზორია
გიორგი გრძელიშვილის ფოტოები



როსა მასწავლებელი გენატრება

ჩვენი თაობა უფრო „რომანტიკოსი“ იყო, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. შეიძლება იმიტომ, რომ არ გვექონდა პესიმიზმის უფლება, ამაზე „ცუდში“ სადღა უნდა გვეცხოვრა? უნდა ვყოფილიყავით ოპტიმისტები და ისლა დაგვრჩენოდა გვეოცნება, რომ 90-იან წლებში დამწვარი თბილისის ცენტრალური უბანი ისევ განახლდებოდა, დენი არ ჩაქრებოდა, ბევრი და კარგი ტკბილეული გვექნებოდა და მშობლების მოყოლილის მიხედვით, ჩვენც მოვეუშვებდით ონკანს და ერთ დღესაც, იქიდან თბილი წყალი წამოვიდოდა.

ჩემი სკოლა მაინც არ მომწონდა მიუხედავად იმისა, რომ ახალი აშენებული იყო, ჰქონდა დიდი ეზო, კარგი

სპორტული დარბაზი და სუფთა საკლასო ოთახები შედარებით „თანამედროვე“ ინვენტარით. ქვეყანაში განვითარებული მოვლენები მასშიც აღწევდა და რალაც-ნაირად სევდიანი და მოწყენილი ინტერიერი ჰქონდა. ერთადერთი „წმინდათა-წმინდა“ ადგილი იყო სამასწავლებლო. ჩვენ იქ შესვლა გვეკრძალებოდა, რაც ამ ოთახს იდუმალებას მატებდა, მნიშვნელოვნებას კი ის, რომ იქ ჩემი მასწავლებლები შედიოდნენ და არ არსებობდა მათზე უფრო ავტორიტეტული უფროსი მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები ჩვენს წარმოდგენაში იყვნენ: ყველაზე სიმპათიურები, მოწესრიგებულები, განათლებულები და საერთოდ იდეალურები. ასე ვფიქრობდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვაბრაზებდით მათ. ამ სიტუაციებს ძირითადად ჩემი კლასელი აჩიკო „ავგარებდა“. „ჩუმაააააა!“ – დაიყვირებდა ძალიან ხმამაღლა და მართლა გვაჩუმებდა. რალაცნაირი ბიჭი იყო, ვემორჩილებოდით. ჩვენს თაობაში სკოლას ჰყავდა ერთი-ორი მისნაირი „ავტორიტეტი“. ერთხელაც ავწუნუნდით: – რას გვაჩუმებ, თავი გაგვანებო! და იცით რა თქვა?! „ხომ ხედავთ: ტრანსპორტი არ დადის, ხელფასები არ რიგდება, ამ ყინვაში ენთუზიაზმზე მოდიან ადამიანები, რომ ჩვენ გაუნათლებლები არ დავრჩეთ და რა გჭირთ, ჩუმად მაინც ისხედითო“. იმ დღეს კი შეგვრცხვა და გასუსულები ვუსმენდით მასწავლებლებს, მერე დაგვავინყდა, რა თქმა უნდა, აჩიკოს ნათქვამი, რომელსაც არც ჩანთა დაჰქონდა სკოლაში, არც წიგნი და არც რამე საკანცელარიო ნივთი და მაინც ყოველთვის იცოდა გაკვეთილი,



თუ მასწავლებელი აიძულებდა მის მოყოლას ან დანერას. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ამ ატრიბუტების ტარება ცოტა „გამოსული“ ბიჭებისათვის ცუდ ტონად ითვლებოდა. სინამდვილეში ეს ყველაფერი საბჭოთა პერიოდის ან უკვე ლოგიკას მოკლებული გადმონაშთი იყო, რომელიც პოსტ საბჭოთა დროს „კაი ბიჭებს“ მემკვიდრეობასავით დარჩათ. ჩვენი ბაბუები სკოლაში დადიოდნენ მოუნესრიგებლები პროტესტის ნიშნად, ისინი არ ცნობდნენ საბჭოთა განათლებას, საბჭოთა ღირებულებებს და პატარა ასაკიდანვე როგორც შეეძლოთ, ისე უცხადებდნენ რეჟიმს პროტესტს. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი არ ატარებდა წითელი ფერის ტანსაცმელს და ნივთებს, ზოგი პომიდორსაც არ ჭამდა, რადგან დროშის შეფერილობის გამო ის რეჟიმთან ასოცირდებოდა. სამაგიეროდ „იმ“ თაობიდან არ გადმოგვყვა ყველაზე მთავარი: აკრძალული ლიტერატურის სიყვარული. ალბათ იმიტომ, რომ ის 90-იან წლებში აკრძალული აღარ იყო, მაგრამ გაჩნდა ძალიან ბევრი პირველი გამოცემა. ამ გამოცემების შექმნა კი ნამდვილად ერთგვარ მოდურ ტენდენციად იქცა და თან იმდენად, რომ, მაგალითად, თავისუფლების მეტროს წინ, რალაც პერიოდში, იყიდებოდა ბჰაგავატ გიტა – დიდი, ფერადი და ლამაზი წიგნი და ხალხი მის შესაძენად მიდიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბიბლიოთეკისათვის კიდევ ერთი ფერადი და ლამაზი გამოცემა შეემატებინა. ეს წიგნები უმრავლესობამ მაშინ გადაყარა, როცა საქართველოში იალოვას მიმდევრები გაჩნდნენ და ასევე მშვენიერი ლიტერატურის დარიგებას უფასოდ შეუდგნენ.

ყველაზე სენსაციური კი ჩემთვის და ჩემი კლასელებისათვის გერმანულის პედაგოგი, ფრანკფურტიდან ჩამოყვანილი კატრინი იყო. 1997 წელს კატრინის კლასში შემოსვლამ ძალიან იმოქმედა მე-10 კლასელ მოზარდებზე. ეს იყო პირველი შეხება უცხოეთთან. კატრინმა განსხვავებულ გარეგნობასთან ერთად შემოიტანა განსხვავებული მანერები, ქცევის წესები, განსხვავებული დისციპლინა და გაკვეთილის ჩატარების მეთოდი. „კარგაქცენტიანი“ გერმანული ენის გარდა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც



მან გვასწავლა, ღიმილით საუბარი იყო. გაკვეთილის მოყოლას გაგანწყვეტინებდა, მოგიახლოვებოდა, ტუჩის კიდევს აგინებდა და ასევე ღიმილიანი სახით გეტყოდა: Bitte lache! რამდენჯერაც დაგავიწყდებოდა მოყოლის დროს გაღიმება, იმდენჯერ გაგანწყვეტინებდა თხრობას





და ტუჩის ანევის პროცედურას გაიმეორებდა. ასე რომ, გაგვიმართლა – იმ იავარქმნილ დროს „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ ხელოვნებასაც კი მასწავლიდნენ სკოლაში. ამ გამოცდილების გამო მე და ჩემს კლასელებს ყველაზე მეტად გაგვეხარდა 2010 წელს სახელმწიფომ რომ გადანყვიტა 1000 ინგლისურენოვანი პედაგოგის ჩამოყვანა საქართველოში და კიდევ ის, სასკოლო ოლიმპიადში გამარჯვებული ათასი ლარით რომ ჯილდოვდება. ჩვენ ჯერ თაბახის თანხა უნდა გადაგვეხადა და მერე ვინყებდით წერას გაყინულ და უშნო საკლასო ოთახებში.

ალბათ ყველაზე მეტად დაწყებითი კლასების პედაგოგი ამასსოვრდება ბავშვს, შეიძლება გარეგნულად ბუნდოვნად, მაგრამ მისგან წამოსული ემოცია, მისით გამოწვეული შეგრძნებები დაუფინყარი. როცა ქ-ნი დეა გვალა დაგვემშვიდობა მესამეკლასელებს და სხვა რომელიღაცა დაწყებითი კლასის პედაგოგი გახდა, მე დიდი ხნის განმავლობაში ვინახავდი მის სამასსოვრო წერილს, რომლითაც უბრალოდ წარმატებები მისურვა. მაშინ ეს ჩემთვის იყო ულამაზესი კალიგრაფიით შესრულებული, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლის შინაარსის მიხედვით მე კარგი გოგო ვიყავი და ასეთად უნდა დავრჩენილიყავი. რალაც პერიოდი ამ წერილისა და მისი ავტორის გამო ვცდილობდი მესწავლა კარგად. მერე ეს პროცესი ინერციით წავიდა და დღეს ძალიან მინდა ისევ სადმე ვნახო ჩემი პირველი მასწავლებელი და „გადავამოწმო თავი“ – გავიზარდე თუ არა ისეთი, როგორიც მას ეგონა, გავამართლე თუ არა მისი იმედები. ასე მგონია,

ზურგიდანაც რომ დავინახო სადმე, ვიცნობ და ჩავეხუტები, რომ ოდესღაც, ღრმა ბავშვობიდან დამასსოვრებული მისი სიტბო დავიბრუნო. ოცდა რალაცა წელი გავიდა და მე მაინც მასსოვს მისი ყველა ნაკვთი და მანერა, სინაზე და სიყვარული. ზოგჯერ ვფიქრობ, სერტიფიცირებისას პედაგოგის ეს თვისებებიც რომ გაკონტროლდეს, რა კარგი იქნება! მაშინ ყველა ადამიანი ჩემნაირი ალტაცებით გაიხსენებს თავის „ბავშვობას სკოლაში“. ამასწინად ჩემს ძველთაძველ დღიურში ამოვიკითხე ფრაზა: „დეა მასწ, მამამ ჩემს ნახატს დახედა და მითხრა: – რა ლამაზი ანგელოზი დაგიხატავსო? ანგელოზი არ იყო, მე თქვენ დაგხატეთ“.

ქეთი კვიტატინი
გიორგი გრძელიშვილის ფოტოები

„საბას“ ლაურეატი

ლიტერატურული კონკურსის „საბას“ ლაურეატი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი მარინა ელბაქიძე გახდა ნომინაციაში - წლის საუკეთესო პროზაული დებიუტი. ავტორის სადებიუტო კრებული ხუთი მოთხრობისაგან შედგება. მოთხრობების ნაწილი სხვადასხვა დროს ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა.

გაცვლა

- ამის დედაც... - ნიხლიც მიაყოლა, ლოყაზე და-ცურებული ოფლის წვეთები ხელის ზურგით აიწმინდა და მანქანის კაპოტი ბრაზით დაახეთქა. მახუთით გაზინებული ხელისგულები საჯდომზე ჩამოისვა, - დღეს არაფერი აღარ ეშველება, საერთოდ თუ ეშველა.

სერგომ გოგის თვალებს მზერა აანყვიტა და დანჯღრეულ ვილისს დაადღუა.

- იქნებ... - აზრის გამოთქმა სცადა გოგომ.

- უკვე ბნელდება, აზრი აღარა აქვს, დღეს მაინც ვერ წავალთ. სიბნელეში ან ისინი გაგვაგორებენ, ან ესენი. - გადანყვეტილებას იღებს პაატა. გოგის იმედიანი „იქნებ“-ის საპასუხოდა პაატას დასკვნა ერგო: - ხვალ!

სულ ის იღებს გადანყვეტილებას. სერგო მხოლოდ მძლოლია. თვითონ? მოკლედ, პაატა მთავარია. და რაც მთავარია, რა ედარდება?! მის წვინტილიან, ფაფით გამოძღარ შვილებს ახლა ტკბილად სძინავთ, ქვეშ ჩასველებაც მოასწრებდნენ. გოგის ბიჭი კი... ოღონდ ახლა იპოვოს, ოღონდ ახლა.. და მერე!.. რას იზამს მერე? შვილის სიგრძე სანთელს დაუნთებს ღმერთს თუ დარაჯად ივლის მის ფეხდაფეხ... არ იცის, ჯერ არ იცის, ამაზე არ უფიქრია, მაგრამ ოღონდ ახლა აპოვნინა, ოღონდ ცოცხალი... ამ ფიქრს გაექცა, დაემალა სიტყვა „სიკვდილს“.

ზღვაზე ჩავიდეთ, ვიბანაოთ, მერე ექიმებთან ავიდეთ, რამეს გვაჭმევინ და ცოტა ადამიანურად დავიძინებთო. ისევ ის წყვეტს, ისევ პაატა უგეგმავს ცხოვრებას. მისი შვილის ბედიც ამ ნაბიჭვრის ხელშია. მაგის დედაც! მაინც მიჰყვება სანაპიროზე პაატას და სერგოს, მხარდამხარ არა, რამდენიმე ნაბიჯით უკან. ესმის, წინ მიმავალი პაატა ხვალ ექვს საათზე ადგომას გეგმავს; მანქანას დღესვე იშოვის, უარს არ ეტყვიან. ნამდვილად იშოვის, მაგრამ ამ ღამეს რა გაათენებს. ორი ღამეა, არ უძინია. რა დააძინებს, ცოტას ჩათვლემს და მერე ელოდება განთიადს, ფიქრის ნაკადს დამორჩილებული. მზეს გახედა - ჩადის, ნამდვილად ჩადის, ესეც ნაბიჭვარი!.. ჰორიზონტს შეეხო. და ახლა ზღვა, ჩამავალი წითელი მზით, მაძლარი წითლით და მკვეთრი კონტურებით, იაფფასიან ნახტს ჰგავს.

უკან მიჰყვება, პაატას მხარდამხარ სიარული არ უნდა, მაგრამ სამ ნაბიჯზე მეტად არ შორდება, თითქოს უხილავი მოკლე ჯაჭვით დაბმული ძაღლია. ის და მისი ბიჭი ახლა პაატაზე არიან მიბმული, იმ ადამიანზე, სამი დღის წინ რომ ნახა პირველად და მისი ცხოვრების ნაწილად იქცა, მისი ბედის განმსაზღვრელად. სამი დღეა, არ მოშორებია, სამი უსასრულო დღე და როცა ყველაფერი თითქოს გასრულდა, ახლა ისევ! კიდევ! კიდევ ერთი ღამე! რა გაათენებს...

ქვიშით და ფერადი კენჭებით მოხატული სანაპირო ღამაზე სარეკლამო ფოტოს ჰგავს. ქვიშაში ჩაჯდა, თბილია, ჯერ არ განელვებია მზის სითბო. შიშველი ფეხები ქვიშის ქვეშ მოაქცია, ნესტიანი სიგრილე ესიამოვნა. პაატა იხდის, წყალში ჩადიო, მხარზე ხელი დაჰკრა. მისი



თანაგრძნობა და მზრუნველობა ფეხებზე ჰკიდია... და მაინც გული უჩრყდება. რა მოუვიდა ამ სამ დღეში, ხან ქვავდება, ხან უბრალო შემოხედვაზე, შეხებაზე შეიძლება ატირდეს. „მაგდანას ლურჯა“ ან „ბემბი“ რომ ნახოს ახლა, ცხარე ცრემლებად დაიღვრება ალბათ, როგორც ბავშვობაში.

- თქვენ იბანავეთ, მე ექიმებთან წავალ. - ამბობს და არ დგება. ექიმებთან წავა, იქ არჩილია მთავარი, მამამისის მეგობარი. არჩილს დაელაპარაკება, მარტო პაატას კი არ შეუძლია მანქანის შოვნა. მაგრამ იქ წასვლაც აღარ უნდა. არჩილი, ვიკინგივით შემართული, წვერებიანი გოლიათი, დღეს ზღარბივით მობუზული იჯდა. მისი ახალგაზრდა ქირურგებიდან ერთს ჭურვის ნატეხი მოხვდა თავში და იქვე გააფრთხობინა სული. დილით საოპერაციოში ესვენათ და რა ვუთხრა ამის მშობლებსო, მობუზული, გოგის ეკითხებოდა. გოგის?! მაშინ პირველად აღიარა თავისი შიში საკუთარ თავთან დაუფარავდ, ღიად - ცოცხალია ჩემი შვილი? პაატამ თქვა, ცოცხალიაო და დაიჯერა. იცის, პაატა არ მოატყუებს, ყალბი გამხნეება არ იცის, სასტიკი და დაუნდობელია.

სასტიკი? ეს მშვიდობის მტრედი? რა უნდა, რას აკეთებს აქ? ფულს არ იღებს, ისე, უანგაროდ შეყო თავი ამ ჯოჯოხეთში. უანგაროდ? ფულს თუ არ იღებს - კარიერას იკეთებს! რა კარიერას, ვინ იცის, რა იქნება ხვალ, ან დღეს, ან როდის მიაფურთხებენ მაგის მშვიდობის თეთრ ჩვარს და პირველ გასროლას საკონტროლოსაც მიაყოლებენ. რა ჯანდაბა უნდა, წავიდეს სახლში, უამბოს სამ წვინტილიან შვილს ზღაპარი, ჩაუგორდეს ცოლს ლოგინში და კიდევ ერთი ბავშვი გააკეთოს, ჯანმრთელი და ჯიშინი. რას აგდია ამ საგიჟეთში თავისი ნებით? გახედა - საშუალო სიმაღლის, დაკუნთული, ქონი ჯერ არ დასდებია. დაედება, თბილისში რომ დაბრუნდება, ამ კოლექტიურ შიზოფრენიაში არა, სადამ კეთილმოწყობილ კაბინეტში. ესეც მოჯდება კეთილდღეობის თბილისურ საზომში, თბილისურ სტანდარტში - ღიპი, მანქანა, ცოლი და საყვარელი. ეს მერე იქნება, ან არც იქნება, თუ მართლა იდეინი მასტია.

პაატაზე ათიოდე წლით უფროსია და ღამის ბავშვივით არის მის სიმშვიდეს შეფარებული. რა მნიშვნელობა აქვს ათ წელს ან ოცს... აქ, ამ საგიჟეთში, თორემ.. თბილისში რომ შეხვედროდა!..

ქვიშაზე დანვა, ესამოვნა თბილ-აგრილებულ სილაზე ბეჭების გაშლა. თავისთვის აგდია. მზის დარღვეულ დისკოს გახედა, უკვე ფერებად დაღვრილს, ზღვაში ნახევრად ჩაყვინთულს. ტირილი მოუნდა და არც ეტირება, ყვირილი მოუნდა, ღრიალი და ვერც ეყვირება. რა გაათენებს ამ ღამეს, როდის ამოვა მზე, დღეებად, საათებად, წუთებად, წლებად რომ ანანილებს მის სიცოცხლეს? ცოტა ხანს ეგდება, მერე ავა, მანქანას იმოვის და თვითონ წავა. ვინ არის ეს ნაბიჭვარი პაატა, მაგის დედაც.. შაისე! ერთი საათის გზაც არ არის, ფეხით წავა. ამათ რა ედარდებათ. რატომ გადადო პაატამ ხვალისთვის, რატომ დღეს არ მიდიან? ხომ იცის, რომ ვიღაც ბიჭი გამოიყვანეს იქითა მხრიდან... აბა, მისი შვილი იყოს! რას ერჩის, მისი შვილები პამპერსებით დარბიან და ჯერ ომობანს თამაშზე კი არ იცინ.

აცოფებს პაატას მშვიდი „დილით გავალთ და გავიგებთ“, ლამის სიფათში გაუქანოს. არადა, ხომ უნდა იყოს ვიღაცა ამ საყოველთაო სიშლეგეში მშვიდი, გარეგნულად მაინც განონასწორებული, თუნდაც ცინიკურად.

ზღვას გახედა, უფრო პაატას. სად ჯანდაბაში გაცურა, ახლა რომ დაბომბონ.. პაატაზე ზრუნავს თუ თავის თავზე? პაატას სიცოცხლეზე ახლა მისი შვილის სიცოცხლეს მიბმული.

პაატა ღონივრად უსვამს ხელებს, მიცურავს, მიცურავს.. ასეთივე ღონიერი, ძლიერი ნაბიჯებით მიუყვებოდა გუშინ რომელიღაც სოფლის შრაგზას, მხარზე ბოსტინიდან ამოძრობილი სარი ჰქონდა გადებული, ზედ თეთრი ნაჭრის ნაკუნის, აბრეშუმის თეთრი პერანგის ნაგლეჯი, თუ რაღაც ამდაგვარი... მშვიდობის თეთრი დროშა! ცარიელ შრაგზას მიუყვებოდნენ, უცხოვდ უკაცრიელს... და მაშინ იკითხა გოგამ, ვითომ მშვიდად, ვითომ სხვათა შორის:

– შეიძლება, გვესროლონ?

– წესით, არ უნდა გვესროლონ, გაფრთხილებული არიან. ისე, ყველაფერი შეიძლება. გაიხედე მარჯვნივ, ზევით, მაღალ ხეებში სნაიპერი ზის.

გოგის კისერი გაუშეშდა, თავის მიტრიალების კი არა, თვალების დახამხამების უნარიც დაკარგა. ფეხებიც თავისით მიდიოდნენ, თითქოს მისი არ იყვნენ, ერთი-ორი, ერთი-ორ... ჯობია, ბალებით წავიდეთო, გაიფიქრა. უნდოდა, პაატას მეორე მხრიდან ამოსდგომოდა, სნაიპერის მზერას პაატას დაკუნთულ მხრებს უკან მიმალვოდა. იმნუთას იმდენი ჭკუა მაინც ეყო, მიმხვდარიყო – ეს არ უშველიდა. თანაც პაატაზე ერთი თავით მაღალია. ახლა უხარია, მთლად რომ არ წახდა, არ ჩაისვარა და პაატას მხარდამხარ გააგრძელა ნაბიჯის თვლა: – ერთი, ორი, ერთი...

ის კი მაინც დასცდა, ბალებით წავიდეთო. მაშინ კი გარანტირებულია კოლოფის გახვრეტა. რა კოლოფის, ვერ ხვდება კისერგაშეშებული გოგი. თავის კოლოფის, გაცინა პაატას. გაცინებაც რომ შუძლია?! იარაღსაც არ ატარებს, მშვიდობის მტრედი, ამ თეთრი ჩვრის იმედი აქვს?! მე საომრად არა ვარ აქ, დაუზუსტა პაატამ, შენ მით უმეტეს და იარაღი არც გიმშველისო. იარაღი არ სჭირდება, ჰო, პაატა არ ომობს, გაცვლაზე მუშობს. ცვლის ცოცხლებს და მიცვალებულებს ცოცხლებზე და მიცვალებულებზე. ბარტერული გაცვლა! ხან ვაჭრობენ, ანგარიშობენ, ატოლებენ, რამდენი მიცვალებული რამდენ მიცვალებულს ან ცოცხალს უდრის, ხან არა. დღეს ორი აფხაზი (ცოცხალი!) უნდა გაცვალათ მის ბიჭში, კიდევ ორ ცოცხალში და კიდევ გადმოესვენებინათ თერთმეტი დაღუპული. მიცვალებულები გადმოასვენეს, მისი შვილი

კი, და კიდევ ის ორი, სადღაც გაქრნენ. როგორ თხრიდა დღეს საფლავს?! პანაშვიდებზე მიცვალებულს ამხელა კაცი დღესაც თვალს არიდებს და საფლავი გათხარა. როგორ თხრიდა?! თავდავინწყებით! ჰო, თავდავინწყებით, ლამის ბედნიერი იმით, რომ ეს მისი შვილის სამარხი არ იყო. სულ სამი იყვნენ, პაატა და გოგი თხრიდნენ, დამარხულებიდან ერთ-ერთის მამა იქვე იჯდა, უფრო იდო მინაზე და გოგის ეშინოდა, ისიც იქვე არ შემატებოდა ცხედრებს. არ უნდა წამოეყვანათ, მაგრამ თვითონ დაიჟინა. საკუთარი შვილის გახრწნილი, აქოთებული გვამის ამოღებას ვერ გაუძლებსო, ფიქრობდა გოგი. რატომღაც ჰგონია, დანარჩენი მამები, მშობლები, თეთრ ელვაშესაკრავიან ტომარაში შეფუთულ ნეშტს უფრო მოინელებენ, ვიდრე ეს კაცი – შვილის საფლავის გათხრას. პაატას ასეთი უკვე რამდენიმე აქვს გათხრილი. რა ათხრევენებს, რა აძინებს ღამე?! თან როგორ ღრმად სძინავს, როგორ მშვიდად ფშვინავს, სიზმრებსაც კი არ ხედავს, კომმარებზე არც არის ლაპარაკი.

ჰო, თავდავინწყებით თხრიდა გოგი, შეუსვენებლად. პირველად მაშინ შეჩერდა ბუზების ზუზუნმა მკვეთრად რომ იმატა და სუნმა, უცნაურმა სუნმა... ისევე სიტყვის შეეშინდა – „ლემი“, „გვამი“. შეჩერდა, იცოდა, ბარი ახლა რაღაცას წამოედებოდა.. მიწა რბილი იყო, რბილი და ფხვიერი. მკერდიდან მუცლისაკენ რაღაც მარნუშმა დაქაჩა, შერცხვა იქვე მიგდებული შვილმკვდარი მამის, იმათი, მინაში რომ იყვნენ ერთმანეთზე მიწყობილი და ბარით უნდა ამოეღო.

ახლა აქ, სანაპიროზე, აღარც პაატასი ერიდება და აღარც საკუთარი თავის. ლაჩრობაა, ამ საგიჟეთში დაფრთხე, ატირდე ან საკუთარი თავი და ადამიანის მოდგმა გძულდეს? მოიკუნტა, სხეული დაუძიმდა, შიგნით რაღაც ჩაეკირა მძიმედ, სულში, თავში...

სამი დღის წინ რა ჰქონდა ამ თავში? ერთი კვირის წინ, სცენაზე რომ იდგა და ტკებოდა ტაშით, საკუთარი დიდებით და იმ ორი ცარიელი სკამით დარბაზში? რატომ ჰგონია, რომ ის იჯდა იმ სკამზე? გულით გრძნობდა, სხულით და სულით. ისევე იმას, იმ ქალს მიანყდა ფიქრი.

ჰო, მთელი სხეულით შეიგრძნობს, ლამის ხედავს, ელი ზის მის გვერდით ქვიშაზე. თავი მის კალთაში ჩადო და გაირინდა. ეს დღეები გამუდმებით მასზე ფიქრობს. მთელი ცხოვრება ფიქრობს, მაგრამ რაღაც სხვადასხვაგვარად, წყვეტილად, ახლა კი აღარ სცილდება ეს სურვილი – შეეხოს, მისი ხელების სითბო იგძნოს.

ეს ბოლო ხანები სულ ელიზე ფიქრობს, ნამდვილად ჰალუცინაციები აქვს, ხან ხმა ესმის, ხან ეჩვენება, რომ თვალი მოჰკრა. აქ, ამ საგიჟეთშიც, წარსულის ქექვას თავს არ ანებებს – თუ არ ფიქრობს, როგორღაც გრძნობს, თითქოს სადღაც იქვეა. რა მოუნელებელი დანაკარგია ასეთი ელენე, ელი, რატომ ვერ მოიწყვიტა და ვერ მოსწყდა?

იქნებ ელიზე ფიქრში სხვა ფიქრს ემალება – ბიჭზე. კარგი, ბიჭზე იფიქრებს, ოღონდ მის ბავშვობაზე. ნკაპ! და გოგამ დროის მანქანის ეკრანი – მესხიერება – თექვსმეტიოდე წლით უკან გადართო. აქ კადრები ყველაზე მკაფიოა, აქ ბედნიერიც კი იყო.

დიდ ეკრანზე უყურებს საკუთარ თავს. სძინავს, რაღაც თბილი, ნებოვანი შეხება აღვიძებს. მკერდზე რვა თვის ტიტლოკანა შვილი აწევს. ბავშვი ხელებით ეყრდნობა მის მკერდს, მერე ხელს სახეზე უტყყაპუნებს, თავს ვერ იკავებს და დადობილი ტუჩებით მამის კისერში ემხოზა. რბილ ადგილს ეძებს, ტუჩებში იქცევს, როგორც ძუძუს. ჯერ არ უჭამია, ხვდება გოგი და ამ უცნაურ ლიტინს ითმენს.

ეს ყველაზე გულის ამარწყებელი ოჯახური კადრია მისი მოგონებების კინოთეკაში. ქეთი სანოლზე მუხლმოყრილი ზის და იცინის. ჰო, მაშინ ბედნიერი იყო, ქეთიც კი უყვარდა, ისე ბუნებრივად და გულწრფელად იყო განაზებული. კარგი დედაა, ვერაფერს უსაყვედურებს. სხვას – ათას რამეს, მაგრამ ამას ვერა. ცდილობდა ქეთი, ბავშვის თვალისთვის მოერიდებინა ქმართან ჯიჯლინი და ჩხუბი. მერე, სულ რომ აურიეს, ბიჭის დასანახად მაინც „ჭირიმე-გენაცვალეთი“ ელაპარაკებოდა გოგის. მაგრამ ბიჭი ჭკვიანი და ფიქრიანი გაიზარდა, ყველაფერს კარგად ხვდებოდა, თვითონაც დაიღალნენ გალიმბული ნიღბების მიღმა მოთუხთუხე ბოლმის მალვით. ნეტა რას ფიქრობდა მშობლებზე ბიჭი? ვითომ მეგობრობდნენ, მაგრამ ამაზე არასოდეს ულაპარაკიათ. ისევ თავის ეკრანს მიუბრუნდა, ფილმი იმავე კადრიდან გააგრძელა: ბავშვმა თავი ასწია, თვალებში ჩახედა და გაირინდა. გოგის ფიქრობდა, შვილის ყურადღება მისმა სახემ მიიპყრო, მოულოდნელად იგრძნო, პატარა თბილმა ნაკადულმა გადაურბინა მკერდიდან ყელზე. – დამაფსი?! ლამის ისევ გაიმეოროს მამინდელივით, სუნსაც კი გრძნობს ახლა, ჩვილის ფისების სურნელს. ეს სხვა რამესაც იზამს, იცინის ქეთი და ხელში აპყავს ბავშვი.

ისევ – ნკაპ! და ერთი კვირის წინანდელ დროში დაბრუნდა. კარგი რამეა მეხსიერება, შენია, რაც იყო გუშინ, შარშან, დიდი ხნის წინათ. არა, რა არის ამაში კარგი – რომ ვერ იშორებ, ვერ ივიწყებ, ვერ შლი წარსულს მეხსიერების ფირიდან? ერთი კვირის წინ სცენაზე იდგა, აღიარებით და დიდებით მთვრალი. მთლად არ გადარეულა, მაგრამ ტამის ქუხილში გული აჩქარებით უცემდა, სიამოვნებდა რიტმული შრიალა-მქუხარე ხმა და იმ წუთს სჯეროდა, რომ დიდი მსახიობია, მსოფლიოში საუკეთესო ჰამლეტი. აჰა, მოვიდა დიდება! მანამდეც კი იყო პოპულარული, ასე, თბილისურ ფარგლებში, მაგრამ უფრო სიფათის გამო. რა გააკეთა მნიშვნელოვანი, შემჩნევის ღირსი? ძირითადად დადებით გმირებს თამაშობდა – ნითლებს ან სოციალისტებს, იდეისთვის შეწირულ კეთილშობილ ინტილიგენტებს. სახეც ეგეთი აქვს – დადებითი. ისე, საკუთარი სიფათით და სხვა დანარჩენი ნაწილებითაც კმაყოფილია, სარკეში საკუთარი თავის თვალსაჩინოებას უყვარს. ასაკთან ერთად სარკესთან ურთიერთობა ცოტა გაურთულდა. ხან ამყავდა უყურებს სარკეში თავის ანარეკლს, მხრებს, მუცლის პრესს, გრძელ ფეხებს და უხარია – ჯერ კიდევ ბიჭურახალგაზრდულ კატეგორიაში გადის. ხანდახან (იშვიათად!) შიში შეეპარება ხოლმე, რომ ის მცირე ცვლილებები, ასაკის მიმანიშნებელი ხაზები სახეზე ამიერიდან უფრო მკვეთრი გახდება, დახვეწილი ფორმებიც შეიცვლება. და ერთ დღეს სარკეში იმის კარიკატურას დაინახავს, რითაც ადრე ასე ინონებდა თავს. რატომ კარიკატურა, ხომ არიან ასაკოვანი, ხნიერი სიმპათიური კაცები და ქალები?! ზოგი ასაკში უფრო სიმპათიურ და ღირსეულ გამომეტყველებას იძენს, ვიდრე ახალგაზრდობაში იყო. „არა, უმრავლესობა მაინც თავისი გამოსახულების კარიკატურა ხდება ასაკში“, – ფიქრობს გოგი. ასეთ წუთებში თვალს არიდებს საკუთარ გამოსახულებას სარკეში და ქალებზე იწყებს ფიქრს. როცა ქალი მოსწონს, თვალებში უყურებს ხოლმე, მზერას არ არიდებს, პირდაპირ თვალებში უმზერს გახავერდებულს, მომწუსხველი მზერით და ჯანმრთელ კბილებსაც ფართოდ რომ გამოაჩენს გულღია ღიმილის ნიშნად, საპასუხო ღიმილის შემდეგ იცის – ქალი დაბმულია, შეიძლება ყველაფერზე წამსვლელი არც იყოს, მაგრამ მისი ოცნებების ნაწილი გოგის ექნება დასაკუთრებული.

ჰოდა, საკმაოდაც ჰყავდა ქალები, მაგრამ, ისე, შემთხვევით გადაყრილები – არა! მის კაცურ ღირსებას, შემთხვევითი, იაფფასიანი ქალები ვერ ახარებენ. ისე, ერთი-ორი ეგეთიც შეიძლება გაიხსენოს, მაგრამ... მოკლედ, უბრალოდ ვნება და სექსი არ ჰყოფნის, კიდევ რაღაც უნდა მიიღოს ქალისაგან. კიდევ რაღაც. ბოლოს ვინ იყო, ვინ ჩარჩა თავში ბოლო დროიდან? დოიჩე! გერმანული ლიტერატურის სპეციალისტი. ლამაზი არა, მაგრამ შგვრემანი და ეშხიანი. ამ ეშხიან ქალს, გოგიზე კარგა უფროსი რომ იყო, მაგრამ პატარა გოგოსავით გამოიყურებოდა, გერმანულის სასწავლებლად მივბარა. მასწავლებელი კი ასწავლიდა გერმანულს, მაგრამ მოსწავლე წარმატებით ისხლეტდა ცოდნას. ცოტა ხანში ორივე მიხვდა, რომ ბედისწერამ გერმანულის კი არა, ერთმანეთის სხეულის შესასწავლად გადაკვეთა მათი გზები. ჰოდა, გერმანული ვერა, მაგრამ ქალის ეშხისა და დაფარული სილამაზის აღმოჩენა და დაფასება კი ისწავლა. ისე, ბოლოს ცოტა დაუდევრად კი ექცეოდა ამ ფარული სილამაზისა და მგრძნობიარე სულის ქალს, დოიჩეს რომ არ ეკუთვნოდა, ისე. როცა რამე სწყინდა დოიჩეს, თვალები უწყლიანდებოდა და გოგისთვის გაუგებარ აჩქარებულ გერმანულზე დაურტყამდა ხოლმე რაღაც ტირადას. აბა, მითარგმნე, იცინოდა გოგი. ისწავლე გერმანული და შენ თვითონ ითარგმნე. ხან არაფერს იტყოდა და ბრაზიანად დაახეთქებდა: – შაისე! ეს კი იცოდა გოგიმ: „ნეხვი!“. რით დააბა დოიჩემ? კარგად ნავარჯიშები, მკვრივი უკანალი კი ჰქონდა, მაგრამ კიდევ რაღაც იყო მასში – სევდიანი ცინიზმი, ჭკვიანიც იყო. და კიდევ რაღაც გაახსენდა, ლამის ამყავდა ნათქვამი: „მაგათ ტანსაცმელში გავიზარდე“. ისევ რაღაც გულისამარწყებელმა შეახსენა თავი. ეს ის დღე იყო, ლამის დილიდან საღამომდე რომ ალოდინა დოიჩე. თვითონ დოიჩე ყველაფერს გადადებდა ხოლმე, როგორც კი გოგი დაურეკავდა. გოგი ხანდახან შოთანხმებულ შეხვედრაზე საერთოდ არ მიდიოდა ან აგვიანებდა, განრისხებული დოიჩე წყენას მალე ივიწყებდა და უფრო ვნებიანი ხდებოდა. ეს ერთგვარ გამოცდასავით იყო და გოგი კმაყოფილი ასკვნიდა, გიჟდება ჩემზეო. ჰოდა, გვიან საღამოს რომ მივიდა, დოიჩეს გერმანული დახვეწილობით განწყობილი მაგიდა რომ აითვისა და გაბუტული სატრფოს ათვისებაც რომ დააპირა, მაშინ დარეკა დოიჩეს ბიძაშვილმა – ბავშვისთავის წამლის ფული უნდოდა. დოიჩე, მასზე გაგიჟებული და მასთან ლოგინში ჩანოლისთვის ლამის სულის გამყიდველი (დარწმუნებული იყო გოგი!), წამოხტა, ჩაიცვა და გავარდა, ხუთ წუთში დავბრუნდებო. ნახევარ საათში დაბრუნდა, მაპატიეო, რატომღაც ლოყაზე აკოცა და მაშინ თქვა, ლამის ამყავდა, მაგათ ტანსაცმელში გავიზარდეო. და ამ სიტყვებს ბავშვობის მოგონებაც დაამატა – უჭირდა მის მარტოხელა დედას, უფროსი ბიძაშვილები აჭმევდნენ და აცმევდნენ პატარა ბიძაშვილს. გამონაცვალს ჩუქნიდნენ, მაგრამ გემოვნებით შერჩეულს. არც იმჩნევდნენ, რომ სხვა უფრო ახლო ნათესავისაგან (მამისაგან) უარყოფილი იყო. ახლა იმათ უჭირთ, დოიჩეს კი ფულიც აქვს და მათი მზრუნველობაც ახსოვს, ჰოდა, მზად არის, ლოგინიდან წამოხტეს და გოგის დამადლებულ-გამოზომილი ყურადღებიდან კიდევ მოიკლოს იმათი ხათრით. თავის საყვარელ გერმანიაში სათარჯიმნოდ და რაღაც საქმიან-ლიტერატურულ შეხვედრებზე რომ დაიარებოდა, ბიძაშვილებისთვის საჩუქრების ჩამოტანა არ ავიწყებოდა. არც გოგისთვის! არა, როგორ უბრალოდ და გულღიად თქვა, ლამის ამყავდა: – მაგათ ტანსაცმელში გავიზარდე. ლამაზი არა, მაგრამ ძალიან ეშხიანი! ჰოდა,

ვილაც გერმანელმა დაითრია და გაუთხოვდა ბერლინში, ბოჰემურ უბანში, პოსტმოდერნისტ თუ რალაც ამდაგვარ მჯღაბნელს გაჰყვა. გული დასწყდა გოგის. ხანდახან ახსენდება და ისე, გულსგარეთ რომ ბრაზდება, ნაღვლიან გუნებაზედ რომ დგება, თვითონაც ბოლმიან „შაისეს“ დაახეთქებს ხოლმე. მაინე დოიჩე ფრაუ, რა დამრჩა შენგან? რამდენიმე გერმანული სიტყვა, კიდევ რალაც სევდის კვალი, სხვა სევდას რომ აღვივებს, როგორც ნაპერწკალი ცეცხლს. სხვა?

ქალიდან ქალზე ისე ინაცვლებს, თითქოს სახლისკენ მიმავალი გზის ძებნაში ერთი ბილიკიდან მეორეზე გადაეხეტაო. დახეტილებს და ეძებს მათში რალაცას. გადანანილებული აქვს ის რალაც რამდენიმე ქალში. დოიჩეს ფუნქცია სექსის

გარდა ინტელექტულობანას თამაში და ცინიკური საუბრები იყო; ცოლთან, ლოგინის გარდა, აღარაფერი რჩებოდა გასაზიარებელი და სათქმელ-საფიქრალი; ოცნებებისა და ფანტაზიების სამყარო ელის ეკუთვნოდა. ვერ მოაგროვა ერთ ქალში ყველაფერი, ნანილ-ნანილ უნდა შეირგოს. აი, ელისთან რომ იყო, ადრე, დიდი ხნის წინათ, მაშინ იყო ყველაფერი: სისრულე, ჰარმონია!.. რაიმე ირონიულის და ენამოსწრებულის გაფიქრება მოინდომა, მაგრამ არც სურვილი იყო ამისათვის და არც შესაბამისი ციტატების მარაგი.

ქეთის გადასწვდა ისევ ფიქრი, ცოლს, თანამეცხედრეს. მასთან საჩხუბრად უფრო იცლიდა, ვიდრე მასზე საფიქრელად. რატომ?

უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა გოგის, თითქმის, თითქოს. ფულიანი მამა, მოსიყვარულე დედა – არაფერი მისი საზრუნავი და სადარდელი. მერე გარანტირებული სტუდენტობა თეატრალურ ინსტიტუტში და არა სამედიცინოში, მამის დაჟინებული მცდელობის მიუხედავად. როგორ მოახერხა თავისი გაეტანა? იცოდა, ექიმი არასოდეს გამოვიდოდა მისგან, სისხლის დანახვაზე დღესაც ლამის გული მისდის. დიდი მსახიობი ხომ გამოვიდა?! რატომაც არა, ჰქონდა, მთავარი არა, მაგრამ შესამჩნევი და დადებითი როლები თეატრში, ერთი-ორჯერ ფილმშიც მოხვდა – ლამაზი ბიჭის როლში! კიდევ რა ჰქონდა? „კაი თბილისელი ბიჭის“ ტიტული, მეგობრების დიდი ნაკრები, ქეიფები და ლამაზი ქალების ყურადღება. ზომიერად, იმიჯის შესალამაზებლად ძველბიჭობა, ოღონდ უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დღესაც კიდევ ბიჭის როლშია, ორმოცს კი გადააბიჯა.

არაფერი უშუალოდ არ ეხებოდა, თითქოს სათბურის თუ ნაკრძალის ბინადარი იყო. მისი ცხოვრების გარეთ თუ რამე არ იყო წესრიგში, რალაც გულს მიღმა რჩებოდა, მისი ტკივილი არ იყო. ეგოისტის თავდაცვის მექანიზმი! ასე აუხსნა დოიჩემ. ერთადერთი, რაც მართლა სტკიოდა ლამის მთელი ცხოვრება, ის გოგო იყო, მერე ქალი – ელიდან ელენეში გადაზრდილი, ოდესღაც მისი, ახლა სხვა კაცის, სადღაც სხვა სახლში, სხვა ლოგინში და მაინც მისი! ეს ისე, გულის სიღრმეში, სხვებისთვის დაფარულ-დამალული, მაინე დოიჩე ფრაუს მიერ ოდნავ გამოქექილ-გამომზეურებული. დოიჩე მაშინ მის სულში ქექვის გასაგრძელებლად იაფფასიან ინფანტილურ-იდელისტურ ფილოსოფიურ პლატფორმაზე ჩამოსკუპდა და თქვა, ნორმალურ კაცს (და ქალსაცო!) თუ უნდა, რომ ჭეშმარიტი ცხოვრებით იცხოვროს, ერთი მუდამ სანატრელ-საოცნებო ადამიანი უნდა ჰყავდეს გულის სიღრმეში, მუდამ ვილაც მისთვის მნიშვნელოვანის ყურადღების მისაქცევად და მოსანადირებლად უნდა იყოს მომართული და მაშინ შექმნის რალაც

ღირებულოს. ის ერთი სანატრელი უნდა არსებობდეს, მაგრამ, ცხადია, სხვა პარალელური ქალის და კაცის გვერდით. ცინიკოსი. მერე სულ მოიბავშვა თავი და გააგრძელა, სიცოცხლეში პირველად თუ იმას აკოცე, ვინც გიყვარდა, მაგრა გაგიმართლაო, თუ პირველად იმ ქალთან იწეკი, ვინც გიყვარდა, ბოზთან კი არა, ან ვინმე ქალთან იმის შესამონებლად ჰორმონები წესრიგში მაქვს თუ არაო, არამედ საყვარელ ქალთან, კიდევ უფრო მაგრა გაგიმართლაო, კაცად ჩამოყალიბების ამბავში. დარტყმული! ხოდა, თავისნაირი დარტყმულიც ერგო – ვილაც გერმანელი ფრანტი!

დოიჩეს ფილოსოფიით, მაგარი ბედნიერი კაცია. პირველი ქალი მის ცხოვრებაში ელი იყო და უყვარდა, მაგრა უყვარდა, ისე, ისე... სხვას ვერავის ხედავდა, ვერავის გრძნობდა. ახსოვს, ყველაფერი ახსოვს; თვალებს რომ ხუჭავს, იმ წუთებს, წამებს ხედავს, გრძნობს თითოეულ შეხებას, სუნს.. ელის სხეულზე ყველა ხაზს, ფორმას... ამ შეგძნებებით ცხოვრობს დიდი ხანია. ამ თითქოს ტკივილით, თითქოს ტკებუბა. ეშინია, ამ შეგძნებებს სიმძაფრე არ დააკლდეს. თუ დაკარგა რომელიმე დეტალი, ფერი, სურნელი, მაშინ რალაც დამთავრდება და რალაც სხვა მოვა. რა სიბერე? ამის ეშინია? არა, რალაც სხვა, სხვა დააკლდება. საკუთარ თავს დაკარგვს, სულის ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან ნაწილს. არც კი იცის, რა არის, მაგრამ გრძნობს.

ისე, ბოლო წლებში უფრო წყვეტილად ახსენებოდა ელი – როცა თვალს მოჰკრავდა სადმე, როცა ნაცნობი სუნი ან ხმა, რალაც ან ვილაც შეახსენებდა. ეს ბოლო დღეები კი სულ ელიზე ფიქრობს, სადღაც ტვინის თუ სხეულის სიღრმეში კოდირებული წარსული გაფხიზლდა, გარეალურდა. ის დღეც!

ელის ოთახში იატაკზე, ნიგნებით და რეგულებით მოფენილ ხალიჩაზე გოგოები სხედან – პირველკურსელი სტუდენტები გამოცდებისათვის ემზადებიან. გოგოები ჟიჟინებენ, ცეკვავენ, მაიმუნობენ. მოკლე, ჭრელი ქვედატანი და ჟოლოსფერი მაისური მინიმალურად ფარავს ელის ლამაზ სხეულს. ოცი წლის წინ მისი შემოტკეცილ-მჭახეფერებიანი სამოსი თამამ ჩაცმად ითვლებოდა და ელი სახლში, მეგობრებში ტკებოდა საკუთარი სხეულის დემონსტრირებით. გოგი კუთხეში იჯდა და ბედნიერებისაგან თვრებოდა. მერე ზემოდან ზაზამ, კიდევ ერთმა გამოცდის მომზადების წყურვილით შეპყრობილმა სტუდენტმა ჩამოსძახა, ჩემთან ამოდი-თო და გოგოები ნაჩერჩეტდნენ. ელიმ ოთახის მილაგება მოინდომა და ელი და გოგი მარტო დარჩნენ ელის ოთახში და მაშინ პირველად აკოცა ქალს და თანაც იმ ქალს, ვინც უყვარდა. დოიჩე ფრაუს თეორიით, მაგრა გაუმართლა, კაცად ჩამოყალიბების ამბავში. მაშინ ამ თეორიის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ბედნიერი რომ იყო, ამას კი ბოლომდე და საფუძვლიანად გრძნობდა. მერე, ზაზასთან რომ ავიდნენ, ხან თვალს არიდებდნენ, ხან ველარ აწყვეტდნენ მზერას ერთმანეთს. გრძნობდა გოგი, როგორ ევსებოდა სხეული სითბოთი, გრძნობდა, იგივე ემართებოდა ელის და ყველაზე შთამბეჭდავი ეს იყო – გრძნობდე იმას, თუ რას გრძნობს საყვარელი ქალი.

მერე იყო სხვა დანარჩენი ყველაფერი – ღია, დაუფარავი ვნებით ავსებული სხეულები, ნდობა, სამარადჟამო ერთგულების და სიყვარულის ფიცი და ა.შ. როგორც ხდება ხოლმე სიყვარულის საყმანვილო ასაკში. მთელი სივრცე იყო გარშემო დამუხტული – მზერა, შეხება, სუნთქვა, ღიმილი, ტერფი, თმა, თითები, სული.. ყველაფერი შეგრძნებადი და შეხებადი, უხილავი

და ხილული. იყო ერთი მთლიანი ნეტარება ნარმოსახვით დაწყებული, მზერა-შეხებით გაგრძელებული და უკონტროლოდ, ღიად ამოხეთქილი საალერსო სიტყვებით დამთავრებული.

ჰო, რაღაც მსგავსი თითქოს მერეც იყო, მაგრამ მაინც როგორღაც გააზრებულ-გამოზომილ-გათვლილი. მერე გაიზარდა, დაკაცდა და წვინტლებსაც აღარ უშვებდა. მაგრამ სურვილი და ფიქრი მაინც დარჩა. სადღაც, სულის რომელიღაც ბნელ ყუთში ბედისწერის მანქანამ ჩაანკინკა: ელი – შენი ცხოვრების მთავარი ქალი! ჩანანერი ნაშლას არ ექვემდებარება!

არა, მაინც სად ჰქონდა იმ პატარა ელის იმდენი რისხვა და ძალა, რომ ერთი ხელის მოსმით, არა, ხელის ერთი მოქნევით, დაენგრია ყველაფერი, დაესრულებინა?!

მაგრამ ამბავი არ სრულდება, მაშინაც, ვითომ წერტილი რომ დასვი და ჩააბარე წარსულს. გოგისთვის არ სრულდება, ვერ შეელია ამ დანაკარგს. რატომ? იმიტომ, რომ არაფერი მიუწვდომელი და მოუხელთებელი არ იყო მისთვის, იმიტომ, რომ შეჩვეული არ იყო უარს და უარყოფას, იმიტომ, რომ სულ თვრამეტი წლის იყო და სჯეროდა გრძნობების მარადიულობის და ასეთი სისულელების?! იმიტომ, რომ დაკარგული და მიუწვდომელი უფრო ძვირფასია?! რა იქნებოდა, ელისთან ერთად რომ გაგრძელებულიყო მისი ცხოვრება, მაშინაც ასე მძაფრი იქნებოდა მისი სურვილები?

მაინც რატომ ფიქრობს ამ დღეებში, აქ, ყველაზე მეტს იმ შორეულ ამბებზე, თითქმის ოცი წლის წინანდელზე, იქნებ იმ მოუხელთებელი დანაკარგზე ფიქრით ამ ახლის შიშს გაურბის?!

ნეტა მის შვილს გაუმართლა? იყო ქალთან, რომელიც უყვარდა? ან ქალთან საერთოდ? არ იცის. რა იცის თავის შვილზე? ბიჭი იმ ასაკშია, რამხელაც თვითონ იყო მაშინ. რა იცის თავის შვილზე? ახლა სულ მისი ბავშვობა ახსენდება, შემდგომი წლებიდანაც ახსენდება რაღაც, მაგრამ როგორღაც ფერმკრთალი, გაცრეცილი მოგონებებია. ფიქრიანი, ლამაზი ბიჭი, ხანდახან თავგატეხილ-დაჩეჩქილიც მოსულა სახლში, უფრო ხშირად, ვიდრე თვითონ იმავე ასაკში. არ წუნუნებდა, ბევრს არაფერს ყვებოდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, კი, მეგობრული. რა არის მეგობრული ურთიერთობა შვილთან? აზრადაც არ მოსვლია, რომ მის ბიჭს შეეძლო, თოფი თუ ავტომატი აელო და საომრად წასულიყო. თვითონ რატომ არ მოუვიდა აზრად საომრად წასვლა – სამშობლოსათვის ბრძოლა?! არ მოუვიდა, არ მოუვიდოდა, მიაჩნდა, რომ ამისთვის არც აგრესია ჰყოფნიდა, არც სიძულვილი და არც სიბრყვე. ომზე და პოლიტიკაზე რომ იწყებდნენ მსჯელობას, არ უნდოდოდა გამოჩენილიყო სულელი, რომელსაც აზრი არ გააჩნია, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ის რაღაც მსჯელობები უფრო სულელური იყო. მოსაუბრეთა ყალბი პათეტიკა და კონფორმიზმი აღიზანებდა და ერჩივნა ეთქვა, არ ვიცი, არ მესმისო. ცოტა დაძაბული კი ამბობდა ამ სიტყვებს. და ერჩივნა, არც სცოდნოდა. ჰო, ერჩივნა, ქეთისათან ეჩხუბა, მერე სახლიდან გაბრაზებული გავარდნილიყო, მეგობრებში ექეიფა, ვინმე ქალთან რომანი გაება და ეწუნუნა, რომ თავისი მთავარი როლი ჯერ არ უთამაშია, რომ საბჭოთა რეჟიმმა მასში დიდი მსახიობის გაფურჩქვნას შანსი არ მისცა. და, აჰა, მისი დროც დადგა – ჰამლეტი! ორიოდ კვირის წინ პრემიერა შედგა. გოგი – დანიის პრინცი! როგორი სიღრმით ამბობდა, დაგემოვნებით – ყოფნა... არყოფნა... დარწმუნებული იყო, ჰამლეტის მშფოთვარე სულს და დაფარულ სიბრძნეს ყველაზე უკეთ ჩავწვდი

და ვახმოვანებო. რომელი სიბრძნე?! ჰამლეტი პატარა, დაბნეული ბიჭია, უპასუხო კითხვებით, ეჭვებით; ნანყენი და შეურაცხყოფილი, ენკვიმატობის, ცინიზმსა და ნათამაშევი სიგიჟის მიღმა უმწეობასა და შიშს რომ მალავს.

ყოფნა-არყოფნა?! ვიდრე გოგი ამ კითხვაში მთელ თავის ორმოცწლიან ცხოვრებისეულ სიბრძნეს აქსოვდა, მისი შვილი ამ კითხვაზე პასუხის საძებრად აფხაზეთში საომრად წავიდა. გოგის კი ჰამლეტობა უნდოდა, ჰამლეტობა არა, ჰამლეტის როლი, სცენა, დარბაზი, ყვავილები, ტაში. ბრძნული პათეტიკით არა, აგდებული ირონიით გაარკვევს შემდეგ სპექტაკლზე, ყოფნა-არყოფნის საკითხს.

იმ საღამოს კი, სცენის კუთხეში ბრძნულად ჩამომჯდარს, დარბაზისაკენ მალულმზერამიმართულს, მოეჩვენა, რომ ელი იჯდა მესამე თუ მეოთხე რიგში. ნამდვილად დაინახა, სცენაზე ათამაშებულმა სინათლემ მაყურებელთა რიგებს რომ გადაურბინა. მერე, დაშვებული ხავერდის ფარდის წინ კიდევ ერთხელ რომ გავიდა თავის დასაკრავად, ის სკამი, სადაც სავარაუდოდ ელი იჯდა, ცარიელი დალანდა. უკვე გავიდაო, იფიქრა, მე რომ არ დამენახაო. „მე შენ ერთხელ მიყვარდი. მე შენ ერთხელ...“ აი, ამით კი ჰგავს ჰამლეტს – ჰალუცინაციებით. თხზავს თავისთვის, რაც უნდა და თვითონვე იჯერებს. „მოიხსენიე შენს ლოცვებში, ჰოი, ფერიავ, ჩემი ცოდვები...“

ერთი კვირის წინ სპექტაკლიდან სახლში დაბრუნებულს დედა და ქეთი თვალებდანიტლებული დახვდნენ. სავარძლის კიდეზე დამფრთხალი გოგო იჯდა, მისი შვილის მეგობრებიდან რომელიღაცა. გოგომ გოგისაც ჩამოუთვალა ბიჭების – აფხაზეთში, სამშობლოს დასაცავად გაპარული რაზმის წევრების – სია. გოგო დაბნეული იყო, არ იცოდა, ეს ამბავი ამაყად და იდუმალებით აღსაყვ ხმით და სახით უნდა ეთქვა, თუ უბედურების გამომხატველით.

გოგის გაეცინა, ლამის გადაიხარხარა, მერე გაჩუმდა და ასე იყო დიდხანს. ქეთიც დუმდა, ხმას არ იღებდა, სკამზე იჯდა და წინ და უკან ირწეოდა. ბიჭს რომ რამე დაემართოს, ვერ გადაიტანს, შეშინდა გოგი.

პირველად დაფიქრდა, რომ ერთ პატარა ქვეყანაში შეიძლება ერთ კუთხეში ისროდნენ და ერთმანეთს ხოცავდნენ და იმავე დროს მეორეში – სპექტაკლს თამაშობდნენ და მის საყურებლად დადიოდნენ. სამი დღის შემდეგ ამბავი ჩამოიტანეს ფრონტის ხაზიდან, ბიჭი ტყვედ ჩავარდა და ჯერჯერობით ცოცხალი და უვნებელიაო. სახლში ნაცნობი და უცნობი ხალხი გადი-გამოდიოდა, ტელეფონი გამუდმებით რეკდა და მიაგნეს ვიღაც პაატას, რომელიც რაღაც კომისიას, ანუ ტყვეთა გაცვლას ხელმძღვანელობს. ორი დღით აფხაზეთიდან, ომიდან ჩამოსული პაატა მალე ისევ ომში მიდიოდა. ფული, კიდევ ფული და კიდევ ყველა ამქვეყნიური სიკეთე შესთავაზეს ბიჭის დაბრუნების სანაცვლოდ. პაატამ, არავითარი ფული, ეს ჩემი საქმეაო. მოკლედ, თქვენი ფული ერთ ადგილასო!.. და გოგომ ასევე მოკლედ – მეც ნამოვალო. პაატა დაეთანხმა, შემეშველებიო. გოგის შეუვალმა სახემ დაითანხმა თუ მართლა რამეში გამოადგებოდა, არ იცის გოგომ.

აკაკის მსველი

„ვისაც სხვიტორის სახლ-მუზეუმში (ოღონდ ბავშვობისას) აკაკის ფეხსაცმელი უნახავს ძნელად თუ მოახდენს რამე უფრო გრანდიოზულ შთაბეჭდილებას მასზე. თანაც მთელი ცხოვრების მანძილზე, რამდენადაც ის ფეხსაცმელი მასთან ერთად იზრდება და თანდათანობით, ძნელი დასაჯერებელი ხდება, თუნდაც აკაკივით ახოვანსა და წარმოსადეგ ადამიანს, რომ ეცვა ოდესლაც და არა ადამიანის სახით მოვლენილ ღვთაებას. დღეს რომ ის ფეხსაცმელი საქართველოში ჩამოატარონ, არავის მოერგება ალბათ, ჩატევიტ კი ყველანი ჩავეტევიტ შიგ, როგორც ბიბლიურ კიდობანში“ – ასე აღწერს აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში მიღებულ შთაბეჭდილებებს სიტყვის კიდევ ერთი უკვდავი ოსტატი ოთარ ჭილაძე.



„ბიბლიურ კიდობანში“ საკუთარი შემოქმედებით აკაკი წერეთელმა მართლაც მთელი საქართველო ჩატირა. ჩატია მიუხედავად იმისა, რომ ჭილაძის „აკაკი“ კაცისათვის ისევე დიდია, როგორც ზოგადად ადამიანისათვის – დედამიწა. ამ „დედამიწაზე“ კი ყველას თავისი წილი „აკაკი“ ჰყავს და ყველას თავისი „აკაკი“ უყვარს. თავისი აკაკი ჰყავს და აკაკიც განსაკუთრებულად უყვარს წერეთლის სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ მეცნიერ თანამშრომელს, ბიბლიოგრაფ კლარა მაჭარაშვილსაც.

– აკაკის ფეხის ზომა იყო 45, სიმაღლე 184 სანტიმეტრი – აკაკი იყო ახოვანი, წარმოსადეგი და იშვიათი გარეგნობის. – კლარა მაჭარაშვილი აკაკის გარეგნობისა და ცხოვრების აქამდე უცნობ დეტალებს განსაკუთრებული ემოციით ყვება. მისთვის აქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია. მუზეუმის თითქოს ერთ-ერთი რიგითი, მაგრამ ამავე დროს ყველასაგან განსხვავებული ისტო-

რიის მქონე თანამშრომლის დღე მაშინ იწყება, როცა ჩვეულებისამებრ კიბეებს აივლის და წერეთლების სასახლის კარს გააღებს. იმ სასახლის კარს, რომელშიც თავადაც დაიბადა და გაიზარდა.

კლარა მაჭარაშვილის ცხოვრების მთავრი ხაზი თითქოს მის დაბადებამდე განისაზღვრა. დედა წერეთლების სახლში ცხოვრობდა და მუშაობდა. ბავშვობის წლები ზემო იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში დიდი მგოსნის სასახლეში გაატარა. მუზეუმის გახსნის შემდეგ მაჭარაშვილები იქვე, ახლოს, მეზობლად გადავიდნენ. თურმე პატარა კლარა მუზეუმის პირველ სტუმრებს ექსკურსიამძღოლობას უწევდა. სახლ-მუზეუმი კი სოფელ სხვიტორში, წერეთლების საგვარეულო სახლში 1940 წელს გაიხსნა. ადგილს, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა, საკუთარ თავგადასავალში ასე აღწერს მწერალი:

„ჩიხურის პირად, მალლობზე სდგას ორსართულიანი ქვიტიკის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ ჰგავს! აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობად 1841 მიწერია.“

ახოვანისა და წარმოსადეგის, მხიარულისა და სევდიანის, მაგრამ მაინც ყველასათვის უბრალოდ აკაკის სული და მრავალაფეროვანი ბუნება განსაკუთრებულად მის მშობლიურ სახლში იგრძნობა: პალტო, ცილინდრი, ქოლგა, მუნდშტუკი, საფულე, უკანასკნელად შეჭრილი თმა, ჭოგრიტი, საქალაღდე, ნახატები – ყველაფერი ის, რასაც მწერალი ცხოვრებაში ეხებოდა, ახლა სამუზეუმო ექსპონატი გახდა და უკვე ისტორიის ნაწილია.

– ეს ის აკვანია, რომლიც სხვიტორელმა და სავანელმა გლეხებმა აკაკის იუბილეზე მიართვეს. აი, ეს სარკე გახსოვთ, „ჩემ თავგადასავალში“ პატარა აკაკი მამამ სარკეში რომ ჩაახედა? – უკვე ალბათ მერამდენედ, მაგრამ თითქოს პირველად ჰყვება მწერლის ბიბლიოგრაფი: „დღეს სასახლის ოთახებსაც და ნივთებსაც ისეთივე განლაგება აქვს, როგორიც წლების წინ. მდებარეობა არც იტალიური ავეჯისათვის შეუცვლიათ. ისევ ისე დგას მაგიდა, რომელზეც თორნიკე ერისთავი დაინერა, აქვეა კალამიც, რომელსაც სიტყვასთან ერთად მწერალი



„იარაღად“ ხმარობდა. ყველაზე ხშირად აკაკის ოთახში შემოვდივარ. აქ, სადაც აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, არაფერი შეცვლილა, ოღონდ სანთელი, რომელიც მგოსნის ცხოვრების ბოლო წუთებში ენთო აღარასდროს ანთებულა. საათიც იმ დროზე გაჩერდა, როცა მწერალმა ბოლოჯერ ამოისუნთქა. დღე აკაკიზე ფიქრით იწყება და სრულდება, თითქოს დღეები ერთმანეთს უნდა ჰკავდეს, მაგრამ ყოველი წამი განსხვავებულია და ერთნაირად ძვირფასი. ჩემთვის ყველაზე მეტად ის დროა ღირებული, რომელსაც აკაკის შემოქმედებისა და ცხოვრების შესწავლას ვუთმობ“.

კლარა მაჭარაშვილმა პროფესიაც ისეთი აირჩია, „მგოსნისათვის“ უფრო კარგად რომ გაეგო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და მუზეუმში მუშაობა დაიწყო. სახლი, რომელშიც დაიბადა, მისი სამსახური გახდა.

– თქვენ რომ ახლა მკითხოთ, მუზეუმი შენთვის სამსახურია თუ სახლი, ვერ გიპასუხებთ, აქაურობა ჩემთვის ყველაფერია – ადგილი, სადაც თავს ყველაზე კარგად ვგრძნობ.

მთელი ცხოვრება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეაგროვოს მწერლის შესახებ. ბიბლიოგრაფი ამჟამად სასახლის ისტორიაზე მუშაობს. იკვლევს იმ მასალებს, რომლებიც მუზეუმში ინახება. ფონდებში დაცულია მნიშვნელოვანი ხელნაწერები: მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი.

კლარა მაჭარაშვილს შვილები არ ჰყავს, როგორც თვითონ ამბობს, დიდი მწერლის ნივთებს ისე უვლის, როგორც შვილებს. თელის, რომ თავად, ისევე, როგორც მთელი საქართველო დიდი აკაკის შთამომავალია.

– თქვენ რომ აკაკის სახლში არ დაბადებულხართ, ხომ გიყვართ აკაკი? – ჩემს კითხვას კითხვითვე პასუხობს, – აკაკი მთელი საქართველოს კუთვნილებაა. ხომ გახსოვთ ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „მზესა და გენიოსებს ორი თვისება აქვთ: ორივე ნათელია და ორივე სიცოცხლის შემოქმედი – ახლა მე მზეზე კი არა, აკაკიზე მოგახსენებთო ...“ – ჩემთვისაც ეს მზე ყოველთვის ანათებს.

მუზეუმის კარს ყველაზე გვიან კლარა მაჭარაშვილი კეტავს. სახლამდე სულ რამდენიმე მეტრის გავლა სჭირდება. სამსახურიდან დაბრუნებულმა 5 მამალსა და 13 დედალს უნდა აჭამოს. მარტო ცხოვრობს და ყოველ



ელთვის ეშინია, სახლში როცა არ იქნება, რომელიმე ფრინველი ქორმა არ წაიყვანოს ან მელიამ არ შეუჭამოს. უნდა საოჯახო საქმეს მალე მორჩეს და მეორე დღეს ისევ აკაკის აჩრდილთან შესახვედრად მოემზადოს. აკაკი ხომ „კაცისათვის ისევე დიდია, როგორც ზოგადად ადამიანისათვის – დედამინა“ – ამ „დედამინაზე“ კი ყველას თავისი წილი „აკაკი“ ჰყავს და ყველას თავისი „აკაკი“ უყვარს.

თეიკო ანჯაფარიძე
გამოყენებულია
საქართველოს ეროვნულ არქივში
დაცული ფოტომასალა



სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული ნაწარმოები

სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში გადასულ ბავშვებს 2013 წელს „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფმა ამგვარი დავალება შესთავაზა:

გააგრძელეთ დაწყებული ამბავი და დანერეთ მოთხრობა.

„გვერდი ცარიელი იყო. მხოლოდ მარჯვენა კუთხეში ეწერა: „მას, ვინც ერთხელ დაკვარგე, რათა სამუდამოდ მეპოვა“. მომდევნო გვერდი გადაშალა და კითხვა დაიწყო.“

გთავაზობთ გამარჯვებულ მოსწავლეთა ორ ნამუშევარს.

|

ქვედა ასაკობრივი ჯგუფი

თამარ მესაბლიშვილი

რუსთავის 24-ე ქართული გიმნაზია

17. 05. 2003

დღეს დედა მოკვდა. მამამ მითხრა, შავი კაბა უნდა ჩაიცვაო, მე კი ვარდისფერი უფრო მიწოდდა. მერე ტირილი დავიწყე. დეიდან თქვა, ბავშვი ცოდოაო და ვარდისფერი კაბა ჩამაცვეს.

უამრავი ხალხი მოვიდა. ყველა მკოცნიდა და მეუბნებოდა, რომ დედა ახლა ციდან მიყურებს. მე, რა თქმა უნდა, არ დავიჯერე – უფროსები მატყუარა ხალხია. დედაც ასეთი იყო, სულ მეუბნებოდა – არასოდეს მიგატოვებო.

17. 05. 2004

ერთი წელი გავიდა, რაც დედა მოკვდა. მასზე ისევ ვბრაზობ, მაგრამ ყვავილები მაინც ვუყიდე. მასწავლებელმა მითხრა, რომ დედისთვის უნდა ვილოცო. მე ლოცვა არ მიყვარს იმიტომ, რომ უცნაური სიტყვებით უნდა ილაპარაკო და ისეთი სახე მიიღო, ვითომ ყველაფერი გესმის.

17. 05. 2005

ორი წელი გავიდა. მამას სულ დაავიწყდა ეს დღე, ალბათ იმიტომ, რომ სხვა „დედა“ გვყავს. დღეს პირველი მუსიკის გაკვეთილი მქონდა. მეუბნებიან, რომ დედას ვგავარ და ძალიან ნიჭიერი ვარ. მე კი ვფიქრობ, რომ მუსიკა ძალიან მოსაწყენია, თანაც მოხუცი მასწავლებელი მყავს და სულ ჩხუბობს.

17. 05. 2013

დედა! უკვე ათი წელი გავიდა... ეს ბლოკნოტი შემთხვევით ვიპოვე და გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ ჩამეწერა...

ჯერ მხოლოდ თხუთმეტი წლის ვარ, მაგრამ უკვე ცნობილი პიანისტი გავხდი. ეს კი მხოლოდ შენი დამსახურებაა. მე მეგონა, რომ დაგკარგე, რომ ველარასდროს გნახავდი, მაგრამ ყოველთვის, როცა პიანინოს მივუჯდები, ვხვდები, რომ აქ ხარ, ჩემთან...

შენ მე დამიტოვე თითების მაგია...

შენ მე დამიტოვე მუსიკა სულში...

მაპატიე, რომ ასეთი სულელი ვიყავი ბავშვობაში. მაპატიე, რომ დამავიწყდი.

მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ კლავიშების მსგავსად ადამიანებიც ან თეთრები ვართ, ან შავები. მივხვდი, რომ მხოლოდ ერთად შეგვიძლია შევქმნათ ღვთაებრივი მელოდია, რომ სამყარო პიანინოა, ვილაცა კი ჯადოსნური ხელებით უკრავს...

იცინო? მე დღეს მივხვდი, რომ მიყვარხარ, დედა...

II

ზედა ასაკობრივი ჯგუფი

თონა სენიაშვილი

თელავის მე-9 საჯარო სკოლა.

*„მას, ვინც ერთხელ დავკარგე,
რათა სამუდამოდ მეპოვა.“*

მაშინ 13 წლის ვიყავი... სკოლაში დავდიოდი. სოციალიზმის ჭეშმარიტ პრინციპებზე გვზრდიდნენ...

მახსოვს, ერთ საღამოს სახლში მიმიყვანე, კარი მაგრად ჩაკეტე და ისტერიულად დაიყვირე: „გვითვალთვალენ...“ მე მეგონა, რალაც გჭირდა. „ნეტავ რა ჰქვია ამას, პარანოია? კი, ალბათ, პარანოია“ – ვფიქრობდი... ცრიდა...

„ნამიყვანენ, მოვლენ და ნამიყვანენ“ – გაიმეორე ახლა უკვე ჩუმად, ძლივს გასაგონად... შენ ნამიყვანეს... ვტიროდი, გეძახდი, შენი ტირილი საუკუნეებს იქით მიდიოდა და მარადისობას უერთდებოდა... მაშინ მივხვდი, რომ დედა დავკარგე!..

მერე? მერე იყო საკონცენტრაციო ბანაკი. მახსოვს აკრძალული მზერითი კონტაქტები... მახსოვს, რომ უნდა გვემუშავა დაცემამდე... მახსოვს ცემა და ძალადობა „ტორგაუში“...

მახსოვს ერთი დღე, როცა საკანში ჩამკეტეს. ბნელოდა... ძალიან ბნელოდა, მაგრამ შენგან ვიცოდი, რომ ღამე არასდროსაა ისეთი ბნელი, როგორც ადამიანი. ამ ბნელ ღამეშიც კი ჩანდნენ ჭიანჭველები, რომლებიც საკნის იატაკზე დაცოცავდნენ... შენ მეუბნებოდი, ჩვენ, ყველანი, ჭიანჭველები ვართ და სად გაგვსრესს ბედი, არ ვიცითო. მე მაინც ვნატრობდი ჭიანჭველის ბედს. ის თავისუფალი იყო... მე კი... მე კი გაფრენა მინდოდა სადღაც შორს... იქნებ სიკვდილი მინდოდა... ჰიუგო წერდა: „სიკვდილი მარადისობისგან მინიჭებული თავისუფლებაა“. მაგრამ, არა! მე არ მინდოდა სიკვდილი... ეს ყველაფერი ბრძოლა იყო... თავისუფლებისთვის ბრძოლა... ბრძოლაში კი ყოველთვის იბადება იმედი. სადღაც მქონდა წაკითხული – თავისუფლების სიყვარული ადამიანს „მოსეს კვერთხსა“ და „დავითის შურდულს“ აძლევსო. სიკვდილი არ მინდოდა... ეს დანებებას ნიშნავდა... სისტემას პიროვნების განადგურება უნდოდა. ამიტომ გვინერგავდნენ „ტორგაუში“ აღმზრდელები: „აქ არ არსებობს მე!“

და როცა პიროვნება ინდივიდუალურობას კარგავს, სასიკვდილოდაა განწირული... ზოგიერთი მკვდარი თუ ცოცხალია, ზოგიერთი ცოცხალი მკვდარია... მაშინ ეს არ ვიცოდი, მაგრამ ვგრძნობდი...

მახსოვს გაქცევაც... მახსოვს საავადმყოფოს თეთრი კედლებიც... მახსოვს დარბეული დემონსტრაციები... მახსოვს რეიგანის სიტყვებიც:

„დაანგრეთ ეს კედელი!“

მე კი ვიცოდი, რომ კედელი დაინგრეოდა. შენ ამბობდი: თუ რამეს დააფუძნებ ბოროტებაზე, ის ვერ იარსებებსო...

ხალხი ამერიკულ სიმღერას მღეროდა: „We shall overcome“ – ასე ერქვა ამ სიმღერას... უცნაური სიმღერა იყო, მაგრამ საოცრად ლამაზი... შენს სიმღერას მახსენებდა:

„ამხანაგო, მზისკენ, თავისუფლებისკენ...“

ცრიდა... მომეჩვენა, თითქოს ჩემ წინ იდექი. თვალები ცრემლით გქონდა სავსე. შენი თვალები თითქოს ამბობდნენ: „ჩვენ თავს დავაღწევთ“ ან იქნებ: „ყველაფერი სხვაგვარად იქნება“...

კედელი დაინგრა... ბრძოლა კეთილად დამთავრდა... მე შენ ერთხელ დავკარგე... თუმცა გიპოვე სამუდამოდ... და როცა უზენაესს ჩემი არსისა ბნელი ადგება, ისევ შენი ნათელი სახე მიდგება თვალწინ და შენი სიმღერა ჩამესმის ყურში:

„სინათლისკენ, თავისუფლებისკენ“...



ეზისა და გ რძენული ს www.naec

„NAEC.GE“ – პირველი ნომრის პრეზენტაცია

23 მაისს „გამოცდების ეროვნულ ცენტრში“ ჟურნალის „NAEC.GE“ პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის ფარგლებში კონკურსის „საუკეთესო სტატია საგანმანათლებლო თემაზე“ ორი საუკეთესო ნერილის ავტორები დაჯილდოვდნენ:

სტუდენტი მამუკა საფარიძე – გამარჯვებული

რამდენიმე თვის წინ სოციალურ ქსელში ვნახე ინფორმაცია, რომ „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მიერ ინიცირებული იყო იდეა გამოცემულიყო ასეთი ჟურნალი – „NAEC.GE“. ეს იყო დიდი მოტივაცია სტუდენტებისათვის, ამიტომ გადაწყვიტე გამეგზავნა

რამდენიმე სტატია. ჟურნალისათვის აირჩა ერთი სტატია, რომელიც ეხება ქართველი სტუდენტების ცხოვრებას უცხოეთში. ეს იყო ელექტრონულად ჩანერილი ინტერვიუ ერთ-ერთ სტუდენტთან, რომელიც სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვფიქრობ, ყველა იმ ახალგაზრდას, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება უცხოეთში, დაინტერესებთ ინფორმაცია, თუ რა სასიამოვნო ან უსიამოვნო მოვლენები შეიძლება შეხვდეთ სხვა ქვეყანაში ყოფნისას. „NAEC.GE“-ს საჩუქარი იყო მოულოდნელი, სტატია რამდენიმე თვის წინ გავაგზავნე და გულახდილად გითხრათ, არც ველოდი გამოხმაურებას და როცა გავიგე, რომ გამარჯვებული ვიყავი, ძალიან გამეხარდა. მივხვდი, რომ სტუდენტები რასაც ვწერ, რამდენიმე სტატია.



ფასდება, ამას ადამიანები ყურადღებას აქცევენ. „NAEC.GE“-მ მომცა სტიმული გავაგრძელო წერა და სიამოვნებით ვითანამშრომლო მომავალშიც ამ ორგანიზაციასთან.

ჟურნალი „NAEC.GE“ მკითხველის ფართო წრეზე გათვლილი. ყოველ ნომერში აქტუალობის მიხედვით იბეჭდება სხვადასხვა ტესტის ნიმუშები და რეკომენდაციები „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ აპლიკანტებისათვის. ასევე ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან ან სულაც უცნობ პროფესიონალებთან, რომლებიც ყვებიან, როგორი შეიძლება იყოს პედაგოგის ცხოვრება, როგორ შეიძლება აირჩიო პროფესია და შეიყვარო ის. ჟურნალი ორიენტირებულია, მიანოდოს მკითხველს ინფორმაცია სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ, გამოაქვეყნოს წერილები ნიგნიერების, განათლებისა და საგანმანათლებლო გამოცდებისა თუ კონკურსების შესახებ. ასევე ყველა ნომრისათვის ჟურნალი აცხადებს კონკურსს საუკეთესო სტატიის გამოსავლენად. ამჯერად, ნამუშევ-

რების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე konkursi@naec.ge მხოლოდ სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ. ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო წერილი სათაურით „მე რომ მასწავლებელი ვიყო“, ჟურნალის შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

დავით ზურაბიშვილი:

ძალიან კარგი საქმე გაკეთდა ამ ჟურნალის გამოცემით, მასში არა მარტო იმ საქმიანობის შესახებ იქნება ინფორმაცია წარმოდგენილი, რომელსაც „გამოცდების ეროვნული ცენტრი“ ეწევა, არამედ თავად განათლების საკითხების შესახებაც, რაც ყველას გვაღელვებს. ბევრი საინტერესო პუბლიკაციაა დაბეჭდილი, დარწმუნებული ვარ, მათ მოჰყვება დისკუსიები, კამათიც და ყურადღების ცენტრში მოექცევა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ძალიან პერსპექტიული გამოცემაა.


გაზთ კვირის პალიტრის რედაქტორი მარიკა დარჩია:

მე ვფიქრობ, რომ ეს ის ჟურნალია, რომელიც „უნდა ნაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!“ წარმატებებს ვუსურვებ „NAEC.GE“-ს.



ნანა იზორია

გიორგი გრძელიშვილის ფოტოები



რედაქლეგია:

მაია მიმინოშვილი, გოგი მაჭავარიანი,
კახა ჯამბურია, თამაზ ჯოლოგუა,
კოტე ჯანდიერი, მაია გაბუნია.

ნომერზე მუშაობდნენ:

ქეთევან კვიციანი
თეიკო ანჯაფარიძე
მაია გაბუნია

კონსულტანტი

გოგი მაჭავარიანი

დამკაზადონებელ-დიზაინერი

იანა დანელიანი

ფოტო გარეკანზე

დავით კაკალაშვილი

ფოტოები:

გიორგი გრძელიშვილის, გოგა ჩანადირის,
მიმა გიორგაძის, თორნიკე ზიზიაშვილის,
ქეთევან კვიციანის და
არქივში დაცული ფოტომასალა.

© გამოცდების ეროვნული ცენტრი

ISSN 2346-7509

www.naec.ge

www.facebook.com/pages/naecge

www.facebook.com/pages/ჟურნალი-NAECGE

info@naec.ge

+995 32 2473333.



www.naec.ge

